


სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი



ისტორია / ლიტერატურა / პოლიტიკა / რელიგია / კულტურა და ცივილიზაცია

აგვისტო, 2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



სარედაქციო კოლეგია :
მათე ქარდავა
გიორგი ახალკაციშვილი
ანა ჩაჩიბაია
ანა შალუტაშვილი

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი

#36, თსუ, V კორპუსი.

ტელ: 591 94 32 19; 599 87 24 31

ელ. ფოსტა: Axloagmosavleti632@yahoo.com

სარჩევი

ისტორია

მონქისარის ბრძოლა 1177 წ. სალადინის მოულოდნელი მარცხი. *ლაშა მაჭარაშვილი, ცისი კორკოტაძე*6

ჯალალ ედ დინი საქართველოში. *ხატია ნონიაშვილი*.....11

გზა სენგოკუდან სეკიგაჰარამდე. *ნიკოლოზ მაკალათია*.....15

ირან-ისრაელის ისტორიული ურთიერთობები. *თამუნა გელბახიანი, ნუნუ ჯანჯარია*.....23

იშნის ეკლესიის დამაარსებლის ვინაობისათვის. *ნიკოლოზი ოვსიანიკოვი*.....27

კულტურა და ცივილიზაცია

არაბულ-მუსლიმური კულტურის ჩამოყალიბების საფუძვლები და გავლენა დასავლურ სამყაროზე. *ნინო ინდუაშვილი*.....30

მამლუქთა ეგვიპტე – არაბულ-მუსლიმური კულტურა XIII-XIV საუკუნეებში (მოკლე მიმოხილვა). *გიორგი ახალკაციშვილი, მარიტა ხარშილაძე, ნოდარ ხარშილაძე*37

ისმაილ შამუთი და პალესტინელთა ტრაგედია. *ანა ჩაჩიბაია*.....43

თურქული სამხარეულო. *სოფიკო ბაშელეიშვილი*.....48

დასავლურ-აღმოსავლური დივანის ორკესტრი. *თამარ უზოიანი, ნანა გაფრინდაშვილი*.....52

ანტუან სევრიუგინის თვალთ დაწახული XIX საუკუნის ირანი. *მარიამ ბუკია*.....56

აღმოსავლეთი, რწმენისა და ცოდნის კიდობანი ქართველი ბერებისათვის. *თამთა ცერცვაძე*..62

დრაკონი ჩინურ კულტურაში. *თამარ შეყრილაძე, ანა ჩაჩიბაია*.....66

სამურაი - იაპონური კულტურის ფენომენი. *ლელა ჯაბანიშვილი*.....71

იაპონური თეატრი - ნო. *ჯეიმარ ბოლქვაძე, ნიკოლოზ მაკალათია*.....76

რელიგია რელიგიური და საგანმანათლებლო ფაქტორები ახლო აღმოსავლეთში. *მარიამ ჭიჭიკოშვილი, თიკო გოგობია*.....83

ბაბილონი თუ იერუსალიმი - დევიდ მალუფის „ბაბილონის არდავიწყებაში“. *გიგა გიგაური*.....87

შინტოიზმი. ლელა ჯაბანიშვილი.....95

ლიტერატურა

არაბული მარსია და მისი პარალელები ქართულ ხმით ნატირალსა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.
მარიამ ჯერანაშვილი.....102

„მაჰნამე“ - ყველაზე დიდი პოემა მსოფლიო ლიტერატურაში. ლიზა მურადაშვილი.....107

პოლიტიკა

ქალების უფლებები ავღანეთში. მარიამ სულეიმანიშვილი.....112



მონქისარის ბრძოლა (1177 წ.) - სალადინის მოულოდნელი მარცხი

ცისი კორკოტაძე, ლაშა მაჭარაშვილი

მონქისარის ბრძოლა მართლაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია ჯვაროსნული ლაშქრობების ქარიშხლიანი პერიოდის ისტორიულ ფონზე, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მეზრძოლის, სალადინის, სცენაზე გამოჩენამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში, თუმცა სწორედ ამ ბრძოლამ გატეხა მსოფლიოს გამოჩენილი მეთაური და ევროპელებს ახალი იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. ამით ხელახლა გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომის ახალი ეტაპი ჯვაროსნებსა და მუსლიმებს შორის და ახალი ენერჯით დაიწყო მათ შორის მეტოქეობა ახლო აღმოსავლეთში ბატონობისთვის. მონქისარის ბრძოლა გახლდათ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის პრელუდია და მუსლიმთა ყველაზე გამოჩენილი მეთაურის ერთ-ერთი უდიდესი და მოულოდნელი მარცხი.

როგორც ვიცით, პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ევროპელებს დიდი წარმატებები მოუტანა, რომლის შედეგადაც მათ შეძლეს აღმოსავლეთში თავიანთი სამფლობელოების დაარსება. ევროპელების მთავარი სტრატეგიული და პოლიტიკური ცენტრი იერუსალიმში მდებარეობდა და სწორედ იგი ითვლებოდა მთავარ პლაცდარმად მუსლიმთა წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა იერუსალიმისა, ასევე საფუძველი ჩაუყარეს ედესის და ანტიოქიის საგრაფოს და ტრიპოლის სამთავროს. მიუხედავად მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და სამეფო სახლისა, დასავლური ფეოდალური სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე ფეოდალური პრინციპით სამივე ეს სამეფო ემორჩილებოდა მათ შორის პირველს, იერუსალიმის „სენიორიას.“ 1177 წლისთვის იერუსალიმის სამეფო ერთდროულად ორი უდიდესი გამოწვევის წინაშე დადგა. სამეფო სახლის უდიდეს პრობლემად შეიქმნა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი, იმჟამადმყოფ მეფე ბალდუინ IV-ს, რომელიც კეთრით იყო დაავადებული, მემკვიდრის დატოვება არ შეეძლო და შესაძლო იყო, რომ სამეფო ძალაუფლებისათვის ბრძოლას დიდი ვნებათაღელვა და შიდადაპირისპირება გამოეწვია. მართლაც, ფლანდრიის გრაფ, ფილიპე ელზასელის იერუსალიმში ჩამოსვლამ ცეცხლზე ნავთი დაასხა და სიტუაცია უფრო მეტად დაამძიმა.

ბაღდადის ყველაზე შესაფერის მემკვიდრედ მიიჩნეოდა მისი დის, სიბილას, შვილი. ფილიპე ელზასელის მოხერხებულობამ ეჭვები კიდევ უფრო განამტკიცა მისი შესაძლო ამბიციების შესახებ მაშინ, როცა ბაღდადმა ფილიპეს რეგენტობა შესთავაზა. ქრისტიანული ჯვაროსანთა არმია ეგვიპტეში შეჭრის გეგმებს აწყობდა. ყოველივე ეს კი კიდევ უფრო ართულებდა საშინაო და საგარეო მდგომარეობას. ფლანდრიის გრაფი მართლაც დიდი ამბიციებით გამოირჩეოდა და შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდა. მის სანუკვარ ოცნებას ახალდაპყრობილი ეგვიპტის უზარმაზარი მიწების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა.



ბაღდადი IV - ფილმიდან „ზეციური სამეფო“

სანამ ბაღდადი და ფილიპე ეგვიპტეზე ლაშქრობას გეგმავდნენ, ნიჭიერი სალადინი სრულებითაც არ ფიქრობდა გულხელდაკრეფილი ჯდომას და თვითონ გადაწყვიტა, რომ ჯვაროსნებისათვის დაესწრო იერუსალიმზე თავდასხმა. მუსლიმი მეთაურისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქრისტიანთა საგანგებო სამზადისი იერუსალიმზე გალაშქრების შესახებ. ასევე ფილიპე ელზასელის ჩამოსვლის შესახებაც შესანიშნავად უწყობდა ყოველივეს. შესაბამისად, ვითარება ჯვაროსანთათვის არც ისე სახარბიელო შეიქმნა. სალადინი გარდა, შესანიშნავი მეთაურისა, ბრწყინვალე დიპლომატიური ნიჭითაც გამოირჩეოდა. მანამ სანამ, ჯვაროსნები დღეღღზე თავდასხმისათვის ემზადებოდნენ, სალადინმა ძალზედ ეფექტური სადაზვერვო ქსელი შექმნა და საგანგებოდ

მომზადებული დაუხვდა ევროპელებს. ქრისტიანი ჟამთააღმწერელის, იულიან ტვიროსელის, მიხედვით მისი არმია 26 000 მეომრისგან შედგებოდა. თუმცა, სალადინს თავიდან აკლდა შესაბამისი სამხედრო რესურსები. ბალდუინმა საწყის ეტაპზევე გამოიძახა არმიაში ყველა ქრისტიანი, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ სამეფოს დროშა. შედეგად, ქვეითები და მსუბუქი მხედარი მშვილდოსნები ერთად დაიძრნენ მთავარ ძალებთან შესაერთებლად.



მონჟისარის ბრძოლა

ჯვაროსანთა უპირველეს მიზანს ციხე-სიმაგრე ასკელონთა მიმდებარე სივრცის კონტროლი წარმოადგენდა. ეს გასაგებიცაა, რადგან სწორედ ასკელონი იყო პირველი ქალაქი მთავარ სავაჭრო გზაზე იერუსალიმის ეგვიპტესთან და მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქალაქებთან დამაკავშირებელი ხიდი. ამიტომ, ქრისტიანები საგანგებოდ ცდილობდნენ ამ ხეობის გამაგრებას და აქედან მთლიანი ტერიტორიის გაკონტროლებას. კეთრისაგან დაავადებული იერუსალიმის მეფე საბრძოლო მეთაურის როლს მოკლებული აღმოჩნდა, შესაბამისად, მისივე მოწოდებით ქრისტიანთა ძალებს სათავეში, სალადინისადმი დაუცხრომელი სიძულვილით გამორჩეული, რენო შატილონელი ჩაუდგა. მალევე ასკელონის ხეობაში ქრისტიანთა და მუსლიმთა არმიები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ და ბრძოლის გაჩაღებას ერთი მარცვალიდა აკლდა...

სალადინს ღრმად სწამდა, რომ ზალდუინისა და მისი არმიის ქალაქში შესვლისა და ბლოკირების შემდეგ კამპანიის დასრულება დროის საკითხი იყო. ეგვიპტის სულთანმა სეროოზული შეცდომა დაუშვა, მან შეარყია მტკიცე დისციპლინა, რომელსაც საკუთარ არმიაზე ცდიდა და მხედართა პოლკებს დააწყებინა ქალაქგარე ტერიტორიების რბევა და მარცვა. მათ ქალაქებს: რამლას , ლიდასა(ლოდი) და არსუფს შეუტყეს და გამარცხეს, საიდანაც მოაგროვეს საკვები, ცხენები და ცხვრები. თუმცა, ჯვაროსანთა ძალებმა ასკელონი რამდენიმე დღით ადრე დატოვეს და თავიდან აიცილეს მცირე მოალყე ჯართან შეხვედრა. ისინი აიუბიდთა არმიას გამოედევნენ და იმ ხაზს მიჰყვებოდნენ, რომელზეც გავლილი მოწინააღმდეგე ნგრევის კვალს ტოვებდა. საბოლოოდ, ქალაქ რამრას მიდამოებში ჯვაროსანმა მზვერავებმა ეგვიპტური არმიის გარკვეული შენაერთი შენიშნეს, რომელსაც თავად სალადინი ედგა სათავეში. მუსლიმთა ნაწილები ფართოდ იყვნენ მიმოფანტული ბრძოლის ველზე და მათი ერთ მუშტად შეკვრისთვის დრო არ ითმენდა. ამასთანავე, მუსლიმთა ჯარი მთლიანად დემორალიზებული და ძალა გამოცლილი იყო. ყოველივე ამას, დაემატა მთელი ალაფის დაკარგვა, რომელიც მდინარის გადალახვის დროს მთლიანად ჭაობში ჩაეფლო.



სალადინი

ჩრდილოეთიდან აიუბინთა არმიაზე შემტევ ჯვაროსანთა არმიას მეფე ბალდუინი თავად მეთაურობდა, რომელსაც მახვილი მარცხენა ხელში ეჭირა. კეთრის გამო მარჯვენა ხელი მისთვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. მის გვერდით იყვნენ ყველაზე მძიმედ აღჭურვილი რაინდები, რომლებიც მფრინავი სოლის მსგავსი ფორმაციით იყვნენ განლაგებულნი. ისინი ნაჩქარევად შეკრებილ მუსლიმთა არმიის რიგებში შეიჭრნენ. მიუხედავად მისი ახალგაზრდული ასაკისა და მდგომარეობისა მეფე ბალდუინი ბრძოლის ცენტრში მოექცა. ჯვაროსნული არმიის ელვისებურმა დარტყმამ გაანადგურა აიუბინთა ფორმაცია და შემოჭრილი არმია მორალურად გატეხეს. სალადინის პირადი დაცვა მამაცურად იბრძოდა, მაგრამ ეგვიპტის სულთანნი არაერთხელ იყო ახლოს სიკვდილთან, თუმცა მამლუქთა გმირობამ იხსნა გარდაუვალი სიკვდილისგან სახელნგანთქმული მეზრძოლი და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მზრძანებელი. წარმოშობით ქურთი სალადინი დამარცხდა და იძულებული გახდა ბრძოლის ველს გასცლოდა. ასე დასრულდა მონჟისარის ბრძოლა, რომელიც მართლაც სირცხვილის ლაქად დარჩა ლეგენდარული სალადინის მთელი ცხოვრების ფურცლებზე . მიუხედავად იმისა, რომ ეს არც თუ ისე ცნობილი და საქვეყნოდ გაჟღერებული ფაქტია, მონჟისარის ბრძოლამ ნათლად ცხადჰყო, რომ კეთრით დაავადებულმა იერუსალიმის მეფემ შეძლო და გატეხა ისეთი მოწინააღმდეგე, როგორც სალადინი იყო.

ორივე მხარისთვის დანაკარგები ძალზედ მძიმე გამოდგა, მართალია შეუძლებელია მათი ზუსტი გამოანგარიშება, შუა საუკუნეების სხვა ბრძოლების მსგავსად, მემატიაწები არ არიან მთლად ობიექტურები არმიათა ძალების შეფასებისას და მათი დასკვნები და ციფრები ერთი-ორად გაზვიადებულია, თუმცა რამდენიმე ისტორიკოსის წყაროთა შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში მუსლიმთა არმიის მხოლოდ 10 % გადარჩა, საკუთრივ სალადინს, ბრძოლის ველიდან გამოქცეულს 10 დღემდე დასჭირდა იერუსალიმში ჩასაღწევად. მისი არმიის შენაერთებს კი უმეტაუროდ დარჩენილებს სიკვდილი ელოდათ. თუმცა არც ჯვაროსანთათვის აღმოჩნდა ეს გამარჯვება დიდი სამხედრო და პოლიტიკური ზეიმი, მათი დანაკარგებიც საკმაოდ მძიმე გახლდათ, შეიძლება ითქვას, რომ მონჟისარის ბრძოლამ უფრო მეტად მორალური კუთხით გაამხნევა ქრისტიანები და მუსლიმებთან ბრძოლის იმედი კიდევ უფრო გაუღვივა, სამხედრო და სტრატეგიული თვალსაზრისით კი

იერუსალიმის სამეფომ პიროსული გამარჯვება მოიპოვა. კეთროვანმა ბალდუინმა, გამარჯვების უკვდავსაყოფად ბრძოლის ველზე ბენედიქტელთა მონასტერი ააგებინა წმინდა ეკატერინე ალექსანდრიელის საპატივსაცემოდ, რომლის ხსენებაც სწორედ მონჟისარის ბრძოლის დღეს გახლდათ.

ჯალალ ედ-დინი საქართველოში

ხატია ნონიაშვილი

საქართველოს ოქროს ხანის დასასრული და ახალი ეტაპის დასაწყისი, როგორც ცნობილია თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქალიშვილის, რუსუდან მეფის დედოფლობას (1223-1245) უკავშირდება. ცნობილია, რომ 1223 წლიდან რუსუდანი მეფობდა უკვე. რუსუდანის მეფობის პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძიმე პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში, ვინაიდან ამ დროს ძირითად საფრთხეს წარმოადგენდნენ, ჩინგიზ ყაენის მიერ დაძრული მონღოლური ურდოები და მათ მიერ შუა აზიიდან გამოდევნილი ხვარაზმელები და სხვა თურქმანული ტომები, ასევე ცნობილია, რომ მის დროს კიდევ უფრო გაიზარდა დიდგვაროვანთა გავლენა საქართველოს სამეფო კარზე და ძალიან შესუსტდა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება. შესაბამისად სახელმწიფო შინაკლასობრივ ბრძოლებსაც ძალიან დაესუსტებინა. არსებული ვითარებით არაერთმა დამპყობებელმა ისარგებლა მათ შორის ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველმა-ჯალალ ედ დინმა.

რუსუდანის მეფობისას აღსანიშნავია ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველის, ჯალალ ედ-დინ მანგუბერდის ((სპარს. جلال الدین منگوبردی Jalāl al-Dīn Menguberdi ან მანკბურნი, იგივე ჯალალედ დინის) ლაშქრობები საქართველოში.

ხორეზმშაჰის უკანასკნელმა მემკვიდრემ, ჯალალ ედ-დინმა, მას შემდეგ რაც მონღოლებს ირანში გაექცა და იქ მონღოლების წინააღმდეგ ძალების შეგროვებას შეუდგა, ძალიან წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ისარგებლა საქართველოს

დიდგვაროვანთა შორის არსებული წინააღმდეგობებით და მიზნად პირველ რიგში საქართველოს დაპყრობა დაისახა, შემდეგ კი მის წინააღმდეგ მაჰმადიანი მბრძანებლების დარაზმვას შეუდგა. მონღოლთაგან დევნილი ხვარაზმის შაჰი ჯალალედინი 1225 წლის ზაფხულში საქართველოს შეესია. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ელოდნენ კიდევაც მის შემოსევას. რუსუდან დედოფალმა კი ქართველთა ლაშქრის სარდლად ივანე მხარგრძელი დანიშნა. ჯალალედინმა პირველად დვინის სანახები დალაშქრა, მიუხედავად ამისა ქალაქში არ შესულა.

პირველი და ერთერთი მთავარი ბრძოლა, რომელიც საქართველოს ლაშქარსა და ხვარაზმელებს შორის გაიმართა 1225 წელს გარნისთან მოხდა. ცნობილია, რომ ქართველთა ლაშქრის მთავარსარდლად რუსუდან მეფემ ატაბაგი ივანე მხარგრძელი დანიშნა. ცნობებიდან ირკვევა, რომ ჯალალედინის არმია გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო. ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. მთავარსარდალმა ივანე ატაბაგმა კი ტყვეობას თავი გაქცევით დააღწია და ბიჯნისის ციხესიმაგრეს შეაფარა თავი. უმთავრესად, ცნობილია, გარნისთან დამარცხების მიზეზი, სამეგობრო ხელისუფლების დასუსტება და დიდმოხელე ფეოდალთა შორის შურისა და მტრობის გამლიერება იყო. გამარჯვების შემდეგ კი ჯალალედინმა დვინი აიღო და თბილისისაკენ დაიძრა, მაგრამ თავრიზში მოუწია დაბრუნება.. ამ დროს მისი ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს დატყვევებული შალვა ახალციხელი, რომელიც მტრის ბანაკიდან წერილებს აგზავნიდა და ქართველებს მტრის გეგმებს ატყობინებდა.



გარნისის ბრძოლა

ჯალალ ად-დინი საქართველოში ახლიდან 1226 წლის ზამთარში შემოიჭრა. ცნობილია, რომ ის ლორესა და გაგის ველების გავლით მიადგა თბილისს. ამ დროს თბილისის დაცვა რუსუდან დედოფალმა, როგორც ისტორია მოწმობს მემნა და ბოცო ჯაყელებს დაავალა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი ციხეებით კარგად იყო დაცული ქალაქში მყოფმა მუსლიმებმა ხვარაზმელებს ქალაქის კარი გაუღეს, მემნა ბოძოს ძე კი დალატიომ მოკლეს. საბოლოოდ, ჯალალ ად-დინმა თბილისი ააოხრა და ქალაქის მოსახლეობას არნახული სისასტიკით გაუსწორდა. იგი მოსახლეობას ისლამის მიღებას აიძულებდა. ცნობილია, რომ ჯალალედინის ბრძანებით დაარბიეს სიონის ტაძრის გუმბათი, ხოლო მის ნაცვლად კი ტახტი დაადგეს, სადაც ჯალალედინი დაჯდა. თბილისი გაიძარცვა, ხვარაზმ-შაჰმა უზარმაზარი სიმდიდრე იგდო ხელთ. ხვარაზმელებმა საქართველოს სხვა კუთხეებიც მოარბიეს. 1226 წლის ივნისში ჯალალედინმა საქართველო დატოვა და აქაური ჯარის სარდლობა შარაფ ალ-მულქის ჩააბარა. ქართველებმა იგი ძლიერ შეავიწროეს, სწორედ ამიტომ ჯალალედინი კვლავ დაბრუნდა საქართველოში.

ისტორიული წყაროდან ირკვევა, რომ 1226 ლის ბოლოს ქართველებმა თბილისზე გაილაშქრეს, ქალაქი აიღეს და იქედან ხვარაზმელები განდევნეს, მაგრამ ქალაქის შენარჩუნების იმედი არ ჰქონდათ, ამიტომ გადაწვეს და უკან დაბრუნდნენ.

1228 წლის დასაწყისში გაიმართა მორიგი ბრძოლა ხვარაზმელებთან, რომელიც ბოლნისის ბრძოლის სახელითაა ცნობილი. არსებულ ბრძოლაში ქართველები ხვარაზმელებთან სასტიკად დამარცხდნენ. ჯალალედინმა კი დაარბია და გაძარცვა საქართველოს სხვადასხვა მხარეები. 1231 წელს კი ჯალალედინი მოკლეს ქურთისტანში.



ბოლნისის ბრძოლა (1228 წ.)

ჯალალ ად-დინის ბრბოებმა წარმოუდგენელი სისასტიკე გამოიჩინეს საქართველოს ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ, ათიათასობით ადამიანი ამოხოცეს, გაძარცვეს, გაანადგურეს ქალაქები და სოფლები, დაანგრირეს კულტურის შესანიშნავი ძეგლები. დამპყრობელთა თარეში საქართველოში 5 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. მართალია, ჯალალ ად-დინმა საქართველო საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა, მაგრამ ქვეყანა სასტიკად დააზიანა და ფაქტობრივად მონღოლებს საქართველოს და მთელი წინა აზიის დაპყრობა გაუადვილა.

გზა სენგოკუდან სეკიგაჰარამდე

ნიკოლოზ მაკალათია

იაპონია-ამომავალი მზის ქვეყანა, რომელიც დღეს ასე მიმზიდველად გამოიყურება და ხშირად იპყრობს ყურადღებას თავისი კულტურით, ერთ დროს ნამდვილ სასაკლავოს წარმოადგენდა. იგი ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის რომელთა წარსული გამუდმებული ომებით არის მოცული. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე იაპონია თავდაპირველად დანარჩენი კონტინენტისგან იზოლირებულად ვითარდებოდა. ბუნებრივი იზოლაცია მომავალში ხელოვნური იზოლაციის პოლიტიკამ ჩაანაცვლა, ამასთან შუა საუკუნეების მიწურულამდე იაპონიით დაინტერესება ნაკლები იყო, ამიტომაც იგი სხვა მახლობელი ქვეყნებისგან განსხვავებით გარეშე მტრის შემოტევას თითქმის არ განიცდიდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მოსახლეობისათვის მშვიდი საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად, რადგანაც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა შიდასახელმწიფოებრივი ე. წ. ფეოდალური ომები. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, იაპონიაში ასეთი ტიპის ბრძოლებში მონაწილეობას გლეხებიც იღებდნენ, რაც ისედაც მეტ-ნაკლებად იზოლირებული ქვეყნის ეკონომიკას დიდ პრობლემას უქმნიდა. შიდასახელმწიფოებრივმა დაპირისპირებებმა თავის ზენიტს XV ს-ის მეორე ნახევარში მიაღწია. ამ პერიოდს მეომარი სამეფოების ანუ სენგოკუს ეპოქას უწოდებენ და იგი იაპონიის ისტორიაში ანარქიის ერთ-ერთ მწვერვალი გახლავთ. ამის მიზეზს იმპერატორის პრესტიჟის დაკარგვა და მისი ძალაუფლების დაკნინება წარმოადგენდა. თანდათან იმპერატორმა ფორმალური სახე შეიძინა, მისი ფორმალურობის დროს კი ძალაუფლების სათავეში აშიგაკას კლანი მოექცა, მაგრამ მალევე მათაც დაკარგეს პირველობა.

ცალკეულმა მთავრებმა საკუთარი ტერიტორიების ზრდაზე დაიწყეს ფიქრი, თუმცა ეს ოცნებაც აუხდენელი ჩანდა, რადგანაც შფოთი სამთავროებს შიგნითაც არ წყდებოდა. მთავრები რთული ამოცანის წინაშე დადგნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ოდანობუნაგამ ამ გამოწვევას თავი წარმატებით გაართვა. იგი ოვარის პროვინციის მთავარი იყო და წესრიგის დამყარებაც აქედან დაიწყო. განიმტკიცა რა პოზიციები, თავისი ძალები სხვა მთავართა წინააღმდეგ მიმართა. ამის გამო ოვარის პროვინცია თავდასხმების ეპიცენტრად იქცა,

მაგრამ ოდა ნობუნაგამ მოწინააღმდეგე იმაგავას და საიტოს კლანები დიდი წარმატებით მოიგერია და მათ ხარჯზე ტერიტორიების გაფართოებასაც მიჰყო ხელი. სანამ ნობუნაგა თავისი ვიწრო ფეოდალური მარცვა-გლეჯვით იყო დაკავებული, სამეფო კარზე დიდი შეთქმულების მომზადება დაიწყო. შეთქმულების მსხვერპლი შიოგუნის მემკვიდრე იოშიკი იყო. იოშიკი კიოტოდან იქნა გაძევებული, მან გეზი



ოდას სახლისკენ აიღო და მფარველობა სთხოვა. ეს შესანიშნავი საშუალება იყო ნობუნაგასათვის კიდევ უფრო დაწინაურებულიყო ამიტომაც სიამოვნებით შეისმინა იოშიკის თხოვნა და დახმარებაც აღმოუჩინა. ნობუნაგამ დაამარცხა შეთქმულები და იოშიკიმაც კუთვნილი ძალაუფლება დაიბრუნა. ამის შემდეგ კი, კვლავ ვიწრო ფეოდალური ინტერესებით მოქმედება განაგრძო და გემრიელ ლუკმასაც - ქალაქ საკაის და მთელ იესეს პროვინციას გამოკრა ხელი.

თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ნობუნაგას მადის დასაკმაყოფილებლად. მას შემდეგ, რაც მან იოშიკის დახმარება აღმოუჩინა, ჩათვალა რომ ეს უკანასკნელი მასთან ვალში იყო, ამიტომაც თავს მეტი სითამამის უფლება მისცა და შიოგუნს რიგი მოთხოვნები წაუყენა, რითაც მის უფლებებს მნიშვნელოვნად ზღუდავდა.



თავდაპირველად შიოგუნმა იოაშიკიმ ოდა ნობუნაგას ყველა წინადადება მიიღო, მას სხვა გზა ფიზიკურად არ ჰქონდა, თუმცა ეს ყველაფერი დროებით ხასიათს ატარებდა და როგორც კი შიოგუნს მიეცა საშუალება, მაშინათვე პირი შეკრა ნობუნაგას მოწინააღმდეგე ბანაკთან. ეს ბანაკი სამი დიდი კლანის - ასაკურას, აზაის და ტაკედას საკმაოდ ძლიერ კავშირს წარმოადგენდა. ამ დაპირისპირებაში არც ნობუნაგა ყოფილა მარტო, მის გვერდით იდგა ტოკუგავას გავლენიანი გვარი.

ორი დაპირისპირებული ბანაკის ბრძოლის ველად იქცა. ერთ მხარეს ოდა ნობუნაგას მომხრეები იდგნენ, მეორე მხარეს კი მისი მოწინააღმდეგეები. ბრძოლები 1570 წელს ნობუნაგასათვის წარუმატებლად დაიწყო.



ასევე წარუმატებლად მიმდინარეობდა მისი მოკავშირის იეიასუს ბრძოლებიც. 1573 წელს ეს უკანასკნელი სასტიკად დამარცხდა ტაკედა შინგენტან მიკატაგაჰარას ბრძოლაში. ტაკედას ჯარებმა 22 დეკემბერს კანზოსთან გადაკვეთეს მდინარე ტენრიუ და ჰოდაზე დაბანაკდნენ. იეიასუს დასახმარებლად ნობუნაგას ძალებიც მოვიდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ბრძოლის ველზე მძიმე მარცხის

შემდეგ, იეიასუმ თავს გაქცევით უშველა. მან ხუთი სამურაის თანხლებით ძლივს მოახერხა ჰამამაცუში ცოცხლად დაბრუნება. ცარიელი ციხე დაცემის მოლოდინში იყო, გამოსავალი არ ჩანდა მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში იეიასუმ დიდი სიმტკიცე, სტრატეგიული ნიჭი და

ეშმაკობა გამოავლინა. მან ბრძანა სასახლის კარიბჭეები გაეხსნათ, კოცონები აენთოთ და საბრძოლო დრამები აეხმაურებინათ. ამ ტექნიკამ შემდგომში „ცარიელი ციხის სტრატეგიის“ სახელი მიიღო. სიმაგრეს მიახლოებულმა ტაკედას ძალებმა ისმინეს რა დრამების ხმაური, შენიშნეს ცეცხლი და ღია კარიბჭე, ჩათვალეს რომ ეს იეიასუს ხაფანგი იყო და სიმაგრეში შეჭრის ნაცვლად, ციხის შემოგარენში ბანაკი დასცეს. ღამით ტოკუგავა იეიასუს ასი სამურაი



მოწინააღმდეგის ბანაკში შეიპარა და ქაოსი დათესა. საგონებელში ჩავარდნილმა ტაკედა შინგენტანმა, რომელსაც არანაირი ინფორმაცია აღარ ქონდა ტოკუგავას ძალების და მიზნების შესახებ, გაურკვეველი ნაბიჯების გადადგმას თავი აარიდა, ციხეს ალყა მოხსნა და გაეცალა.

გადმოცემის თანახმად ბრძოლის შემდეგ იეიასუმ დახატა პორტრეტი, რომელშიც სასოწარკვეთილი გამომეტყველება აქვს. იეიასუ ამ პორტრეტს თან ატარებდა და ბრძოლის წინ მას აკვირდებოდა, რათა გაეხსენებინა დამარცხებისგან მოგვრილი შიში და ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ეს აღარ განმეორებულიყო. ბოლოდროინდელი გამოკვლევები ამ პორტრეტის ისტორიას და მის კავშირს მიკატაგაჰარას ბრძოლასთან ეჭვქვეშ აყენებს.

ისე ჩანდა თითქოს იეიასუს და ნობუნაგას დამარცხება გარდაუვალი იყო, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა ტაკედას კლანის ლიდერი შინგენი. ამ მომენტით ისარგებლა ოდა ნობუნაგამ და ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ჯერ აზაის, შემდეგ კი ასაკურას კლანები. ნობუნაგამ ხელში ჩაიგდო რეზიდენცია - ნიძიოს ციხესიმაგრე, ტახტიდან ჩამოაგდო უკანასკნელი აშიგაკას კლანის შიოგუნი იოშიკი და ქალაქიდან გააძევა. მთელი ძალაუფლება ნობუნაგას ხელში მოექცა, მაგრამ მას შიოგუნის წოდება არ მიუღია, პირიქით ამ წოდების აღმოფხვრა დაიწყო, თუმცა ხელისუფლების სხვა




სტრუქტურები ხელუხლებლად დატოვა. ნობუნაგა არ ფლობდა შიოგუნის ტიტულს მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია დაემყარებინა სამხედრო დიქტატურა, რომელიც შიოგუნატის პირდაპირი რეინკარნაცია იყო. ნობუნაგამ ხელი სხვა რეფორმების გატარებასაც მიჰყო და სავაჭრო ურთიერთობები დაამყარა პორტუგალიასთან, საიდანაც დაიწყო ცეცხლსასროლი იარაღების შემოტანა. ამის პარალელურად ოდა ქრისტიანობას მფარველობდა და ბუდიზმს დევნიდა. მისი დაღუპვის მიზეზიც სწორედ ეს გამხდარა. ნობუნაგას აუჯანყდნენ მისი ხელქვეითები და ღალატით მოკლეს. ერთ-ერთი ვერსიით ეს აკეტი მიცუჰიდემ ჩაიდინა, სხვა ვერსიით კი ალყაში მოქცეულმა ნობუნაგამ სიცოცხლე კიოტოში, ჰონჯის ტაძარში ჰარაკირით დაასრულა.

ოდა ნობუნაგას გარდაცვალებას არ შეურიგდა მისი ერთ-ერთი ხელქვეითი ტოიოტომი ჰიდეოში, მან დაამარცხა აკეტი მიცუჰიდე, რითაც თავისი ბატონისთვის შური იძია. ჰიდეოში დაბალი ფენის წარმომადგენელი იყო, ამიტომაც შიოგუნობა



მისთვის შორეულ ოცნებას წააგავდა. მიუხედავად ამისა შიოგუნის ტიტულის გარეშე, მან

შემლო ხელისუფლების ხელში ჩაგდება და თავისი ყოფილი ბატონის ოდა ნობუნაგას რეფორმისტულ გზას დაადგა. ჰიდეოშიმ იქორწინა დიდგვაროვან ქალზე იმ მიზნით რომ, თუ არა ის, მისი შთამომავლობა მაინც ყოფილიყო „კეთილშობილი“ წარმომავლობის. ჰიდეოში ცნობილია თავისი გრანდიოზული საგარეო პოლიტიკური გეგმებით, რომელიც მიზნად კორეის დაპყრობას ისახავდა. ეს ომი იაპონიისათვის მარცხით დასრულდა. ამასთან 1598 წლის 18 აგვისტოს ჰიდეოში გარდაიცვალა. ამ ამბავს დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდნენ ქვეყანაში ხელისუფლებისთვის ბრძოლისა და ანარქიის თავიდან ასაცილებლად. საყურადღებოა ისიც, რომ კორეაში მეზობელ იაპონელ სამურაებამდე ამ ცნობამ თითქმის ორი თვის დაგვიანებით ჩააღწია.



იშიდა მიცუნარი

თავდაპირველად ტახტის მემკვიდრედ ჰიდეოშიმ ვაჟი ჰიდეცუგუ იყო დასახელებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰიდეოშიმ მეორე ვაჟი - ჰიდეიორი შეეძინა, ეს გადაწყვეტილება თავადვე შეცვლა. როცა ჰიდეოში გარდაიცვალა ჰიდეიორი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო. მას მფარველობას რეგენტთა საბჭო უწევდა. საბჭოს წევრებმა მემკვიდრის მცირეწლოვნებით ისარგებლეს და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთთან დაპირისპირება დაიწყეს. რეგენტმა იშიდა მიცუნარიმ,

საბჭოს წევრებს შორის ყველაზე ძლიერის, ტოკუგავა იეიასუს წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას მიჰყო ხელი და მკვლელიც მიუგზავნა, თუმცა ამ უკანასკნელმა დაკისრებულ დავალებას თავი ვერ გაართვა. ამის შემდეგ, იეიასუმ ოსაკა დაიკავა. აქ იმყოფებოდა ჰიდეიორი, რომელიც უკვე ფორმალურ მმართველად იყო ქცეული. იაპონია ისევ ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო, ერთ მხარეს ტოკუგავა იეიასუ იდგა, მეორე მხარეს კი ჰიდეიორის ერთგული რეგენტები.

დაპირისპირებები სამხედრო შეტაკებებში გადაიზარდა და მოხდა ფეოდალური ხანის იაპონიის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა, რომელიც სეკიგაჰარას ბრძოლის სახელით არის ცნობილი. ბრძოლა მოხდა 1600 წლის 21 ოქტომბერს დღევანდელი

გიფუს პრეფექტურაში. ამ ბრძოლით დასრულდა სენგოკუს ანუ მეომარ სამეფოთა ეპოქა და საფუძველი ჩაეყარა ტოკუგავას შიოგუნატს. მართალია იეიასუს ტოიოტომის ერთგული კლანებისა და თავად ტოიოტომის დასამორჩილებლად კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა მაგრამ, მიუხედავად ამისა, სეკიგაჰარა ტოკუგავას შიოგუნატის არაოფიციალურ დასაწყისად ითვლება. ეს კლანი იაპონიას 1868 წლამდე მართავდა.

იშიდა მიცუნარიმ სავაიამას ციხეში მოიწვია იოტანი იოშიცუგუ, მაშიდა ნაგამორა და ანკოუჯი ეკუი. აქ მათ შექმნეს ალიანსი, რომელიც „დასავლეთის არმიას“ წარმოადგენდა. მთავარ მიზნად ოსაკას ციხის აღება დაისახეს, რათა ამ გზით კონტროლი მოეპოვებინათ კიოტოზე. თუმცა ოსაკას აღება არც თუ ისე მარტივი საქმე იყო და ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებებისთვის პლაცდარმს საჭიროებდა. ასეთ პლაცდარმად კი დასავლეთის ბანაკს გიფუს ციხე ესახებოდა. გიფუს აკონტროლებდა ოდა ჰიდენობუ. იგი მიცუნარის მოკავშირე გახდა და მიცუნარის ძალებმაც გიფუს ციხის მიმართულებით გადინება დაიწყეს. ამის შესახებ მიიღო რა ცნობები იეიასუმ, დაუყოვნებლივ დაიწყო თავისი ძალებისა და მოკავშირეების მობილიზება. ასე შეიქმნა აღმოსავლეთის არმია. იეიასუმ თავი მოუყარა 70 000 მეომარს, მან გაყო თავისი ჯარები და გეზი ოსაკასაკენ აიღო. ციხემდე ორი გზა მიდიოდა, ორივე მათგანი გიფუს ციხის გავლით. როგორც უკვე ითქვა, გიფუს ციხე მიცუნარის მოკავშირეთა ხელში იყო და დიდ მნიშვნელობას ატარებდა მიცუნარისთვის, ამიტომაც მიცუნარიმ მთელი თავისი ძალები ციხის დასაცავად დაძრა. თუმცა გიფუს გზაზე, ფუშიმის ციხესთან შეჩერდა. ეს ციხე თორიი მოტოტადას ეკუთვნოდა და იგი იეიასუს მოკავშირე იყო. მიცუნარიმ ციხე ალყაში მოაქცია, რადგანაც თვლიდა, რომ თუკი მოტოტადას არ დაამარცხებდა, გიფუს ციხესთან ალყაში აღმოჩნდებოდა, იმიტომ რომ, როგორც იეიასუს მოკავშირე, მოტოტადა ბრძოლაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებდა. მიცუნარის ეგონა, რომ ბრძოლა დიდხანს არ გასტანდა, რადგანაც მოწინააღმდეგეს ძალებით ბევრად აღემატებოდა, თუმცა მოტოტადამ ალყას ათი დღის მანძილზე გაუძლო, ეს დრო კი საკმარისი იყო იეიასუსთვის ყოველგვარი გართულების გარეშე დაეკავებინა გიფუს ციხე. მიცუნარიმ მაინც გააგრძელა გზა გიფუსკენ, მაგრამ მანამ სანამ, სიმაგრემდე მიაღწევდა ამინდი გაუარესდა. იშიდამ ჩათვალა, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, რადგანაც მის მთავარ დასაყრდენს ცეცხლსასროლი იარაღი წარმოადგენდა,

წვიმაში კი დენთი დასველდებოდა. ამიტომაც დროებით უკან დაიხია. მან იცოდა, რომ იეიასუს სამიზნეს ოსაკა წარმოადგენდა, ამასთან სჯეროდა დასავლეთის ბანაკის სიძლიერის, თამამად შეცვალა თავისი გეგმები და გეზი სეკიგაჰარასკენ აიღო. გადაწყვიტა იეიასუს ძალებს აქ შეებოდა და ამ გზით მისთვის ოსაკაზე ფიქრი ხელიდან გამოეგლიჯა.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის არმიას დიდი უპირატესობა ჰქონდა, მიცუნარის საკუთარი თავისათვის სითამამის უფლება არ უნდა მიეცა, რადგანაც იეიასუ დასავლეთის არმიის ცალკეულ დაიმიოებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და მხარის შეცვლის, ან თუნდაც ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ მიწებსა და მშვიდობას სთავაზობდა. ზოგი დაიმიოსთვის ეს შეთავაზება მადისაღმძვრელად გამოიყურებოდა.

მიცუნარის ძალები იეიასუს ძალებს ოსაკასაკენ მიმავალ გზაზე მოყვებოდნენ, მაგრამ საკმაოდ ჩამორჩებოდნენ. ამ დროს იეიასუს ჯარს მოულოდნელად შეეჯახა მიცუნარის ერთ-ერთი მოკავშირე შიმა საკონი და დიდი მარცხი აწვნია კუისუგავას ბრძოლაში. ტოკუგავა იეიასუ იძულებული გახდა უკან დაეხია და სეკიგაჰარასთან დაბანაკდა. ამგვარად, ყველაფერი მიცუნარის გეგმის მიხედვით მიდიოდა. ჰქონდა რა უპირატესობა, მიცუნარი კიდევ უფრო გათამამდა და იეიასუს ალყაში მოქცევა გადაწყვიტა. იეიასუ მიუხვდა ჩანაფიქრს და სწრაფად გადავიდა შეტევაზე, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. 1600 წლის 21 ოქტომბერს გამთენიისას, ტოკუგავამ მოწინავე რაზმები გაგზავნა იშიდას ჯარებისაკენ, თუმცა ბრძოლის ველზე ჩამოწოლილი ნისლის გამო, არათუ მოწინააღმდეგეების, არამედ საკუთარი თანამებრძოლების დანახვაც კი შეუძლებელი იყო. დაპირისპირებულთა არმიები პანიკამ მოიცვა და უკან დაიხიეს. მოულოდნელობის ეფექტი როგორც ერთ, ასევე მეორე მხარესაც ხელიდან გამოეცალა, ამიტომაც ტაქტიკა შეცვალეს. იშიდამ თავდაცვითი პოზიცია დაიკავა და იეიასუს ნაბიჯებს მოთმინებით დაუწყო ლოდინი. ქარმა თანდათან ნისლი გაფანტა და სამხედრო მოქმედებებიც დაიწყო. წინა ღამის ძლიერი წვიმის გამო მიწა ატალახდა, ამან კი ბრძოლის წარმოებას დიდად შეუშალა ხელი. დასავლეთის არმია რიცხოვნობად ჯობნიდა მტერს, თუმცა იეიასუს წარსულმა მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო და ბრძოლის ველზე დასავლეთის ბანაკი განხეთქილების მსხვერპლი გახდა. დაიმიოებმა: კობაიაკავა ჰიდეაკიმ, ოგავა სუკეტადამ, ვაკისაკა იასუჰარუმ, კუცუკი

მოტოცუნამ და აკიზა ნაოიასუმ მხარი შეიცვალეს და აღმოსავლეთის არმიას შეუერთდნენ. იმიდა ჯერ კიდევ არ კარგავდა გამარჯვების იმედს, რადგანაც მას ნანგუს მთაზე დამხმარე ძალა ეგულეობდა, რომელსაც კიკავა ჰიროი მეთაურობდა.



თუმცა, მაშინ როდესაც მიცუნარის ყველაზე მეტად სჭირდებოდა დახმარება, კიკავა ჰიროუსთან მისი ბიძაშვილი, მორი ჰიდემოტო მივიდა და აუწყა, რომ დრო იყო იეიასუ ტოკუგავა გაენადგურებინათ, მაგრამ ჰიროუსგან პასუხად მხოლოდ ის მიიღო, რომ ჭამდა და სთხოვა ჭამის დროს არ შეეწუხებინა. ამგვარად დასავლეთის არმია დაიშალა. მიცუნარი დამარცხდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. იგი გლეხებმა ტყვედ ჩაიგდეს და იეიასუს ბრძანებით თავი მოჰკვეთეს.

გამარჯვების შემდეგ პირველი, რაც ტოკუგავამ გააკეთა, მოწინააღმდეგე კლანების მიწების კონფისკაცია იყო. ჩამორთმეული მიწები თავის თანამებრძოლებს დაურიგა. 1603 წელს იმპერატორ გო-იზეოსგან შიოგუნის ტიტული მიიღო. ამით კი საბოლოოდ დასრულდა სენგოკუს პერიოდი და იაპონიამ განვითარების ახალ საფეხურზე გადაინაცვლა. დაიწყო ტოკუგავას შიოგუნატი, ქვეყანა გაერთიანდა და შეაბიჯა „მშვიდობის ერაში.“

ირან-ისრაელის ისტორიული ურთიერთობები

თამუნა გელბახიანი, ნუნუ ჯანჯარია

ირანსა და ისრაელს შორის დღევანდელ „ურთიერთობებს“ სწორედ ვერ აღვიქვამთ, 1979წლის ირანის რევოლუციამდე მათ შორის არსებული კავშირისა და ამ ორ ქვეყანას შორის აიათოლა ხომეინის რეჟიმის პირველ წლებში არსებული ურთიერთობების ცოდნის გარეშე. ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ორ რადიკალურად განსხვავებულ პერიოდად იყოფა. ისრაელსა და ირანს ისტორიულად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა 1979წლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.

თანამედროვე ირანი ისლამური ქვეყანაა და იმ ისლამური სამყაროს ნაწილია, რომელიც გარს აკრავს ისრაელს, მაგრამ ის არ არის არაბული სახელმწიფო და, შესაბამისად, ისრაელთან მიმართებაში განსხვავებული ინტერესები აქვს.

1949 წელს ირანმა, არაბულ ქვეყნებთან ერთად, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პალესტინის გაყოფის გეგმის წინააღმდეგ მისცა ხმა და ამით უარყო ებრაული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, თუმცა 1950 წელს ირანმა აღიარა ისრაელი. ოფიციალურად, ირანსა და ისრაელს შორის არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ იყო, მაგრამ რეალურად ეს ორი ქვეყანა ინარჩუნებდა ინტენსიურ სავაჭრო და სამხედრო ურთიერთობებს. ირანმა დააარსა საკონსულო იერუსალიმში, ისრაელმა კი, დააარსა მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საელჩო თეირანში, თუმცა ეს ფაქტი არასოდეს გამოცხადებულა ოფიციალურად. ყველამ იცოდა დიდი შენობის შესახებ, რომელიც თეირანის ცენტრში იდგა და რომელიც ისრაელის ელჩს მასპინძლობდა. ტელეფონზე დარეკვისას მოისმენდით: „თქვენ დაუკავშირდით ეზრის (ისრაელის მეორე ელჩი თეირანში) რეზიდენციას“.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობები იყო. 1979 წლისათვის, აიათოლას მმართველობის დროს ურთიერთობების გამწვავებისას, დაახლოებით 1700 ებრაელ მრჩვეელსა და ბიზნესმენს მოუწია ქვეყნის დატოვება. მათი უმეტესობა ირანის სამინისტროებში, შეიარაღებულ ძალებსა და საიდუმლო სამსახურში მსახურობდა. ბევრი მათგანი კი ისრაელის კომპანიებს წარმოადგენდა,

რომლებიც დიდი მოცულობით ინვესტირებას ახორციელებდნენ ირანში. ამ ორ ქვეყანას შორის უზარმაზარმა ვაჭრობამ, იარაღების ექსპორტის ჩათვლით, ირანი ისრაელის პირველ სავაჭრო პარტნიორად აქცია. საერთო ინტერესების ყველაზე ეფექტური ნაწილი კი ირანული ნავთობის ისრაელის გავლით ექსპორტი იყო. 1956წელს, სეუცის კრიზისის შედეგად, არხი დაიხურა და ახალი მილსადენი აშენდა ირანული ნავთობის ისრაელში გადასაზიდად. თერთმეტი წლის შემდეგ (6 დღიანი ომის შემდეგ), კიდევ ერთი მილსადენი აშენდა, ათჯერ უფრო დიდი, რომლის მიზანიც ისრაელის გავლით ევროპის წელიწადში 350 მილიონი ბარელი ნავთობით მომარაგება იყო. ინვესტიცია ორმა ქვეყანამ თანაბრად გაიყო და, შესაბამისად, მისი მფლობელობაც ორივეს ხელში რჩებოდა. ამ ვითარებაში ისრაელს არასოდეს განუცდია ნავთობის ნაკლებობა.

ეს ყველაფერი უეცრად შეწყდა აიათოლა ხომეინის მოსვლასთან ერთად. დასაწყისში ისრაელი იმედოვნებდა, რომ რეჟიმის ჩანაცვლებასთან ერთად არაფერი შეიცვლებოდა, თუმცა აიათოლას მიზანი არა ირანული სახელმწიფოს გამლიერება, არამედ ირანის ისლამისტური ჰეგემონია იყო მთელ მუსლიმურ სამყაროში. ამ მიზნის მიღწევის გზაზე კი ისრაელი დაბრკოლებას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა საგარეო პოლიტიკური მიმართულებით, იყო ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა. მაგრამ არსებობდა ერთი საკითხი-ერაყის პოლიტიკა, რომელთან დაკავშირებითაც ირანსა და ისრაელს ერთნაირი შეხედულება და პოზიცია ჰქონდათ. სადამ ჰუსეინის რეჟიმი ისეთივე მიუღებელი იყო ისრაელისთვის, როგორც ირანისთვის. აღსანიშნავია, რომ შაჰის გადაგდებისას, ისრაელმა ხელი მოაწერა კემპ-დევიდის სამშვიდობო ხელშეკრულებას არაბულ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანასთან, ეგვიპტე კი იმ დროს ირანის ტრადიციული კონკურენტი იყო, ეს კისიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებდა. თუმცა როდესაც ირანი ჩართული იყო ერაყის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ორმა ქვეყანამ შეძლო საერთო საფრთხის წინააღმდეგ კოორდინირებული მოქმედება, თუმცა - ფარულად. შედეგად, ისრაელი ამაში არა მხოლოდ კომერციულ ინტერესებს, არამედ ამ მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობასაც ხედავდა. ომის შემდეგ, ირანული რეჟიმი ისევ დაუბრუნდა საკუთარი

ამბიციების შესრულებას- ყოფილიყო ლიდერი ისლამურ სამყაროში, შედეგად კი ისრაელი ისევ კუთხეში დარჩა.

ირანსა და ისრაელს შორის დაპირისპირებამკვეთრად გამოჩნდა ლიბანში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ორივე ქვეყანა ჩაერთო საომარ მოქმედებებში და რომელიც ერთმანეთთან დასაპირისპირებლად გამოიყენეს. ირანმა ლიბანში „ჰეზბოლას“ სახით საკმაოდ მყარი დასაყრდნობი გაიჩინა, რომელიც, ირანის მსგავსად, მკვეთრად ანტიისიონისტური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა. ლიბანი დღესდღეობითაც ამ ორი ქვეყნის პოლიგონს წარმოადგენს.

დღეს, როდესაც ირანსა და ისრაელს ვახსენებთ, ალბათ, ყველას თავშიბირთვული იარაღი გვიტრიალებს. ახლო აღმოსავლეთში ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით ჩვეულებრივ სწორედ ამ ორ ქვეყანას- ირანსა და ისრაელს - ახსენებენ ხოლმე. მათ შორის დაპირისპირებას ბირთვული პროგრამა ამწვავებს. ისრაელი ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც გამოკვეთილად უჭერენ მხარს ირანისთვის მკაცრი სანქციების დაწესებას სხვადასხვა სფეროში, რადგან არ სურს ბირთვული იარაღის ირანის ხელში მოხვედრა, რომელსაც, მისი აზრით, პირველ რიგში, მის წინააღმდეგ გამოიყენებს. აქედან გამომდინარე, ისრაელი უარყოფითად იყო განწყობილი ირანისათვის რამოდენიმე წლის უკან სანქციების შემსუბუქებისადმი. ირანი კი, როგორც უკვე ვთქვით, ისრაელს რეგიონული ლიდერობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად აღიქვამს.

შესაძლოა ითქვას, რომ ირანთან მიმართებაში ისრაელის პოზიციას მთლიანად განსაზღვრავს ისრაელის უპირობო მოკავშირე - აშშ - რომელიც სხვადასხვა საშუალებით ებრძვის ირანს და მის მკაცრ პოლიტიკას. ამის დასტურია ბირთვული პროგრამა და მასთან დაკავშირებული მიმდინარე მოვლენები. 2003 წელს გამოცხადდა, რომ ირანში აღმოჩენილია ურანის საბადო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა მომავალში აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ რუსეთიდან შემოტანილ ბირთვულ საწვავზე. ამან განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია ისრაელში, ვინაიდან ირანის ამჟამინდელი ხელისუფლება არ მალავს თავის უაღრესად მტრულ დამოკიდებულებას ამ სახელმწიფოს მიმართ. ამერიკის დაზვერვა ამტკიცებდა, რომ ირანს აქვს ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა და მას ეს იარაღი 2009

წლამდე ექნებოდა, მაგრამ 2011 წელსაც კი ის არ შექმნილა, მაგრამ ეს პრობლემას არ აგვარებს. ამერიკის ადმინისტრაცია და ისრაელის მთავრობა კვლავ ხედავენ ბირთვულ საფრთხეს (თუნდაც გადავადებულს) ირანისგან და ეს საფრთხე სავსებით რეალურია.

ჰეგემონიისთვის ბრძოლაში ირანი სუნიტებს ყველაზე დიდ დაბრკოლებად აღიქვამს. თუკი ირანი ერაყზე, საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებზე გავლენას მოიპოვებს, ამითმსოფლიო ნავთობის მარაგის 56%-ს დაისაკუთრებს. არაბი მეზობლები კი ამაში დიდ საფრთხეს ხედავენ. არაბულმა ლიგამ, საუდის არაბეთის მეთაურობით, 2002წელს ისრაელს სამშვიდობო ინიციატივით მიმართა და ეს მოხდა არა მოულოდნელი სიმპატიის გაჩენის გამო ისრაელის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ საუდის არაბეთი აანალიზებდა, რომ ნამდვილ საფრთხეს არა ისრაელი, არამედ ირანი წარმოადგენდა. მათ კი ზურგს უკან მშვიდობა სჭირდებოდათ. ისრაელის პრემიერ მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ, ერთ-ერთ კონფერენციაზე ისიც კი თქვა, რომ: „ირანმა არაბები და ისრაელელები ისე დაგვაახლოვა, როგორც არასდროს. პარადოქსია, მაგრამ ამან შესაძლოა უფრო ფართო მშვიდობისთვის და საბოლოოდ, პალესტინელთა და ისრაელელთა შორის მშვიდობის დამყარებისთვისაც კი გაკვალოს გზა.“

ირანისა და ისრაელის ურთიერთობა მეტად განსხვავებული და მნიშვნელოვანია. რეგიონში ერთ-ერთი პირველი მუსლიმური და ამავე დროს სეკულარული ქვეყანა, რომელმაც ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა და ცნო აღნიშნული სახელმწიფო, იყო ირანი. იმ დროს, როდესაც ებრაელებს ავიწროებდნენ და დევნიდნენ, ირანი ცდილობდა ხელი შეეწყო მათთვის. მათი „ურთიერთობა“ მკვეთრად ანტაგონისტური გახდა მას შემდეგ, რაც ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია და ქვეყნის სათავეში შიიტი სამღვდელთა მოვიდა. ირანის ახალმა რეჟიმმა, აშშ-სთან ერთად, ისრაელიც ირანის მტრად ჩათვალა და მათ „დიდი და პატარა სატანა“ უწოდა. აქედან მოყოლებული, ირანი რეგიონში ანტისიონისტური სახელმწიფოების რიგს მიემატა და ამ ორი ქვეყნის ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს.

იშხნის ეკლესიის დამაარსებლის ვინაობისათვის

ნიკოლოზი ოვსიანიკოვი

იშხანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც მდებარეობს ტაოში, მდინარე ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე.). თავდაპირველი ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია VII საუკუნის შუა წლებში სომეხთა კათალიკოს ნერსე III-ს აუშენებია. ამ ეკლესიის მცირე ნაწილია შემორჩენილი.

იშხნის ეკლესია ძლიერ დაზიანდა მურვან ყრუს ლაშქრობისას 736-738 წლებში. არაბების შემოსევის დროს დანგრეული და მიტოვებული ეკლესია IX საუკუნის დასაწყისში გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბა იშხნელმა განაახლა. X საუკუნეში იგი კვლავ საფუძვლიანად აღადგინეს, მაგრამ საბოლოო სახე ტაძარმა 1032 წ. ბაგრატ IV-ის მეფობის დროს მიიღო. იშხნის თავდაპირველი, ნერსესისეული, ტაძრისაგან გადარჩა მხოლოდ საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდა სვეტებზე თაღების მწკრივით. ძველი აფსიდა გარედან მთლიანად დაფარულია ახალი კედლებით.

XVII საუკუნეში თურქების მიერ ტაო-კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ იშხანში შეწყდა სამონასტრო ცხოვრება.

მონასტერი მომქმედი იყო XVIII საუკუნემდე. XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომის დროს ის დაიკავეს თურქმა სამხედროებმა, მონასტრის დასავლეთ ნაწილში მოეწყო მეჩეთი და წლების განმავლობაში, 1983 წლამდე ტაძარი გამოიყენებოდა მეჩეთად.


1987 წელს თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრომ იშხანი დაარეგისტრირა, როგორც ეროვნული კულტურის ძეგლი.

2012 წელს საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის დაიდო შეთანხმება ქართული მხარის მიერ იშხნის მონასტრის რესტავრაციის დაწყებასთან დაკავშირებით.

2013 წელს დაიწყო მონასტრის რესტავრაცია, თუმცა სამუშაოები შეწყდა ქართული მხარის განცხადების შემდეგ სამუშაოს არასათანადო ფორმით შესრულების თაობაზე.

ზემოაღნიშნული შეთანხმების შემდეგ სომხეთში ატყდა აჟიოტაჟი, თითქოსდა თურქეთის ტერიტორიაზე ქართველების მიერ მიტაცებული სომხური ქალკედონური ძეგლების იშხანისა და ოშკის, აღდგენის უსაფუძვლოდ შესახებ. დასახლებული ძეგლები სომხების მტკიცებით, მართლმადიდებლური-ქალკედონური ძეგლებია, აშენებულია მართლმადიდებელი მრწამსის, ეთნიკურად სომხის მიერ. ეს ძეგლები, სომხების მოსაზრებით, სომხურია და სომხური კულტურის ნიმუშს წარმოადგენენ. უფრო მეტიც, სომხეთში ოფიციალურად დაიწყო ხელმოწერების შეგროვება სომხური ქალკედონური ეკლესიის აღდგენის თაობაზე. ამით ისინი პრეტენზიებს აცხადებენ როგორც სომხეთში, ისე თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ძეგლებზე.

იშხნის მონასტერი მდებარეობს ტაოში, სოფელ იშხანში. ის იშხნის ეპარქიის ცენტრი იყო და ტაოს საუკეთესო კუთხედ ითვლებოდა. უძველესი დროიდან ეს ტერიტორია ქართველებით იყო დასახლებული. ძვ. წ. II-I საუკუნეში ეს მიწები სომხეთის სამეფომ შეიერთა. იმ დროიდან შემორჩა იქ ალაგ-ალაგ სომხური მოსახლეობა და სომხური ტოპონიმოკაც. მათ შორისაა იშხანიც. ეს სიტყვა ძველ სომხურად მთავარს, დიდებულს ბატონს, მბრძანებელს, მფლობელს ნიშნავს.



იშხნის ეპარქიის მღვდელმთავრები იშხნელის ტიტულს ატარებდნენ, ეპარქიამ VII-XVII საუკუნეებში იარსება.

ვინ იყო იშხნის ეკლესიის დამაარსებელი? სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, იშხანში ტაძარი აუშენებია ადგილობრივ სომეხ ეპისკოპოს ნერსეს VII საუკუნის 20-30-იან წლებში. წლებში. წყაროებში იგი იშხნელის და ტაოელის სახელწოდებითაც გვხვდება. შემდეგ ნერსე სომეხთა კათალიკოსი გახდა (641-661) და ნერსე III-ის სახელწოდებით იხსენიება. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის ბიზანტიური, სომხური და ქართული წყაროები.

ნერსე დაიბადა სოფ. იშხანში, ტაოში. განათლება მიიღო ბიზანტიაში, დაიწყო სამხედრო სამსახური. ბიზანტიიდან დაბრუნების შემდეგ მღვდლად აკურთხეს, შემდეგ კი ხელდასხმულია ტაოს ეპისკოპოსად. სომეხი დიდებულის და მხედართმთავრის თეოდორე რმტუნის ხელშეწყობით იგი გახდა სომეხთა კათალიკოსი. დაიწყო ეკლესიათა მშენებლობა დვინში, ვაღარშაპატში, ვასპურაკანში, ხორ ვირაპში ააშენა გრიგოლ განმანათლებლის სამრეკლო, დააარსა ასევე ცნობილი „ზვართნოც“-ის („მღვიმარეთა“) ტაძარი. აღმშენებლობითი ნიჭით დაჯილდოებულ კათალიკოსს შინოლ-ი (აღმშენებელი) უწოდეს. ნერსე სომეხთა კათალიკოსი მხარს უჭერდა სომხური ეკლესიის კავშირს ბერძნულ ეკლესიასთან. იგი სარწმუნოებით მართლმადიდებელი, ქალკედონიტი იყო. ნერსე ერთი პერიოდი სომხეთის საკათალიკოსო ტახტიდან გადააყენეს კიდეც. ძველი ქართველი ავტორი არსენი საფარელი ნერსეს „ღირს და მართლმორწმუნე“ კაცს უწოდებს (არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, თბ, 1980, გვ.194).

652 წელს არაბთა ჯარის დახმარებით მხედართმთავარი თეოდორე რმტუნი ათავისუფლებს სომხეთს ბიზანტიელებისაგან, ნერსე მიდის კონსტანტინოპოლში იმპერატორის დახმარების მოლოდინით, იმედგაცრუებული ბრუნდება სომხეთში, ამის შემდეგ იგი დროებით ჩამოსცილდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას. თეოდორე რმტუნის გარდაცვალების შემდეგ ნერსე 658 წელს კვლავ ბრუნდება ვაღარშაპატში. ნერსე სომეხთა კათალიკოსი გარდაიცვალა 661 წელს დვინში, დაკრძალულია ზვართნოცის ტაძარში.

საინტერესოა, რომ ნერსე კათალიკოსის ბიოგრაფიაში (სომხურ მასალებში) მის მიერ აშენებულ და განახლებულ ეკლესიებს შორის არ არის ნახსენები იშხანის ტაძარი.

ნერსეს, როგორც იშხანის ტაძრის აღმშენებელზე, ცნობა მხოლოდ ქართულ წყაროს, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას (X ს.) შემოუნახავს. ტექსტში საბა იშხნელის ეპისკოპოსად დადგენასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ნებითა ღმრთისაითა იქმნა საბა ეპოსკოპოს იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღმშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო“ („ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1963, გვ, 274).

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი მოსაზრება ნერსეს მიერ იშხნის ტაძრის აშენების თაობაზე არ არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი VII საუკუნის 20-ან წლებს ასახელებს (ნერსეს ეპისკოპოსობის პერიოდი), მკვლევართა ნაწილი კი იშხნის ეკლესიის აშენების თარიღად 652-653 წლებს მიიჩნევს. ვ.ჯობაძის აზრით, ტაძრის აშენება უნდა მომხდარიყო სწორედ დასახელებულ წლებში, როდესაც ნერსე დვინში ეზიარა ბერძენ ეპისკოპოსთაგან და „კანონიერყო“ ქალკედონის მრწამსის მიმდევრობა, რის გამოც მოუხდა მას იშხანს გადახვეწა. საინტერესოა სომხური წყაროების დუმილი ნერსეს მიერ იშხნის ეკლესიის დაარსებასთან დაკავშირებით. სამომავლოდ კომპლექსურად არის შესასწავლი ნერსე III-ის, სომეხთა კათალიკოსის ბიოგრაფიის ამსახველი ყველა წყარო.



არაბულ-მუსლიმური კულტურის ჩამოყალიბების საფუძვლები და გავლენა დასავლურ სამყაროზე

ნინო ინდუაშვილი

ისლამის დროშით გაერთიანებულ უზარმაზარ არაბულ სამყაროში სამეცნიერო-კულტურული საქმიანობა დაიწყო დიდი ანტიკური, რომაულ-ბიზანტიური, სირიული, სპარსული და ინდური კულტურული ტრადიციების შერწყმის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაბულ-ისლამური ცივილიზაცია წარმოადგენს წინა აზიაში ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში შექმნილი დიდი მემკვიდრეობის თავისებურ სინთეზს, რომლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ცნობილმა მკვლევარმა ადამ მეცმა ხაზი გაუსვა ტერმინით „მუსლიმური რენესანსი“ .

საინტერესოა, საიდან წარმოიშვა თავად არაბული კულტურა ან როგორ შეძლო მომთაბარე ტომებისაგან შექმნილმა სახელმწიფომ კულტურულად ასე სწრაფად ზრდა? არაბული კულტურის აღმოცენება VII საუკუნეში იწყება, მას შემდეგ, რაც არაბი მომთაბარე ტომები მონოთეისტურ რელიგიას – ისლამს ეზიარნენ. სწორედ ისლამმა იქონია გადამწყვეტი გავლენა არაბული კულტურის ფორმირებაზე.

ისლამის მიღების შემდეგ, არაბებმა დაიპყრეს სირია, ეგვიპტე, ერაყი, ირანი და აღმოსავლეთის სხვა მიწები. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის დაპყრობილი ტერიტორიების კულტურული ცხოვრება ბევრად უფრო განვითარებული იყო, ვიდრე არაბების. შესაბამისად, არაბული კულტურის და მათ შორის არქიტექტურის ჩამოყალიბება და განვითარება დაპყრობილი ქვეყნების კულტურის ბაზაზე ხდებოდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაპყრობითმა ომებმა ღრმა კვალი დაამჩნია მრავალი ქვეყნისა და ხალხის ეთნიკურ ისტორიას . მათი დიდი ნაწილი, არაბული ენის ათვისებასთან ერთად, გაარაბდა კიდევ. თავის მხრივ, არაბებმაც აითვისეს უცხო კულტურათა მონაპოვარი და სწორედ ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების მძლავრი ისლამური კულტურა.

არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებს კულტურული განვითარების თავ-თავისი დონე ჰქონდათ, რაც ღრმად ფესვგამდგარი იყო საკუთარ ტრადიციებსა და ისტორიულ წარსულში. ამ თვალსაზრისით, არაბული, ანუ მუსლიმური კულტურა წინა აზიის ხალხთა კულტურულ მიღწევათა შერწყმას წარმოადგენდა . ამასთან, ვინაიდან აღმოსავლეთის ხალხთაგან ზოგი ადრე გამოვიდა კულტურული ცხოვრების ასპარეზზე, ზოგი კი გვიან, ამჟამად იყო კულტურულ ურთიერთობათა ზეგავლენის კვალი. მაგალითად, არაბებმა ბევრი რამ გადაიღეს წინა აზიის ხალხთა კულტურული მონაპოვარიდან, ეზიარნენ ირანულ და ინდურ კულტურებს. ირანმა, საერთოდ, ძალზე დიდი გავლენა მოახდინა მუსლიმური კულტურის შემდგომ განვითარება-აყვავებაზე. მოგვიანებით თურქული წარმოშობის ხალხები არაბებისა და ირანელების მოწაფეები აღმოჩნდნენ.

არაბულ-მუსლიმური კულტურა რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადი არის ის, რომ იგი ერთი მხრივ, ძველი, საკუთრივ არაბულ ნიადაგზე აღმოცენებული ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება, მეორე მხრივ, წინა აზიის კულტურულ ხალხთა ძლიერ ზეგავლენას განიცდის . არაბულ-მუსლიმურ კულტურაში ორგანულად არის შერწყმული აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის კულტურული ელემენტები: აღმოსავლეთიდან (შუა აზია, ირანი, ინდოეთი) ჰუმანიტარული მეცნიერებები, დასავლეთიდან (ბერძნულ-რომაული სამყარო) - საბუნებისმეტყველო დარგები. არაბულ-მუსლიმური კულტურის მთავარი თავისებურება მაინც ისლამის თავისებურებებითაა განპირობებული, რომელიც არა უბრალოდ რელიგიაა, არამედ კულტურათა მთელ ერთობლიობას განასახიერებს.

არაბულ-მუსლიმური კულტურის გამოვლინება სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილში ძლიერი იყო რომაულ-ბიზანტიური გავლენა, აღმოსავლეთ ნაწილში კი - ირანული . ცხადია, ეს განპირობებული იყო რეგიონის დასავლეთ ნაწილში რომისა და ბიზანტიის ბატონობით, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში - ირანისა.

არაბულ-მუსლიმური კულტურის არსებით ელემენტს არაბული ენა წარმოადგენდა, რომელიც განუყოფლად იყო დაკავშირებული ყურანთან . ყურანი ხელს უწყობდა არაბული

ენის პოზიციების განმტკიცებას. არაბიზაცია მუსლიმური კულტურის ფორმირების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა . არაბულ სახალიფოში მოქცეულმა ხალხებმა, არაბებთან ერთად შექმნეს ერთიანი კულტურა, რომელშიც ადგილობრივი ტრადიციები შერწყმული იყო ისლამური კულტურის ელემენტებთან. ამის დასტურია შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოებები, მეჩეთები და მინარეთები, ხალიჩები და ფარდაგები, მინიატურული ხელოვნება და სხვა.

შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური კულტურის მთავარცენტრს



წარმოადგენდა ქალაქი ბაღდადი, სადაც არაბებთან ერთად წარმატებით მოღვაწეობდნენ სახალიფოს შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მეცნიერები. ბაღდადის აგება ხალიფა ალ-მანსურის სახელს უკავშირდება, რომელმაც 762 წელს დედაქალაქად გამოაცხადა. ბაღდადში დაიდო ბინა „სიბრძნის სახლმა“, რომელშიც გაერთიანებული იყო ბიბლიოთეკები, ობსერვატორიები და მთარგმნელობითი კოლეგიები. მსხვილ სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდა ქუფა და ბასრა, ასევე არსებობას განაგრძობდა

ელჩინისტური კულტურის ძველი კერები - ალექსანდრია, ანტიოქია და სხვა.

- სიბრძნის სახლი

ბაღდადი ეკონომიკურად დაპოლიტიკურად სტრატეგიულ ადგილას მდებარეობდა. ამას ემატებოდა მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, კერძოდ, ბაღდადი სასანიანთა ირანის ისტორიული ქალაქის ქტესიფონის ადგილას აიგო. მჭიდრო კულტურულ ასიმილაციასთან ერთად ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთში ეს ხალხები პოლიტიკურ მოკავშირეებადაც გვევლინებიან. ისტორიიდან ცნობილია, რომ აბასიანებმა გამარჯვებას ირანელი ფეოდალების დახმარებით მიაღწიეს. ამის გამო ირანელი ფეოდალები

დაწინაურდნენ პოლიტიურ სარბიელზე, სახალიფოს კარის არისტოკრატიას სპარსული ტანსაცმელი ეცვა, ბევრი თანამდებობა და ქცევის ეტიკეტიც ასევე სპარსული იყო, გავრცელდა ირანული დღესასწაულები. ეს ყოველივე უზრუნველყოფდა ირანული ეთნიკური და კულტურული ელემენტების არაბულ-მუსლიმურ კულტურაში სინთეზს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ ხალხს არ მიუღია ისეთი აქტიური მონაწილეობა არაბულ-მუსლიმური კულტურის განვითარებაში, როგორც ირანულ ეთნიკურ ელემენტს. ამასთან ერთად ის შუამავლის როლს ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ ურთიერთობებში.

არაბთა წარმატებები განათლებასა და მეცნიერებაში ევროპელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. IX-XIII საუკუნეებში მაშინდელი ევროპის გამოჩენილი მეცნიერები არაერთგზის სტუმრობდნენ არაბულ საგანმანათლებლო ცენტრებს და გულისყურით სწავლობდნენ მათ ნაშრომებს. ალ-ღაზალის, იბნ სინასა და სხვა არაბ სწავლულთა სახელები გვიანი შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ევროპაში კლასიკურად იქნა აღიარებული. არაბებს უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვით სამხედრო საქმის, ქიმიის, ასტრონომიის, მათემატიკის, გეომეტრიისა და სოციოლოგიის სფეროებში. მედიცინაში კი დღემდე ხელმძღვანელობენ ავიცენას ტრაქტატებით, რომელმაც პირველად აღწერა ადამიანის ანატომია და შინაგანი ორგანოები.



კორდობას დიდი მეჩეთი

არაბულმა კულტურამ, მსოფლიოს არაერთი შედეგრი აჩუქა ხელოვნების სხვადასხვა დარგში. გამორჩეული დაგანსხვავებულამისი არქიტექტურული სტილიც. სახალიფოს გაფართოვებასთან ერთად იზრდებოდა არაბული კულტურის გავლენაც მსოფლიოს სხვადასხვა ერების კულტურაზე: ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, პირამიდების სამშობლოში თაღოვან-გუმბათოვანი მეჩეთები წამოიშობა, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში ბერბერების კულტურაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ისლამმა, ხოლო ესპანეთში ბატონობის შედეგად წარმოიშვა მავრიტანული სტილი, რომელიც ფართოდ გავრცელდა მთელ ევროპაში. ამის საილუსტრაციოდსაკმარისია

დავასახელოთ კორდობას დიდი მეჩეთი, რომელიც აღმოსავლური დადასავლური

ტრადიციების შერწყმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

ყველაზე მეტად არაბული არქიტექტურა სასანიდური ირანის კულტურულ გამოცდილებებს დაესესხა. სწორედ ირანის კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენს არაბულ სამყაროში გავრცელებული აგურის თაღები. მეჩეთისა და სხვა საკულტო ნაგებობების არქიტექტურულ სტილშიც ირანული გავლენა იგრძნობა. არაბული არქიტექტურის ამ თავისებურებებმა შემდგომში ასახვა ჰპოვა იმ ერების კულტურებში, რომლებიც არაბული სახალიფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცნენ.

არაბებს უკავშირებენ საყოფაცხოვრებო კულტურის ბევრ ელემენტს, რის გარეშეც დღევანდელი ცივილიზაციის არსებობა, უბრალოდ წარმოუდგენელი გვეჩვენება. მაგალითად, სწორედ არაბებმა შემოიტანეს და დაამკვიდრეს ევროპაში ყავის სმა, რაც

სხვადასხვა არაბულ ტომში ტრადიციულად იყო მიღებული. მუსლიმურ აღმოსავლეთსვე უნდა უმაღლოდეს შუა საუკუნეების მსოფლიო, აბანოს კულტის არნახულ გავრცელებას.

არაბთა სამხედრო ტექნიკამ, ციფრებმა, საათმა, ასტროლაბმა, პარფიუმერიამ და სააფთიაქო საქმემ ძირეულად შეცვალა ევროპელთა ყოფა-ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტი. ეს ყველაფერი, ხშირად გამდიდრებული და დამუშავებული სახით, ევროპიდან აღწევდა არაბულ ქვეყნებში. სწორედ, ამ დიდი კულტურული ურთიერთგაცვლის შედეგად დღევანდელი ტექნიკური და ტექნოლოგიური აღმავლობა, რომელშიც აღმოსავლელსაც და დასავლელსაც - ყველას თანაბრად მიუძღვის წვლილი. ენა, ლიტერატურა, ასტრონომია, ხელოვნება, არქიტექტურა, მუსიკა, ფილოსოფია და მისტიკა, ეს ყველაფერი არაბთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

ისლამური კულტურა წარმატებით ვითარდებოდა არა მარტო არაბულ აღმოსავლეთში, არამედ არაბულ დასავლეთშიც. ამ მხრივ არაბული კულტურის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობი იყო ესპანეთში, კორდოვას სახალიფოში. კორდოვამ, სევილიამ, ტოლედომ, გრანადამ სახელი გაითქვა, როგორც შუა საუკუნეების კულტურის მძლავრმა ცენტრებმა. როდესაც XII საუკუნიდან აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში სამეცნიერო დარგებმა დაქვეითება დაიწყო, სწავლულებმა იტალიიდან, საფრანგეთიდან და ინგლისიდან სწორედ კულტურის ზემოხსენებულ კერებს მიაშურეს, რათა სათანადო დონეზე შეესწავლათ მედიცინა, ასტრონომია, ფილოსოფია და მეცნიერების სხვა დარგები. ამ შემთხვევაში არაბულ-მუსლიმური კულტურა განიხილება, როგორც შუალედური რგოლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა

X საუკუნეში სახალიფოში ჩამოყალიბდა სპეციალური სასწავლო დაწესებულება მედრესე, რომელმაც გააგრძელა ძველ აღმოსავლური და ელინისტური ტრადიციები, ხელი შეუწყო ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების განვითარებას. მუსლიმური მედრესეები გახდა გარკვეული მოდელი ევროპული კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისთვის. ევროპის ისეთი დიდი უნივერსიტეტები, როგორცაა ბოლონიის, მონპელიეს, პარიზის და ოქსფორდის, დაარსდა მხოლოდ მე-12 საუკუნის შემდეგ ისლამური სასწავლო მოდელის საფუძველზე. ევროპის უნივერსიტეტებში სწავლა-განათლება საუკუნეების განმავლობაში

მიმდინარეობდა ისლამური ტრადიციის საფუძველზე, სადაც მრავლად გამოიყენებოდა ისეთი ტერმინები, რომლებიც გავრცელებული იყო სირიის, ეგვიპტისა და ანდალუსიის სკოლებში .

არაბულმა ელემენტმა განსაკუთრებული კვალი დატოვა პირინეის ნახევარკუნძულზე. სევილია, კორდოვა, გრანადა - ეს ის ქალაქებია, სადაც დღემდე იგრძნობა არაბთა უდიდესი გავლენა. მათ განსაკუთრებული კვალი დაამჩნიეს ესპანურ ხელოვნებას, არქიტექტურას, ენას და მეცნიერებას .



ულულ ბეგის მედრესე სამარყანდში, XV საუკუნე

არაბული გავლენა განსაკუთრებით კარგად ჩანს ესპანურ მუსიკაში, რაც უმთავრესად ცნობილი მუსიკოსის ზირიაბის დამსახურებაა, რომელიც ესპანეთში არაბული მუსიკის გამავრცელებლად ითვლება. ზირიაბმა კორდოვაში დააარსა მუსიკალური სკოლა, სადაც განათლებას იღებდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული ახალგაზრდები. ზირიაბის ერთ-ერთ დამსახურებას წარმოადგენდა უძველესი აღმოსავლური მუსიკალური საკრავის - ბარბითის გავრცელება მუსლიმურ ესპანეთში. ზირიაბმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, ბარბითს მეხუთე სიმი დაუმატა, რამაც გაამდიდრა საკრავის მუსიკალური ჟღერადობა და გაზარდა მისი პოპულარობა. მუსლიმური ესპანეთი თანდათან გადაიქცა არაბულ-მუსლიმური კულტურის წამყვან ცენტრად, რომელმაც ხელი შეუწყო არაბული წარმოშობის ინსტუმენტების გავრცელებას მთელ ნახევარკუნძულზე .



ბარბითზე შემსრულებელი



ფლამენკოს მოცეკვავე

პირინეის ნახევარკუნძულზე საუკუნეების განმავლობაში მცხოვრებმა არაბებმა საკუთარი მუსიკალური ხელოვნების ბაზაზე შექმნეს მრავალი სასიმღერო ფორმები. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ესპანური ცეკვის ფლამენკოს წამომავლობა. მეცნიერთა აზრით, ფლამენკოს წარმოშობას საფუძვლად უდევს არაბული მუსიკალური რიტმები. ზოგიერთის აზრით, ფლამენკო ძველადმოსავლური რელიგიური სიმღერების გამოძახილია და დაკავშირებულია მუეძინებთან , რომლებიც მუსლიმებს ლოცვისკენ მოუწოდებდნენ .ერთი რამ ნათელია, ფლამენკოს ცეკვის რიტმსა და ენერჯიაში ნამდვილად შეიმჩნევა აღმოსავლური მელოდიებისათვის დამახასიათებელი ჟღერადობა და რიტმი.

მუსლიმურმა ესპანეთმა დიდი როლი ითამაშა დასავლეთ ევროპის სამყაროს ევოლუციაში, ახალი ცხოვრებისეული ესთეტიკის განვითარებაში. მუსლიმური დასავლეთი ესაა ანტიკური სამყაროს ნაწილი, რომელმაც ევროპულ რენესანსზე რამდენიმე საუკუნით ადრე შეინარჩუნა და ახალ სამყაროს გადასცა ანტიკური სამყაროს მიღწევები .

არაბულმა ეთნიკურმა ელემენტმა და კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის განვითარებაზე . შესაძლოა ითქვას, რომ ისლამურმა სამყარომ საფუძველი ჩაუყარა დასავლური ცივილიზაციის განვითარებას . დასავლეთ

ევროპელებმა თავიანთ აზროვნებასა და პრაქტიკაში შეიტანეს აღმოსავლური იდეები მათემატიკის, მეცნიერების, მედიცინისა და ასტრონომიის დარგებში . VII საუკუნეში კი ისლამის აღმავლობის შემდეგ, ევროპასა და ისლამურ სამყაროს შორის უწყვეტი ურთიერთობა დამყარდა, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენდა ორივე მხარეზე. ეს კულტურული ერთობა ევროპაში მუსლიმთა ისტორიული ყოფნის შედეგია.

სწორედ ისლამის აღმის ქვეშ გაერთიანებით დაიწყო არაბმა ხალხმა თავისი ისტორია, შექმნა უზარმაზარი იმპერია, ბოლოს კი სახალიფოს შემადგენლობაში მოქცეული სხვადასხვა ეროვნების ხალხთან ერთად არაბულ-მუსლიმური ცივილიზაციისა და კულტურის ფორმირება.


მამლუქთა ეგვიპტე – არაბულ-მუსლიმური კულტურა

XIII-XIV საუკუნეებში (მოკლე მიმოხილვა)

გიორგი ახალკაციშვილი, მარიტა ხარშილაძე, ნოდარ ხარშილაძე

XIII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთი განსაკუთრებულად გამკაცრებულ შემოსევებს განიცდიდა მონღოლთა მხრიდან. ქალაქებმა : ბაღდადმა (1258) და დამასკომ დამანგრეველი განადგურება განიცადეს, რომლებმაც დაკარგეს არაბთა მუსულმანური კულტურის ზენიტში მყოფი ქალაქების მდგომარეობა. მონღოლთა დაპყრობის საფრთხის ქვეშ ეგვიპტეც იყო, სადაც არცთუ-ისე დიდი ხნის წინ, მამლუქები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.¹ მონღოლთა ახლო აღმოსავლეთში

შემოსევების ერთ-ერთ მიზეზად არაბულ-მუსლიმური ცივილიზაციის სრული დამარცხება და განადგურება შეიძლება მივიჩნიოთ. მამლუქებმა მოახერხეს გენერალურ ბრძოლებში მტრის დამარცხება, რის შემდეგაც მახლობელ აღმოსავლეთში მონღოლთა ხშირი შეტევები შენელდა. ბაღდადის განადგურების შემდეგ (1258), ინდოეთთან სავაჭრო გზები ეგვიპტის გავლით გადიოდა. ამავდროულად,



მამლუქთა სასულტნოს ფართობი ძლიერების პერიოდში

ეგვიპტის სავაჭრო და კულტურული კავშირები დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან გაიზარდა, განსაკუთრებით იტალიის ქალაქებთან. სავაჭრო სატრანზიტო საქმიანობა იმ პერიოდისთვის საკმაოდ წარმატებული საქმე იყო. ქვეყანაში და, პირველ რიგში, კაიროში, დიდი ხაზინის წყალობით, რომელსაც მამლუქები აგროვებდნენ, დაიწყო ფართო მშენებლობები. შენობები და მათი ფორმები შეიცვალა.

¹ გამოვყოფთ მამლუქთა მმართველობის ორ პერიოდს : ბაჰრელი მამლუქები - 1250-1382. ჩერქეზი (ბურჯელი) მამლუქები - 1382-1517.წ.წ.

ნაგებობები გრანდიოზული ზომისა და ფორმის იყო, ისინი ემსახურებოდა ერთდროულად მამლუქთა ძალის სადემონსტრაციო მიზნებისაც. მამლუქი სულტნები, როგორც ჩანს, სამხედრო საქმის გარდა, არქიტექტურითა და მშენებლოებითაც იყვნენ დაკავებულნი. ახალ ძეგლებს (მეჩეთი, სკოლა, საავადმყოფო და ა.შ.) ეწოდებოდათ იმ მმართველის სახელი, რომელიც აშენებდა მათ.

მამლუქების წყალობით, XIII-XIV საუკუნეებში, ხელოვნებისა და მეცნიერების კუთხით, დაიწყო ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის კულტურის განვითარება. კაირო გადაიქცა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად, ხოლო მის შემდეგ ასეთი კულტურის მატარებელ ქალაქად გვევლინება დამასკოც. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს მონღოლებთან ბრძოლის პერიოდში ეგვიპტე მთელ მსოფლიოში მუსლიმთა თავშესაფარ ცენტრად გადაიქცა. ეგვიპტის სასულტნოში გამოჩნდა საკმაოდ ბევრი მუსლიმი მეცნიერი, ფილოსოფოსი, ვაჭარი და მასწავლებელი, რომელთა ხელშეუხებლობასაც მამლუქთა მთავრობა იღებდა საკუთარ თავზე. რა თქმა უნდა, მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლებმა ხელი შეუწყვეს ეგვიპტის კულტურული ცხოვრების აყვავებას. მამლუქები არსებითად ხელს უწყობდნენ ფილოსოფიის, ხელოვნების, ჰუმანიტარული



სულტანი ბაიბარსი

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა აყვავებას. მამლუქთა სულტნები და ემირები განსაკუთრებულ მფარველობას უწევდნენ მეცნიერებას და ფილოსოფიას,

ხელოვნების ნიმუშებს და ძველ ლიტერატურულ ძეგლებს. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი აყვავება, პირველ რიგში, მამლუქების პირველი დინასტიის- ბაჰრის- დომინირების პერიოდია. ეგვიპტეში პოეტები, მწერლები და შემოქმედებითი საზოგადოებრივი საქმიანობის წევრები თავისუფლად მუშაობდნენ თავიანთ ნაშრომებზე, მათ შორის : მაჰმუდ იბნ ფათჰაჰ სარაი (1374 წ.), რუქი ად-დინ ალ-ქრიმი (1377 წ.), საიფ სარანი (1396), იბნ მუჰამად ალ-ქრიმი (1377 წ.), შიჰაბედდინ სარაში (ცნობილი როგორც მაულანა ზადე ალ-აჯამი 1398 წ.), მაჰმუდ სარაი გოლისტანი (1398 წ.), მაჰმუდ სარაი ალ -ქახირითი (1399), ბერქე ფაკიხი და სხვა მრავალი. ცნობილი ნაშრომი და ზღაპარი „ათას ერთი ღამე“



იბნ ხალდუნის ბიუსტი
ალჟირში


(არაბ: كِتَابُ أَلْفِ لَيْلَةٍ وَأَلْفِ لَيْلَةٍ – kitāb ‘alf layla wa-layla. სპარს : هزار و یک شب – hazār va yak šab) სწორედ მამლუქთა პერიოდშია შექმნილი. ზოგი მკვლევარის აზრით, ეს ციკლი მოიცავს მოკლე სიუჟეტებს მამლუქი სულთნების მმართველობის შესახებ.

ეგვიპტეში, მამლუქ-ბაჰრეინთა მმართველობის პერიოდში, მეცნიერებისა და კულტურის დიდი და ცნობილი მოღვაწეები მუშაობდნენ. მათი მოღვაწეობის დროს იქმებოდა „საყოველთაო/საერთო ისტორიები“ (აბუ-ლ-ფიდა, 1273–1331; აზ-ზაჰაბი, 1274–1353 ან 1347; იბნ ქასირი, დაახ. 1300–1373 და სხვები.).

მამლუქთა მმართველობის არაბულ სამყაროში და ისტორიოგრაფიაში ყველაზე დაწინაურებულნი იყვნენ ეგვიპტელი ისტორიკოები, ავტორები მამლუქთა ისტორიის ნაშრომებისა, ასევე ისტორიული ენციკლოპედიებისა (იბნ ალ-ფურათ, 1334–1405 წ.წ.) და განსაკუთრებით პოლიტიკის ისტორიკოსები, მგალითად : ალ-მაკრიზი (1364–1442) და ალ-აინი (1361–1451), მათ დატოვეს მრავალტომიანი ნაშრომები პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეგვიპტის ისტორიის

აღწერილ ნაშრომებზე იგი მუშაობდა მთელი ცხოვრება და დაასრულა გარდაცვალებამდე (1418) ცოტა ხნით ადრე.

რაც შეეხება ხელოვნებას, არქიტექტურის სფეროში შეიქმნა ყველაზე ძვირფასი ძეგლები. მამლუქები ფართოდ იყენებდნენ ხელოვნებას, რათა ხაზი გაესვათ თავიანთი ძალაუფლების მნიშვნელობისთვის. მამლუქთა დინასტიები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქალაქების უსაფრთხოებას. ისინი ზრუნავდნენ სარწყავ და სავაჭრო საკითხებზე. სამშენებლო ცხელებამ მოიცვა მთავრობა და მოხელეები : აშენებდნენ სასახლეებსა და სამარხებს, ქარავან-სარაებს, აბანოებს, სკოლებს და საყოველთაო შადრევნებს, მაღაზიებსა და სურსათის ობიექტებს. ამავდროულად, მრავალწლიან შენობებს რესტავრაციას უკეთებდნენ. ამგვარად, იშხურის გორაზე ჩამოყალიბდა არისტოკრატიული კვარტალი, თუმცა მამლუქების უმრავლესობა ციტადელში ცხოვრობდა. სულთნებმა კალაუნმა (ალ-მანსურ საიფუდდინ კალაუნ ალ-ალფი . არაბ.: *ألف الدين نور الدين سيفي روص المنصور*; 1222 — 10 ოქტომბერი 1290) და ბარკუკმა (ალ-მალიქ აზ-ზაჰირ საიფ ად-დინ ბარკუკი. არაბ : *ألف الدين سيفي رعاظ الملك* . *ألف الدين*; 1339—1399) ციტადელში გაიყვანეს წყალი და გააშენეს გაშლილი ბაღები. კედლის სიმაღლე 10 მეტრს აღწევდა, ხოლო სისქე 3 მეტრს. მამლუქთა სულთნებმა კაიროში უამრავი მეჩეთი ააშენეს, მაგალითად : სულთან ბაიბარსის მეჩეთი (შენდებოდა 1267–1269), სულთან კალაუნის მეჩეთი (შენდებოდა 1284–1285); სულთან ჰასანის დიდებული მეჩეთი (შენდებოდა 1356–1363), ციტადელში ან ნასირის მინარეთები (1318 წლით დათარიღებული) და სხვ.



სულტან კალაუნის მეჩეთი



სულტან ბაიბარსის მეჩეთი

ამგვარად, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე, ეგვიპტის კულტურამ მიაღწია პიკს და ყოველივე ამის მიზეზი მამლუქების მიერ უძველესი ისტორიული არტეფაქტებისა და კულტურის მიმართ ყურადღების გამოვლინება იყო. XIII-XIV საუკუნეებში, მამლუქებმა ეგვიპტე მთავარ არაბულ-მუსლიმურ კულტურის ცენტრად აქციეს. მამლუქთა ეგვიპტესს არა მხოლოდ არაბულ-მუსლიმური სამყაროში ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა, არამედ იმ პერიოდის მთელ ახლო აღმოსავლეთში.




ისმაილ შამუთი და პალესტინელთა ტრაგედია

ანა ჩაჩიბაია

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი ათწლეულებია გრძელდება და ამ კონფლიქტმა მრავალმხრივ ჰპოვა გამოხატულება. 1948 წ. ნაქბას (კატასტროფა) დროიდან მოყოლებული პალესტინელები ცდილობენ ხელოვნების სხვადასხვა დარგით გადმოსცენ საკუთარი ტრაგედია, მშობლიურ მიწაზე დაბრუნების სურვილი, პოლიტიკური გზავნილები, თავიანთი იდენტობა თუ მომავლის იმედი. ეს

შემოქმედება საკმაოდ მრავალფეროვანია და რეალისტურ ნამუშევრებთან ერთად საინტერესო სიმბოლოებსაც მოიცავს. ისმაილ შამუთი სწორედ ერთ-ერთი ის მხატვარია, რომლის ნამუშევრები ნაქბას ემბლემად იქცა და პალესტინელთა კოლექტიურ ხმას წარმოადგენდა იმ პერიოდის სხვა მოღვაწეებთან ერთად, რადგანაც მხატვარი თავად იყო ამ მოვლენების მონაწილე. მას შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე პალესტინური ხელოვნების პიონერი, რომლის შემოქმედებაც გამოსახვდა პალესტინელთა შინაგან სამყაროს და მოიცავს არა მხოლოდ ნახატებს, არამედ პუბლიკაციებს პალესტინური ხელოვნების შესახებ და ფილმებსაც კი. ისმაილ შამუთმა მთელი თავისი ცხოვრება პალესტინას და განთავისუფლების ხელოვნებას მიუძღვნა.



ავტოპორტრეტი, 1985 წ.

ისმაილ შამუთი (არაბ. إسماعيل شاموتى) დაიბადა 1930 წ. 2 მარტს პალესტინის ქალაქ ლიდაში აბდ ალ-კადირ შამუთისა და აიშა ალ-ჰაჯ იასინის ოჯახში. 1936 წ. დაწყებით სკოლაში შეიყვანეს, სადაც მალევე გამოავლინა მხატვრული ნიჭი. 18 წლის ასაკში, 1948 წ. 13 ივლისს სიონისტური ძალების მიერ ლიდას ალების შემდეგ, შამუთი ოჯახთან და 25,000 მკვიდრ არაბ მოსახლეობასთან ერთად იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო. მთელი ეს მოსახლეობა რამალამდე ფეხით უნდა ჩასულიყო და მათ

წყალი და მცირეოდენი საკვებიც კი ჩამოართვეს. ამ გადასახლების დროს წყურვილით დაიღუპა ისმაილ შამუთის უმცროსი ძმა - თავფიკი. საბოლოოდ ისინი ღაზას სექტორში, ხან იუნისის ლტოლვილთა ბანაკში დასახლდნენ. აქ ის კარვებში გახსნილ სკოლებში მოხალისედ ასწავლიდა ხატვას. 1950 წ.



ტრაგედიის დასაწყისი, 1953, ტილო, ზეთი, 46x68

შამუთი ეგვიპტეში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც კაიროს სახვითი ხელოვნების აკადემიაში ჩაირიცხა.

1953 წ. პირველი გამოფენა მოაწყო ღაზაში, სადაც გაიტანა დაახლოებით სამოცი ნახატი, მათ შორის „საით?“ და „ყლუპი წყალი“. მომდევნო წელს,



საით? 1953, ტილო, ზეთი

ამჯერად უკვე კაიროში, გამართა გამოფენა სახელწოდებით „პალესტინელი ლტოლვილები“, რომელსაც პალესტინელი ლიდერებიც ესწრებოდნენ. 1954-56 წწ.



ყლუპი წყალი, 1953, ტილო, ზეთი, 45 x 60

რომის სახვითი ხელოვნების აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ კი ბეირუთში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც გაეროს პალესტინელ ლტოლვილთა დახმარებისა და სამუშაოების ორგანიზების სააგენტოში მუშაობდა თავის ძმასთან - ჯამილთან ერთად. 1959 წ. ცოლად შეირთო თამამ ალ-ახალი და, პროფესიული თვალსაზრისით, მასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ისინი იყვნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წევრები. 1965 წ. ისმაილმა დააფუძნა და 1984 წლამდე იყო ამ ორგანიზაციის სამხატვრო კულტურის განყოფილების დირექტორი. შექმნა უამრავი ტილო და პოსტერი პალესტინის თემასთან დაკავშირებით და ათობით პოლიტიკური თუ პერსონალური გამოფენა მოაწყო მთელი მსოფლიოს ფარგლებში. 1969წ. ისმაილ შამუთმა სხვა პალესტინელ მხატვრებთან ერთად დააარსა პალესტინელი მხატვრების პირველი გაერთიანება, ხოლო 1971 წ. ასევე მონაწილეობას იღებდა არაბი მხატვრების პირველი


კავშირის დაარსებაში. გარკვეული პერიოდი ქუვეითსა და გერმანიაში ცხოვრობდა, მაგრამ 1994 წ. საბოლოოდ იორდანიაში დასახლდა. მხატვარი 2006 წ. 3 ივლისს, გერმანიაში გარდაიცვალა, დაკრძალეს ამანში.

ისმაილ შამუთის ნამუშევრების დიდ ნაწილი ეხება ნაქბას და კარგად ასახავს პალესტინელების სამშობლოდან გამოსახლებას. მათ შორის განსაკუთრებით პოპულარულია ტილოები „საით?“, „ტრაგედიის დასაწყისი“ და „ყლუპი წყალი“. მშობლიური მიწის დატოვება, რასაკვირველია, განსაკუთრებით მძიმედ და მტკივნეულად ჩარჩა თითოეული პალესტინელის გონებაში, რამაც მათი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ეს მძაფრი ემოციები შეხედვისთანავე იგრძნობა ტილოებზე, რომლებზეც შამუთმა გამოსახა როგორც მისი პირადი ტრაგედია, ასევე პალესტინელი ხალხის დღემდე მოუშუშებელი ჭრილობა. სურათზე „საით?“ ჩანს მამა და ბავშვები როგორ ტოვებენ მშობლიურ ქალაქს. თითოეული მათგანის სახე დიდ მწუხარებას და ტკივილს გამოხატავს. ამ დაღვრემილი გამომეტყველების გარდა ტილოს კიდევ უფრო ამძაფრებს ჰორიზონტზე შორს გამოსახული არაბული ქალაქის ხედი და გამხმარი ხე. ასევე გადასახლებას სიუჟეტია წარმოდგენილი ტილოებზე „ტრაგედიის დასაწყისი“ (სახელიც მიგვანიშნებს სურათის შინაარსს) და „ყლუპი წყალი“. ხალხი ცდილობს მცირე ოდენობის ნივთები მაინც წაიღონ თან, მათი სახეებიდან კი ყველა სურათში თითქოს ისმის მათი წუხილის ხმა. სახლ-კარის დატოვება მძიმეა, პალესტინელებისთვის კი გადასახლების პროცესისას გავლილი გზაც უმძიმესი იყო. სურათზე „ყლუპი წყალი“ ჩანს დიდი სასოწარკვეთა. ყურადღებას იქცევს წინა ნაწილში ქალი, რომელიც ცდილობს წყლის ერთი ყლუპი მაინც დალიოს და მის ირგვლივ ბავშვებიც იმავეს ცდილობენ, ახალგაზრდა კაცი კი მწყურვალე ხალხის მასას აკავებს. გადასახლებისას ძალიან ბევრი გზაში წყურვილისგან დაიღუპა, მათ შორის შამუთის უმცროსი ძმაც. პირადი და კოლექტიური ტრაგედია გაერთიანდა და, ალბათ, სწორედ ამიტომაც იგრძნობა ასე მძაფრად ეს ემოციები. „ჩვენს ნახატებში ორივე გამოვსახავდით ჩვენი ხალხის გასაჭირს, რომლის ამოკითხვა და ინტერპრეტაცია შეუძლიათ როგორც არაბებს, ისე უცხოელებსაც“ - ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში შამუთის მეუღლე.



ფორთოხლის მადონა, 1997, ტილო, ზეთი,

100 x 80 სმ




ზეთისხილის ხე, 2005.

ისმაილ შამუთი, სხვა პალესტინელი მხატვრების მსგავსად, თავის ნამუშევრებში გამოსახავდა სიმბოლოებს, რაც დაკავშირებული იყო სამშობლოსთან, წარსულის მოგონებებთან, იმედთან და იდენტობის შენარჩუნებასთან. ფორთოხლის მადონა ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს. ფორთოხალი ამ ხალხს პალესტინაში ბედნიერ ცხოვრებას ახსენებს და მისი კარგი მოსავალი მომავლის იმედსაც გამოხატავს. ნაქბას შემდეგ პალესტინა მისი ბინადარი არაბებისთვის „სევდიანი ფორთოხლების მიწად“ იქცა (დასან ქანაფანის ამავე სახელწოდების მოთხრობის პოპულარობის შემდეგ პალესტინას ასე ხშირად იხსენიებენ). ტილოზე შამუთმა გამოსახა ძლიერი, ამაყი პალესტინელი დედა მადონას სახით. მას ხელში უჭირავს მძინარე ჩვილი, გვერდით კი მისი შვილი დგას, რომელსაც ხელში ფორთოხლები უჭირავს. უკანა ფონზე ჩანს ფორთოხლის ხეები, რომლის ნაყოფს კაცები კრეფენ, ძირს, ყუთებში კი გადანაწილებულია მთელი მოსავალი. ეს ტილო ოპტიმიზმითაა სავსე და ბედნიერი მომავლის იმედს, დაბრუნებას გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ შამუთმა ის დახატა იმ წელს, როდესაც ნაქბადან ორმოცდაათი წლის

შემდეგ ის ისევ ეწვია მშობლიურ ქალაქს. მსგავსი დატვირთვით ჩანს მის ნამუშევრებში ზეთისხილის ხე, რომელიც მშვიდობის და, ამასთან ერთად, კეთილდღეობისკენ და სამშობლოსკენ ლტოლვის სიმბოლოა. ტილოზე გამოსახულია მრავალშვილიანი პალესტინური ოჯახი, ხოლო მათ უკან ზეთისხილის დიდი, ამწვანებული ხე. ჰორიონტზე ასევე მოჩანს ხალხი, რომლებსაც ასევე ზეთისხილის რტოები უჭირავთ და არაბული ქალაქის ხედი. ოჯახი ბედნიერად გამოიყურება და ეს ტილოც, „ფორთოხლის მადონას“ მსგავსად, იმედიცმომცემ ნამუშევრად შეიძლება ჩავთვალოთ.

ტილოზე „სიცოცხლე ჭარბობს“ გამოსახულია სამი ქალი, როგორც პალესტინის სული და მათი ხელები სხვადასხვა მხარესაა მიმართული. მარცხენა მხარეს მდგომი ქალის ხელი ღაზას სანაპიროსკენაა მიმართული, მარჯვენასი - იერუსალიმის ისტორიული მეჩეთებისა და ეკლესიებისკენ, ხოლო შუაში მდგომ ქალს წითელი ყვავილების თაიგული უჭირავს ხელში და არაბი ხალხისკენ მიუთითებს, რომელიც მთელ ტილოზეა გამოსახული. მათ შორისაა სიძე და პატარძალი, როგორც გამარჯვებისა და დაბრუნების სიმბოლო. შამუთმა ამ ტილოს



სიცოცხლე ჭარბობს, 1999, ზეთი, 160 x 200 სმ

შესახებ თქვა, რომ ისრაელის ოკუპაცია მჩაგვრელი და დაუნდობელი იყო, მაგრამ ისინი იბრძოდნენ გადარჩენისთვის, მათი ტრადიციებისა და ოცნებების შენარჩუნებისთვის.

ისმაილ შამუთმა მოახერხა და როგორც რეალისტური, ისე სიმბოლური ნახატებით გადმოგვცა პალესტინელთა ტრაგედია, მათი გადასახლება, მძიმე ყოფა, სამშობლოში დაბრუნების ოცნება და იმედი და მას პალესტინური ხელოვნების განვითარებაში მართლაც რომ გამორჩეული ადგილი უჭირავს.

თურქული სამზარეულო

სოფიკო ბაშელიშვილი

თურქული სამზარეულო ცნობილია მრავალფეროვანი და გამორჩეული გემოვნური თვისებების მქონე კერძებით. კონკრეტულმა სამზარეულომ გავლენა იქონია მეზობელ სამზარეულოებზეც: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაზე.

ცნობილია, რომ თურქული გასტრონომიის განვითარება კავშირშია ქვეყნის უნიკალურ გეოგრაფიასთან. თურქეთი ევროპისა და აზიის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინია. თურქული სამზარეულო განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. გარდა ამისა, რადგან თურქეთი ზღვისპირა ქვეყანაა, თევზი და ზღვის პროდუქტები ეროვნული სამზარეულოს მნიშვნელოვანი ნაწილია. კერძოდ, თევზის სენდვიჩი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული და ხელმისაწვდომი ქუჩის საკვებია თურქეთში.

თურქულ სამზარეულოზე ფიქრისას ყველა ჩვენგანს ხორცის მრავალფეროვანი კერძები, უგემრიელესი წვნიანები, ზღვის პროდუქტები და ტრადიციული თურქული დესერტები გვახსენდება.

ვფიქრობ, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ქაბაბი (კებაბ), რომელიც ყველაზე პოპულარული მეორე კერძია თურქეთში. ქაბაბი არაბულად ნიშნავს „ ცეცხლზე გამომცხვარს“. მისი მომზადება შესაძლებელია საქონლის ან ცხვრის ხორცისგან, ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტებისგან. ქაბაბის უამრავი ვარიანტი შეგვიძლია დავაგემოვნოთ. ესენია: დონერ ქებაბი, ისკანდერ ქებაბი, ადანა ქებაბი, შიშ ქებაბი, ისლიმ ქებაბი...

დონერ ქებაბი თურქეთში გავრცელებული ქუჩის საკვებია. ლავაშში შეხვეული ხორცი, ბოსტნეული და სხვადასხვა სოუსის იდეალური კომბინაცია ბევრ ჩვენგანს შაურმას მოგვაგონებს.

ისკანდერ ქებაბი თურქეთის რესტორნებში საკმაოდ მოთხოვნადი კერძია. იგი მზადდება ცხვრის ხოცისგან, რომელიც იწვება გრილზე და ასევე სოუზად აქვს ტომატი და იოგურტი. თურქეთში განსაკუთრებით პოპულარულია რამდენიმე ტრადიციული კერძი. მათ ჩამონათვალში არის კოფტე, რომელიც წიწაკასთან ან კართოფილთან ერთად მომუშული ფარშის ბურთულებია. ასევე შეიძლება შეგვხვდეს ფარშის გულსართიანი ბადრიჯანიც. ტოლმა - იგი უამრავი ქვეყნის წასახემსებელი ტრადიციული კერძია,მათ შორის თურქეთშიც.ამ კერძის წარმომავლობა



უკავშირდება აღმოსავლეთ თურქეთს. რაც შეეხება მისი მომზადების ტექნიკას, იგი ძირითადად ვაზის ფოთლებში გახვეული ბრინჯისა და გატარებული ხორცის იდეალური ნაზავია.

მანტი - მინიმალისტურად დაკეცილი ცომია, რომლის შიგთავსი ხორცია.სხვადასხვა ქვეყანაში მისი მომზადების ტექნიკა განსხვავებულია. იგი შეიძლება მოიხარშოს ორთქლზე, სხვა ვარიაციით,

იგი შეიძლება შეიწვას წყალში ან ცხიმში. მას აზიის თითქმის მთელ კონტინენტზე ამზადებენ. შეიძლება ითქვას,რომ მანტი შუა აზიიდან ანატოლიაში გადასახლებულმა მომთაბარე თურქულმა ტომებმა შეიტანეს. მას ხშირად ნივრიან მაწონთან ერთად მიირთმევენ.ქაისერი ცნობილია, როგორც მანტის ქალაქი.

თურქეთში ფართოდ გავრცელებული კერძია ჩორბა (წვნიანი),რომელიც უამრავი სახეობისაა. ესენია:ოსპის წვნიანი, იოგურტის წვნიანი, ასევე შეიძლება აღინიშნოს ყველაზე



პოპულარული ეზოგელინის წვნიანი. იგი ოსპით, ბულგურითა და უამრავი სუნელით მზადდება. ვარაუდობენ, რომ წვნიანი მოიგონა ქალმა, რომელსაც სურდა, შთაბეჭდილება მოეხდინა მეუღლის დედაზე.



თურქულ სამზარეულოში ყველაზე ხშირად გამოყენებადი პროდუქტი ხორბლის ბურღულია.

მსხვილად დაღერდილ ხორბალს ძირითადად თურქული ფლავის მოსამზადებლად იყენებენ ადგილობრივები, წვრილად დაღერდილი კი იდეალური პროდუქტია კატლეტისა და ტოლმის მოსამზადებლად. ხორბლის ბურღული ადვილად მოსაყვანია ანატოლიის მიწებზე. სწორედ გეოგრაფიულმა პირობებმა განსაზღვრა მისი პოპულარობა თურქეთში. შეიძლება ითქვას, რომ „ბურღულის ფლავი“ წლების განმავლობაში თურქების საყვარელი კერძია.



თურქული კერძების სრულყოფისათვის აუცილებელია სანელებლები. ადგილობრივები თითქმის ყოველ მეორე კერძში იყენებენ დიდი დოზით სანელებლებს, მათ შორის: ნიგელა

თესლს, წიწაკას, სუმაკს, მიხაკის, დარიჩინს.

მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს თურქული ტკბილეული: ბაქლავა, ჰალვა, რაჰათ ლუკუმი...

შეიძლება ითქვას, რომ ბაქლავა თურქული დესერტებიდან მსოფლიოში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ტრადიციული ბაქლავის მოსამზადებლად იუშკის ფოთლებს შორის თხილს,



კაკალს ან ნუშს ათავსებენ. თურქეთში მდებარე ქალაქი გაზიანთეფი ცნობილია, როგორც ბაქლავას სამშობლო.

დღესდღეობით თურქეთის ტურისტულ უბანში ხშირად გვხვდება „რაჰათ ლოკუმი“, რომელიც თურქულად ნიშნავს „ყელის დასვენებას“, რაც განპირობებულია დესერტის სასიამოვნო სტრუქტურით. იგი სიმინდის სახამებლისგან, შაქრისა და ხილის პასტისგან მზადდება. ცნობილია, რომ ლუკუმს შუადღის ჩაის დროს მაღალი საზოგადოების ქალბატონები მიირთმევენ.

მუსლიმების ტრადიციული დესერტი კი არის ჰალვა, რომელსაც ადამიანის გარდაცვალებიდან მე -7, მე-40 დღესა და წლისთავზე ამზადებენ.

სულ სამი სახის ჰალვა არსებობს: სეზამის ბაზაზე დამზადებული; „ზამთრის ჰალვა“, რომელსაც მიირთმევენ ნაყინის კოვზით; ხორბლის ფქვილზე დამზადებული ჰალვა. ამ უკანასკნელს საკონდიტროში ვერ ნახავთ, რადგან მას სახლში ამზადებენ.



რაც შეეხება თურქულ ტრადიციულ სასმელებს, აირანი ერთ-ერთი მათგანია,


რომელიც იოგურტისგან, წყლისა და მარილისგან მზადდება. აირანის ისტორია მჭიდრო კავშირშია თურქ მომთაბარე ტომებთან, ასევე ირანსა და არაბულ ქვეყნებში მასობრივად

არის გავრცელებული. ცნობილია, რომ ქაბაბისა და აირანის კომბინაცია იდეალურ გასტრონომიულ ჰარმონიას ქმნის.



საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცხელი სასმელებიდან თურქეთში ყველაზე გავრცელებული სასმელი არის ჩაი, რომელიც გამოირჩევა არომატული თვისებებით. თურქები ჩაის დღეში რამდენჯერმე წელში გამოყვანილი მომცრო ჭიქებით სვამენ.

მართალია, ყავა არაბული ტრადიციული სასმელია, მაგრამ თურქეთში ხშირად მიირთმევენ სურნელოვან, მძაფრ, სქელი ტექსტურის მქონე მუქ ყავას, რომელსაც სპილენძის ჯეზვებში ადუღებენ. ადგილობრივები თურქულ ყავას პატარა ჭიქებში მიირთმევენ. თურქული ყავის სიმძაფრიდან გამომდინარე, ადამიანთა გარკვეული კატეგორიისთვის ყავა არასასიამოვნო ცხელი სასმელია. თურქული ანდაზა ამბობს: „ ყავა უნდა იყოს შავი, როგორც ჯოჯობეთი, ძლიერი, როგორც სიკვდილი და ტკბილი, როგორც სიყვარული “.




დასკვნისათვის აღვნიშნავ, რომ თურქული სამზარეულო მდიდარია როგორც კერძებით , ასევე ეროვნული დესერტებითა და სასმელებით. თითოეული მათგანი თურქეთის კულტურას გემოში გამოხატავს.

დასავლურ-აღმოსავლური დივანის ორკესტრი

თამარ უზოიანი, ნანა გაფრინდაშვილი

დასავლურ-აღმოსავლური დივანის ორკესტრი, ეს არ არის ერთი ჩვეულებრივი ორკესტრი, რადგანიგი მეტად მნიშვნელოვან და დღესაც აქტუალურ საკითხს უკავშირდება. ეს გახლავთ ებრაელებისა და არაბების კონფლიქტი. ორკესტრი წარმოადგენს ამ პრობლემის სხვაგვარ ხედვასადამისი დამღევის შესაძლებლობის ჩვენებას. შესაბამისად, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ საკითხზე საუბარი, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს.



ედუარდ საიდი

დასავლურ-აღმოსავლური დივანის ორკესტრი 1999 წელს სევილიაში დაარსეს ედუარდ საიდმა და დანიელ ბარემბოიმმა. ორიოდე სიტყვით შევხვით მათ.

ედუარდ საიდი (1935-2003 წ) არის პალესტინელი არაბი. დაიბადა იერუსალიმში, მაგრამ 12 წლის ასაკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. იგი მოღვაწეობდა ამერიკაში, არის მწერალი, მუსიკოსი, ინგლისურისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორი კოლუმბიის უნივერსიტეტში, ასწავლიდა ასევე ასამდე სხვადასხვა უნივერსიტეტში . საიდი აქტიურად იცავდა პალესტინელთა უფლებებს, რათა მათ ჰქონოდათ საკუთარი სახელმწიფო. ამასთანავე, იყო პალესტინის ნაციონალური საბჭოს წევრი.



დანიელ ბარემბოიმი

რაც შეეხება, დანიელ ბარემბოიმს (1942-), იგი არის ებრაელი წარმოშობის, დაიბადა ბუენოს აირესში (არგენტინა). ბარემბოიმი გახლავთ მეტად წარმატებული და ცნობილი პიანისტი და დირიჟორი, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათშორის არის შვიდგზის გრემის მფლობელი . დანიელ ბარემბოიმიარის პალესტინელთან უფლებების დამცველი. ბარემბოიმი აკრიტიკებს ისრაელის ოკუპაციურ პოლიტიკას, ამიტომ მას ისრაელში მოიხსენიებენ, როგორც „ჭეშმარიტ ებრაელთმომულეს“. უნდა აღინიშნოს ბარემბოიმის მოღვაწეობის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი, როდესაც 1967 წელს, ექვსდღიანი ომის დროს თავის საცოლესთან ერთად იერუსალიმში, თელ-ავივში, ჰაიფასა და ბერშევაში კონცერტი ჩაატარა. ამ ფაქტის მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია, რადგან ისინი უკრავდნენ და სიმღერით ამხნეებდნენ ჯარიკაცებს. ასე მოიქცა იგი 1973 წელსა და 1990-1991 წლებშიც.

როგორც უკვე ვთქვით, საიდმა და ბარემბოიმმა 1999 წელს დაარსეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანის ორკესტრი“ სევილიაში, რომელიც დღესაც არსებობს და რომლის სახელწოდება გოეთეს ამავე სათაურის მქონე ნაწარმოებს უკავშირდება (West-östlicher Divan). გოეთემ, „ჰაფეზის სპარსული ლექსის კეთილხმოვანება ევროპულ კილოზე გააწყო და

დასავლურ ჰანგზე აამღერა“ , სწორედ ამ კულტურული დიალოგის გზის გამგრძელებად გვევლინება ეს ორკესტრი. ამასთან,დაისმის კითხვა:რატომ სევილიაში? ეს ადგილი მათ სწორედ იმიტომ შეარჩიეს რომ აქ საუკუნეების განმავლობაში (VIII საუკუნიდან, როდესაც არაბებმა დაიყრეს პირენეის ნახევარკუნძული) ესპანელების გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ როგორც ებრაელები ისე არაბები.შესაბამისად, ეს ადგილი სიმბოლურად იყო გამოხატულება იმისა, რომ ებრაელებსა და არაბებს ერთად მშვიდად შეუძლიათ ცხოვრება და მეტად საინტერესო და ორიგინალური კულტურის შექმნა.

ორკესტრის წარმომადგენლები იყვნენ ძირითადად ებრაელები და არაბები. მათი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი და მისი ფერიცვალების პროცესი იდეალურად არის ასახული პოლ სმაჩნის დოკუმენტურ ფილმში „knowledge is the beginning“ (ცოდნა დასაწყისია). ვფიქრობთ, ყურადსაღებია ფაქტი, რომ მან ხელოვნებასთან დაკავშირებული საუკეთესო დოკუმენტურიფილმისათვის 2006 წელს ემისჯილდო დაიმსახურა. ე.საიდი და დ.ბარემბოიმი აღნიშნავდნენ, რომ ეს პროექტი არ ემსახურება მშვიდობის დამყარებას დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაკვრის გზით, არამედ მათი მიზანიაუმეცრების წინააღმდეგგალაშქრება,„იმის გაცნობიერება, რომ ადამიანებისათვის აბსოლუტურად აუცილებელია იცნობდნენ სხვებს, ესმოდეთ, რას ფიქრობენ და გრძნობენ სხვები ისე, რომ აუცილებლად არ დაეთანხმონ მათ“,ადამიანებმა გაიცნონ ერთმანეთი და გაიგონ მეტი ერთმანეთის შესახებ და „შეიქმნას პლატფორმა, სადაც ეს ორი მხარე შეძლებს, დანებით კი არ გაუსწორდეს ერთმანეთს, არამედ, უბრალოდ, არ დაეთანხმონ“.

ამასთან, საინტერესოა ფილმი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მისი გადაღება სწორედ ორკესტრის დაარსების პერიოდში იწყება. ფილმში ასახულია მრავალი ინტერვიუ ახლგაზრდა ებრაელებთან და არაბებთან. ორკესტრი საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე აწყობდა სხვდასხვა გასვლით ღონისძიებას და ერთ-ერთი ასახულია ფილმშიც. ეს გახლავთ საკონცენტრაციო ბანაკში სტუმრობის ამსახველი კადრები, სადაც ახალგაზრდებმა გააცნობიერეს, რომ ეს ანტისემიტური ქმედება (ჰოლოკოსტი), რომელიც განხორციელდა ებრაელების მიმართ,შეიძლებოდა მომხდარიყო არაბების მიმართაც, ამით მათ რაღაც საერთო გამონახეს, რაც, ვფიქრობთ, საინტერესოა და ამასთან სწორედ ეს, ანუ ცოდნა, ქმნის უკეთესი

მომავლის პერსპექტივას. ყოველ წელს, ორკესტრანტები იკრიბებოდნენ ანდალუზიაში, საზაფხულო სკოლაში, რომლის დასრულებისას ისინი მართავდნენ კონცერტს, რომელსაც ყოველთვის დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ამასთანავე, 2004 წელს დაარსდა ბარემბოიმ-საიდის ფონდი, რომელსაც მხარს უჭერს ანდალუზიის ხელისუფლება, ფონდის მიზანი მეტად საინტერესოა: განათლების გავრცელება მუსიკის გზით.



დასავლურ-აღმოსავლური დივანის ორკესტრი

დასავლურ-აღმოსავლური დივანის ორკესტრი არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა შეუძლია მუსიკას, როგორ შლის საზღვრებს კულტურებს შორის და არღვევს კულტურათაშორის ბარიერებს, აერთიანებს ადამიანებს და ამარცხებს იმ რელიგიურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ განსხვავებებს, რაც მათ შორის არსებობს და აიძულებს მათ ჰარმონიულად იმოქმედონ. როგორც პოლ სმაჩნი ამბობდა: „ორკესტრში დაკვრა ასწავლის არაბ და ისრაელელ ბავშვებს არა მხოლოდ მუსიკის გაზიარებას მათთან, ვისაც ადრე არასდროს შეხვედრიან, არამედ სხვის მოსმენასა და საკუთარი აზრის გამოთქმასაც...გვაჩვენებს იმას, თუ როგორი შეიძლება იყოს ახლო აღმოსავლეთი“.რა თქმა უნდა, ეს არ არის იმ დიდი დავის მოგვარების გზა, რომელიც არსებობს ებრაელებსა და არაბებს შორის, თუმცა ეს პირველი ნაბიჯია. ეს არის მცდელობა იმისა, რომ ებრაელებსა და არაბებს არ ჰქონდეთერთმანეთზე ცალმხრივი ისტორიები, გაეცნოთ ერთმანეთი და არ

ჰქონდათ ასოციაცია ებრაელის ან არაბის გაგონებაზე მხოლოდ ომთან, სიკვდილთან, დანაკარგთან, რამეთუ ადამიანებს იმაზე მეტი საერთო გვაქვს, ვიდრე წარმოგვიდგენია.

ზემოხსენებულ, პოლ სმაჩნის ფილმში მონაწილე ორკესტრანტები, სწორედ იმას საუბრობდნენ, რომ არაბულ ქვეყნებში სტუმრობამ (კონკრეტულად მაროკოზე საუბრობენ) და იქ კონცერტის ჩატარებამ დაანახათ, რომ ეს არ არის მხოლოდ „ტერორისტების“ ქვეყანა, პირიქით, მათ გამორჩეული და მრავალფეროვანი კულტურა აქვთ, ყოველივე ამის ნახვამ და გათავისებამ კიდამსხვრია ის ცალმხრივი ისტორიები, რომლებიც ორკესტრანტებს ჰქონდათ არაბულ ქვეყნებზე, ეს ყველაფერი კიუმნიშვნელოვასი წინაპირობაა უკეთესი მომავლისათვის.

საბოლოოდ, ვფიქრობთ, პოლ სმაჩნის დოკუმენტური ფილმის სათაური „ცოდნა დასაწყისია“ იდეურად ზუსტად ეხმიანება ორკესტრის შინაარსსა და დასახულ მიზანს. კერძოდ, ცოდნის შეძენა ერთმანეთის შესახებ, გაცნობა, კულტურათაშორისი დიალოგი და ორივე მხარის (ებრალების და არაბების) პოზიციის მოსმენა არის სწორედ კონფლიქტის დასასრულის დასაწყისი და დაპირისპირებულ მხარეებს შორის აღმართული ბარიკადებისა დამსხვრევის მცდელობა.

ანტუან სევრიუგინის თვალით დანახული XIX საუკუნის ირანი

მარიამ ბუკია

ამა თუ იმ ერის კულტურა, ისტორია ფიქსირებული ერთ კადრში ისტორიკოსისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. ზოგიერთ ფოტოსურათში აღბეჭდილი წამი შესაძლოა იმაზე მეტი იყოს, ვიდრე მემატთანეს მიერ მონაყოლი ჩვეულებრივი ამბავი. ფოტოგრაფია თვალსაჩინოს ხდის იმას, რაც უწინ მხოლოდ მოსმენილი ან წაკითხული გვექონდა. უფრო მეტიც, ხშირად იგი ფირზე აღბეჭდავს იმას, რაც მსოფლიო მეხსიერებამ საერთოდ ვერ შემოინახა ან იმდენად უმნიშვნელო დეტალად ჩათვალა, რომ მასზე ყურადღება საერთოდ არ გაამახვილა.

როგორ გამოიყურებოდა ირანი XIX საუკუნეში? როგორი იყო აქ მცხოვრები საზოგადოების ტრადიციული კულტურა და სოციალური მოწყობა? - ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს მივიღებთ თუკი გავეცნობით ყაჯართა დინასტიის კარის ფოტოგრაფის, ანტუან სევრიუგინის, ფოტომასალას, რომელიც ირანში საკმაოდ წარმატებული ფოტოატელიეს მფლობელი გახლდათ. მისი ნამუშევრები ირანელებისთვის უდიდესი ღირებულების მქონეა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს მაშინდელი ირანის გასაცნობად.

ანტუან სევრიუგინი დაიბადა 1851 წელს, თეირანში. მისი დედა, აჩონ-ხანუმი, წარმოშობით ქართველი იყო. მამა, ვასილი სევრიუგინი, მოსკოვში ლაზარევის სასწავლებლის დასრულების შემდეგ თეირანში დიპლომატად მუშაობდა. ანტუანს მამა ადრე გარდაეცვალა. ამ უბედური შემთხვევის გამო, პირველ ჯერზე მისი ყოფნა სპარსეთში ხალხმოკლე აღმოჩნდა. დედამ შვილები სკოლის დასრულების შემდეგ თბილისში გადმოიყვანა საცხოვრებლად, სადაც ანტუანმა ფერწერის შესწავლა დაიწყო და დაინტერესდა ფოტოგრაფიით. აქ მან გაიცნო დიმიტრი ერმაკოვი, 60-იან წლებში საქართველოში მცხოვრები გამოჩენილი ფოტოგრაფი, რომელსაც მის მოღვაწეობაზე და პროფესიულ საქმიანობაზე დიდი გავლენა მოუხდენია. 70-იანი წლებიდან დაწყებული ესმეგობრობა და თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალგაზრდა ფოტოგრაფისთვის. ანტუანმა სერიოზული გამოცდილება მიიღო, რაც აისახა კიდევაც მის ნამუშევრებში. მალე იგი ერმაკოვთან, თავის ძმებთან, ემანუელთან და ნიკოლოზთან ერთად, ირანში გაემგზავრა, სადაც შექმნა დოკუმენტური სურათების სერია. ცხენებით ძვირადღირებული და მძიმე აპარატურის ტარება ადვილი არ იყო, თუმცა ხელოვანს სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

ანტუან სევრიუგინმა თეირანში, ფირდოუსის ქუჩაზე, ფოტოატელიე გახსნა. მის ნამუშევრებში ერთდროულად აისახა ირანის კლასიკური კულტურა, სხვადასხვა სოციალური ფენის თავისებურებები. ის იყო პირველი ფოტოგრაფი ირანის ისტორიაში, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნასერ ადილ შაჰის მმართველობის პერიოდში სამეფო კარზე შემოიტანა ახალი ევროპული ტექნოლოგია ფოტოგრაფიის კუთხით.

სახელმწიფოს იმდონდელი მონარქი დიდებული რეფორმატორი იყო. იგი ცდილობდა ევროპის კულტურული თუ ტექნოლოგიური მიღწევებისთვის ფართოდ გაეღო კარი ირანშიც. შაჰის მსგავსი დამოკიდებულება ანტუან სევრიუგინს შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევდა საკუთარი საქმიანობის გასაფართოებლად. თავად მმართველის სასახლე, ჰარემი დიდებულ მასალად იქცა მისი ფოტოგრაფიული შემოქმედებისა. ლომისა და მზის ორდენით დაჯილდოვებული ფოტოგრაფი მალე იმდენად ცნობილი გახდა, რომ ევროპელი მოგზაურები, ისტორიკოსები, მკვლევრები, არქეოლოგები ირანის ბუნების, ისტორიის, ცხოვრების გასაცნობად სწორედ მის ატელიეს სტუმრობდნენ.

ცნობილია, რომ 1900-იან წლებში გერმანელი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, ფრიდრიხ სარას დავალებით იგი იღებდა აქემენიდური და სასანიდური იმპერიების ღირშესანიშნავ ძეგლებს. ამისათვის ფოტოგრაფმა მოაწყო ექსპედიცია, რეგიონის ტომის ბელადებთან კარგი ურთიერთობის წყალობით. მან შეძლო შესანიშნავი ფოტომასალის დაგროვება. მისი ნამუშევრები სარამ 1911 წელს გამოაქვეყნა საკუთარ წიგნში, რომელიც სპარსეთის სიმღველებს ეხებოდა.

ანტუან სევრიუგინის მოღვაწეობის დროს ირანი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი მხარე იყო. იგი გამოირჩეოდა ორიგინალური კულტურით. მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო თუ ესთეტიკური მხარით ევროპის ბევრი ქვეყანა იყო დაინტერესებული. მამრობითი სუბკულტურის ატრიბუტები - ირანული იარაღი, ჯავშანი, ხალიჩა და სხვა ფუფუნების საგნები, დასჯის სცენები იყოს ის, რაც გარშემომყოფებს ძალიან იზიდავდა. ანტუანიც იმდროინდელი ირანის ყოველ დეტალს იღებდა და კადრად აცოცხლებდა.

მკვლევრები ლ. გუჩიანი და ი. ტამჩარიანი რუსეთის მეცნიერებათა ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული კოლექციის მიხედვით, გამოყოფენ რამდენიმე თემატიკას ანტუანის ფოტოგრაფიულ შემოქმედებაში:

1. ლანდშაპტი, ბუნება, დემონსტრაციული ქალაქისა თუცალკეული დასახლებების პანორამა, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები - სასახლეები, მეჩეთები;

2. ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი კადრები;
3. სურათები პროფესიული საქმიანობის შესახებ;
4. სარიტუალო, სადღესასწაულო სცენები;
5. პორტრეტები;
6. სხვადასხვა სოციალური პირების - შაჰების, პრინცების, მდიდარი ვაჭრების, მუსიკოსების, ჯარისკაცების, მოცეკვავეების, დერვიშული გრაფების - ფოტოები;
7. სხვადასხვა ეთნოსი, კულტურული მრავალფეროვნება. მომთაბარეთა - თურქმენების, ქურთების, არაბების და სხვათა - ცხოვრება.



ანტუნ სევრიუგინი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდა დერვიშთა მიმართ. დერვიშები ისლამის ერთ-ერთ სუფისტურ დენომინაციას წამოდგენენ. თუკი მათი სახე მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებებიდან იყო ცნობილი, ფოტოგრაფმა მსოფლიოს მათი სახე უფრო ფართო ხედვის კუთხიდან დაანახა და ისინი უფრო რეალისტური და ცოცხალი გახადა. აღანიშნავია ასევე ქალთა ფოტოსურათები, რომელშიც აქცენტირებულია მათი ჩაცმულობა და სევდანარევი გამომეტყველება.



ანტუან სევრიუგინის ფოტოგრაფიული შემოქმედების კვლევა მხოლოდ 1980- იანი წლებიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა ჰოლი ედვარდმა, რომლის ინიციატივითაც 1981 წელს სმითსონის უნივერსიტეტში გაიმართა ანტუანის ნაშრომების გამოფენა სახელწოდებით - „ანტუან სევრიუგინი, ირანის ფოტოსურათები“. ამას მოჰყვა 1983 წელს ი. აფშარმის მიერ დაწერილი სტატია სპარსეთის ადრეული ფოტოგრაფების შესახებ, სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნებოდა სევრიუგინიც. აღსანიშნავია დონა სტაინის ლექციაც „ირანის ხელოვნება და კულტურა ყაჯართა დინასტიის დროს“, რომელიც ეხება ფოტოგრაფის მიერ განხორციელებულ ექსპედიციებს სპარსეთის სხვადასხვა კუთხეში, რითაც მან შექმნა კიდევ ადამიანთა ცხოვრების, პეიზაჟების ენციკლოპედიური არქივი. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს სევრიუგინის ინდივიდუალურ სტილზე - შუქ-ჩრდილის ბალანსი და მისი სინთეზი კომპოზიციურ წყობასთან, ყველანაირი დეკორატივისგან დაცლილი გარემოდა სხვა . სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით იქმნებოდა ადათების, ურბანული თემების, სოფლის ცხოვრების ამსახველი კადრები.



სამწუხაროდ, 1908 წელს სევრიუგინის ფოტოატელიეთეირანში, სახელმწიფო გადატრიალების დროს დაინგრა. კოლექციიდან, რომელიც დაახლოებით 7000-მდე ფოტოსურათს შეადგენდა, მხოლოდ ნაწილი შემორჩა. დანარჩენი რეზა ფეჰლევის ბრძანებით გაანადგურეს. ანტონის ქალიშვილმა, მარიამმა მხოლოდ 2000 სურათის შესყიდვა მოახერხა. დღეს მისი ფოტოები ინახება გერმანიაში, ირანში, ნიდერლანდებში, აშშ - ში, მათ შორის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში, რაც ლადო აღნიაშვილისა და ამბაკო ჭელიძის დამსახურებაა. ქართველი საზოგადოებისთვის ანტუნ სევრიუგინი და მისი ნამუშევრები სწორედ ბატონი ამბაკოს დიდებულ წიგნზე „ფერეიდნელი ქართველები“ მუშაობისას გახდა ცნობილი. ანტონ სევრიუგინი გარდაიცვალა 1933 წელს, დაკრძალულია თეირანში.

აღმოსავლეთი, რწმენისა და ცოდნის კიდობანი

ქართველი ბერებისათვის.

თამთა ცერცვაძე

აღმოსავლეთი ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებდა კულტურული, ლიტერატურული და რელიგიური თვალსაზრისით. ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ენის ფუნქციურ ლეგიტიმაციად იქცა ღვთის სიტყვის ქადაგება. ამისთვის კი მაშინდელი ენების უმეტესობა მზად არ იყო, მათ შორის ქართული ენა. წამყვანი პოზიცია დაიკავა ძველმა ბერძნულმა ენამ. ჩვენთან და სხვა ქვეყნებშიც წირვა ლოცვები მიმდინარეობდა ბერძულ ენაზე. ამის შემდგომ განვლო დრომ და საქართველოში დაიწყო ღვთისმსახურება ქართულ ენაზე. თუმცა ამ უფლებისა და პატივის მოპოვება მარტივი არ ყოფილა.

უპირველეს ყოვლისა ქართულმა ენამ მოიპოვა ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაცია. ანუ ენამ შეძლო გამხდარიყო გამოყენებადი ვაჭრობაში, წირვა ლოცვების დროს, ლაპარაკის დროს და ა.შ. ყველაზე რთული ბერძნებისთვის ქართული ენის თვისობრივი ლეგიტიმაციის აღიარება აღმოჩნდა. მათ არ მიაჩნდათ, რომ ქართული ენა იყო მზად გრამატიკულად, ლექსიკურად, ფონეტიკურად ბერძნულიდან გადაეტანად ღვთისმსახურების ტექსტები. „ამ სირთულეების დაძლევის, ქართულ თარგმანთა ბერძნულ ორიგინალთან მაქსიმალური დაახლოებისა და ტერმინოლოგიის დახვეწის მცდელობით ქართული ენა ისტორიული განვითარების ახალ საფეხურზე გადადის: ბერძნულთან თვისობრივი გატოლება, თვისობრივი ლეგიტიმაცია.“ გარდა ყოველივე ზემოთთქმულისა, ბერძნები ამბობდნენ, რომ ბერძნული ენა იყო ღრმა უფსკრულივით, ქართული მასთან ახლოს ვერ მივიდოდა, ჩვენ ამაზე პრეტენზია არ გვქონია, რადგან არ ვცდილობდით ქართული ენა ბერძნულის მოქიშპე გამხდარიყო უბრალოდ გვინდოდა ეღიარებინათ ბერძნებსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომ ქართული ენა მზად იყო ყოველივესთვის.

ქრისტიანობის გავრცელებას თან მოჰყვა წერა კითხვის გავრცელება, ადამიანების წიგნიერი სამყაროსკენ გახედვა და ცივილიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლა. ჩვენთან ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად, ხოლო

აღმოსავლეთში, მაგალითად წმინდა მიწაზე, უკვე არსებობდა სამონასტრო კერები, სადაც ღვიოდა განათლება და შემეცნებითი მსახურება. იმისთვის, რომ ქართველებს შეგვძლებოდა გვექონოდა ქართულ ენაზე თუნდაც წმინდა წერილი საჭირო გახლდათ მთარგმნელობითი საქმიანობის არსებობა, რაც მაშინდელ საქართველოში არ არსებულა, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელამდე. თუ აღმოსავლეთში არსებობდა სინას მთა, შავი მთა, სადაც ბერები ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას არა მხოლოდ ბერძნულ ენაზე არამედ სირიულზე და არაბულზე, საქართველოში მსგავსი კერა გრიგოლ ხანძთელამდე არ არსებულა, მან დაარსა შემდგომ ტაო-კლარჯეთში სამონასტრო კერები და ტიპიკონიც სწორედ აღმოსავლეთიდან ჩამოიტანა. რა თქმა უნდა ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ ამ დრომდე ქართულ ენაზე არაფერი გადმოუთარგმნიათ. ქართველი ბერები და სასულიერო პირები ხშირად მიდიოდნენ წმინდა მიწის მოსალოცად, შემდეგ კი რჩებოდნენ აღმოსავლეთში არსებულ მონასტრებში და ქართულად თარგმნიდნენ იმ დროისათვის ყველაზე საჭირო საეკლესიო და ლიტურგიკულ ტექსტებს, შემდეგ საქართველოში აგზავნიდნენ. ასეთი კერები მრავალი იყო აღმოსავლეთში, მაგალითად სირიაში. „ასკეტურ-სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ადრეული კერა ჩრდ.სირია იყო. სირიის მეუღაბნოეთა შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი და არაერთი მოწესე შემოიკრიბა სვიმეონ მესვეტემ. სირიულმა ქრისტიანულმა სკოლებმა და განსაკუთრებით კი ნისიბინის სკოლამ დიდი გავლენა იქონია ადრეული ქრისტიანული აზროვნების განვითარებაზე. ქართველმა ასკეტებმა ამ სივრცეს მეექვსე საუკუნეში მიმართეს, როდესაც სირიულ ბერმონაზვნობას სათავეში ანტიოქიის მახლობლად ანუ შავ მთაზე დამკვიდრებული სვიმეონ მესვეტე უმცროსი ჩაუდგა. ამას ხელს უწყობდა თვით ქართული ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულება ანტიოქიის საპატრიარქოზე. მეექვსე საუკუნეში საქართველოში ანტიოქიიდან ჩამოვიდა 13 ასურელი მამაც. სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია ბევრ დოკუმენტს ქართველთა VI-X საუკუნეში შავ მთაზე მოღვაწეობის შესახებ, ვარაუდის დონეზე ქართული ხელნაწერებით შეგვიძლია მსჯელობა. დადასტურებულია ის, რომ XI-XIII საუკუნეში დანამდვილებით არიან აქ ქართველები და მოღვაწეობენ აქტიურად. მეთერთმეტე საუკუნის 60-იან წლებში შავი მთის სავანეებში მოღვაწეობდნენ: გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, გიორგი შეყენებული, ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი, საბა სულაისძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, იოანე დვალი და

სულ 60 ქართველი. ქართველები ჩანან შავი მთის 8 მონასტერში : სვიმეონწმინდა, რომანწმინდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი. ამ მონასტრების არსებობის შესახებ კი ბიზანტიელებისთვის ცნობილი ქართული ხელნაწერებით გახდა.

აღმოსავლეთში რწმენისა და ცოდნის კიდევ ერთ-ერთ უდიდეს კიდობნად ათონის მთარგმნელობითი სკოლა იქცა. X საუკუნეში ათანასე ათონელისა და იოანე ათონელის (სამცხელი დიდგვაროვნების) თაოსნობით იწყება ქრისტიანობის ახალი სამონასტრო ცენტრის ათონის მშენებლობა. მათ დაარსეს ათანასეს ლავრა, ხოლო მერე იოანე და მისი ვაჟი ექვთიმე საფუძველს უყრიან ერთ-ერთ პირველ მონასტერს ათონზე-ივირონის მონასტერს. სწორედ აქ მოღვაწე ქართველი ბერები თარგმნიდნენ და ითვისებდნენ სრულიად ბიზანტიურ ლიტერატურას და ყველაფერს თუ იყო დავით კურაპალატთან და თუ იყო ტაოში აგზავნიდნენ. ექვთიმე ათონელი იყო ათონის სალიტერატო სკოლის მამამთავარი, მის შესახებ ცნობები მოგვეპოვება მისივე მოწაფის გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილ ბიოგრაფიაში. ექვთიმე იოანე ათონელის უმცროსი ვაჟი გახლდათ, როცა იოანემ საერო ცხოვრებაზე თქვა უარი და ბერად აღიკვეცა ოლიმპოს მთაზე, საქართველოში ცოლ-შვილი სიმამრს დაუტოვა, პატარა ექვთიმე კი კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა იმპერატორის კარზე. ეს, რომ იოანემ გაიგო ექვთიმე მასთან აიყვანა მონასტერში, პატარა ექვთიმეს ძალიან კარგად სცოდნია ბერძნული, თუმცა ქართული არ ესმოდა. ერთ დღესაც ავად გამხდარა, ღვთისმშობელი გამოცხადებია და მისთვის ქართული ენის ცოდნა შთაუგონებია. გაღვიძებულმა ექვთიმემ ბერძნულიც და ქართულიც ერთნაირად იცოდა. ამის შემდეგ იოანემ ექვთიმესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ოლიმპოს მთა დატოვა და ათონზე, ათანასეს ლავრაში გადასახლდა. წამოზრდილ ექვთიმეს იოანემ უთხრა, რომ მას შეეძლო ქართველთათვის ეთარგმნა ბევრი ისეთი რამ, რაც არ ჰქონდათ, ასე რომ ექვთიმეც შეუდგა საქმეს. იგი მარტო ბერძნულიდან ქართულად კი არა, ქართულიდან ბერძნულადაც თარგმნიდა. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა არამარტო ათონის მონასტრის წინამძღოლი, არამედ სხვა მონასტრებიც ჩააბარეს და ძალაუვნებურად თარგმანთა სიხშირემაც იკლო. იოანე ათონელისა და ექვთიმეს თარგმანები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, შესაბამისად მათ უდიდესი როლი ითამაშეს მაშინდელი

საქართველოსთვის არა მხოლოდ რელიგიური, არამედ კულტურული და ლიტერატურული თვალსაზრისით. იოანე თარგმნიდა არა მხოლოდ სასულიერო და ლიტურგიკულ წიგნებს ,არამედ ისეთებსაც, რაც საჭიროდ მიაჩნდა ერის განვითარებისთვის. ექვთიმე კი ცდილობდა მთლიანად აეთვისებინა ბიზანტიური ლიტერატურა, რადგან იცოდა ბერძნები ყოველივე საუკეთესოს გადმომტანები იყვნენ მხოლოდ.

დღესდღეობით აღმოსავლეთის ქვეყნები ჩვენთვის სიძველესთან ასოცირდება ,თუმცა თითოეულმა ქართველმა უნდა იცოდეს ის უდიდესი ისტორია და კავშირი, რაც საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჰქონდა. ის დახმარების ხელი,რაც თავის დროზე გამოგვიწოდეს, შეიკედლეს და მიიღეს ქართველი ბერები,რომლებიც სირიელების ,არაბებისა და ბერძნების გვერდით ცდილობდნენ საკუთარი იდენტობის შენარჩუნებასა და სამშობლოს დახმარებას მათი მოღვაწეობით. ქართველმა ბერებმა არა მხოლოდ გადარჩინა და იდენტობის შენარჩუნება, არამედ იქ დამკვიდრება ,სხვების ჩაყვანა ,გაფართოება ,საკუთარი ქართული კერებისა და მონასტრების აშენება დაიწყო. მათ შექმნეს ისეთი კულტურული კერა ,რამაც მხოლოდ ლიტერატურულად კი არ გაამდიდრა ქართული ენა ,სარწმუნოება , არამედ შემოინახეს უძველესი აღმოსავლეთის კულტურული ისტორიებიც. ამას მოწმობს ის ფაქტიც ,რომ ქართულ ენაზე არის ბევრი ისეთი ბიზანტიური ტექსტი ,რისი ორიგინალიც მათ საკუთარ ენაზე არ მოეპოვებათ. ბიზანტიურობას კი თვითონ ტექსტში არსებული ინფორმაციით ვიგებთ ,რაც კიდევ უფრო დიადსა და აზრიანს ხდის იმ შეხედულებას ,რომ აღმოსავლეთი, რწმენისა და ცოდნის კიდობანი იყო ქართველი ბერებისათვის.

დრაკონი ჩინურ კულტურაში

თამარ შეყრილაძე, ანა ჩაჩიზაია.

დრაკონი აღმოსავლურ კულტურაში სიბრძნისა და ძალაუფლების სიმბოლოა. დრაკონები მოიაზრებიან როგორც ამინდის მბრძანებლები. მათ რისხვას მოჰყვება წყალდიდობები და სხვა სტიქიური უბედურებები. ამავდროულად დრაკონები იღბალთან და წარმატებასთან ასოცირდებიან. დასავლური, ანუ ევროპული დრაკონისგან განსხვავებით, აღმოსავლური დრაკონი სულაც არაა საზარელი ურჩხული. პირიქით, ეს არის არსება, რომელიც ღრმად პატივისცემას იმსახურებს შორეულ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ჩინეთში.

ჩინურ კულტურაში დრაკონი არ არის მხოლოდ მითოლოგიური არსება, რომელიც ფლობს ყველანაირ ცოდნას, ან აკონტროლებს ამინდს. დრაკონი ჩინეთის ისტორიაში ჯერ



კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. არა როგორც უბრალოდ რომელიმე მითოლოგიური პერსონაჟი ან ხალხური წარმოდგენა, არამედ როგორც იმპერიის სიმლიერის სიმბოლო. დრაკონი, როგორც მაგიური არსება ქვეყნისმმართველების წარმომავლობასთან იყო დაკავშირებული. იმპერატორი იანგდი დრაკონის შემწეობით დაიბადა, ხოლო მეორე იმპერატორი ჰუანგდი გარდაცვალების შემდეგ დრაკონად იქცა და უკვდავება მოიპოვა. ჩინეთში სწორედ ამ ორი



იმპერატორის შთამომავლებად თვლიან თავს და გასაკვირი არაა, რომ იმპერატორებს უწოდებდნენ „დრაკონის შვილებს.“ საინტერესოა ის, რომ გადმოცემის მიხედვით ჰუანგდომ ცხრა ტომის წინააღმდეგ გაილაშქრა და ყოველივეს დამარცხების შემდეგ მათი ემბლემები საკუთარში გააერთიანა. ეს ხსნის იმ ფაქტს თუ რატომ აქვს

ჩინურ დრაკონს ცხრა ცხოველის ნიშანი: კრვეეტის თვალები, ირმის რქები, ხარის პირი, ძაღლის ცხვირი, ლოქოს ულვაშები, ლომის ფაფარი, გველივით გრძელი კუდი, თევზის ქერცლი და ქორის კლანჭები.

სხვადასხვა დინასტიების დროს დრაკონს სხვადასხვა შეფერილობა ჰქონდა (ყვითელი, ოქროსფერი ან წითელი). იმპერატორები ატარებდნენ აბრეშუმის ხალათებს და მოსასხამებს, რომლებზეც გამოსახული იყო დრაკონები. აღსანიშნავია ისიც, რომ დრაკონი, რომელსაც ჰქონდა ხუთი კლანჭი, მხოლოდ იმპერატორის საკუთრებაზე იყო გამოსახული. დაბალი სტატუსის ადამიანებს ამ სიმბოლოს გამოყენება ეკრძალებოდათ. დრაკონი გამოისახებოდა სასახლეების კარიბჭეებთან, ასევე სამეფო ტახტს „დრაკონის ტახტს“ უწოდებდნენ. კავშირი სამეფო ოჯახსა და დრაკონს შორის ძალიან მჭიდრო იყო. ჩვ. წ. 1046-771 წლებში ჟოუს დინასტიის პერიოდში ფენიქსის გავლენამ იმატა, თუმცა ჩინეთის სიტორიაში ეს ერთადერთი გამონაკლისი იყო. დრაკონთან ერთად ფენიქსი წარმოადგენს ჩინური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმბოლოს, თუმცა როგორც ვხედავთ, მან დრაკონის გავლენა ვერ დაჩრდილა. დრაკონის აქტუალურობამ მეოცე საუკუნემდეც მოაღწია და გამოსახული იყო ჩინეთის რესპუბლიკის გერბზე 1913-1928 წლებში. 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადისთვის ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა დრაკონი უფრო „მეგობრული“ სიმბოლოებით შეეცვალა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჩინეთისგან გასხვაგვებით, სადაც დრაკონი იღბალთან და სიბრძნესთან ასოცირდება, მსოფლიოს სხვა კუთხეებში ისინი უფრო საშიში და მტრული ბუნებისანი არიან.

ერთ-ერთი ძველჩინური კოსმოგონიური მითის მიხედვით სამყაროს შემოქმედები არიან და-ძმა ფუში(伏羲 Fuxi) და ნიუ-ვა(女媧 Nüwa). ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ჰუასუმ უზარმაზარი ნაკვალევი დაინახა, ინტერესმა სძლია და მას ფეხი დაადგა. ეს ნაკვალევი ქუხილის ღმერთს ეკუთვნოდა. 12 წლიანი ფეხმძიმობის შემდეგ გაჩნდა ფუში, ნიუვა კი მისი ნახევარ-დაა. და-ძმა მთა ქუნლუნზე ცხოვრობდა და რადგანაც მანამდე არ არსებობდნენ ადამიანები, გადაწყვიტეს შთამომავლობის შესაქმნელად დაქორწინებულიყვნენ. თუმცა რცხვენოდათ, რადგან და-ძმა იყვნენ. ფუშიმ და ნიუვამ ღმერთებისგან მიიღეს თანხმობა და დაქორწინდნენ. ქორწილის დღეს ისინი სახეს მარათი

იფარავდნენ. ჩინეთში დღესაც არსებობს ქორწილისას სახის მარათი დაფარვის ტრადიცია. მათ თიხისგან გამოძერწეს ადამიანები და გააცოცხლეს ისინი(ზოგიერთი ვერსიით კაცობრიობის შექმნა მხოლოდ ნიუვას მიეწერება).

გარეგნულად მათ ადამიანის თავი და გველის ტანი აქვთ, ხოლო კუდებით გადახლართული არიან ერთმანეთში. მათ უკავშირდებათ ცისა და მიწის გამოიჯვნა, ასევე კაცობრიობის შექმნა. იცავენ სამყაროს წარღვნისგან.ზოგჯერ მათ გამოსახავენ როგორც წრედ შეკრულ გველს, იგივე „კუდისმჭამელ გველს“. საინტერესოა ის, რომ ფუსისა და ნიუ-ვას ერთობა გამოხატავს ინისა და იანის ერთობას. ფუსი არის იანის, ანუ მამაკაცური და ძლიერი ენერჯის, ხოლო ნიუვა კი ქალური ენერჯის ნიშანი. ინისა(ბნელის) და იანის(ნათელის) მონაცვლეობა განსაზღვრავს



დღე-ღამის,სიკვდილ-სიცოცხლის,

გაზაფხული-ზამთრის მონაცვლეობას.

აღსანიშნავია ის, რომ დრაკონების ძალა აკონტროლონ ამინდი და წყლის სტიქია, სწორედ ინის, ანუ მასკულინურ ძალას ეყრდნობა. ძველი გადმოცემების მიხედვით დრაკონები ბინადრობენ ცაში ან ტბებსა და ზღვებში. ოთხი მთავარი დრაკონი განაგებს ჰორიზონტის ოთხ მხარეს: აღმოსავლეთის დრაკონი(აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა), სამხრეთის დრაკონი(სამხრეთ ჩინეთის ზღვა), დასავლეთის დრაკონი(ტბა ჩინგჰაი) და ჩრდილოეთის დრაკონი(ჩრდილოეთის ზღვა ან ტბა ბაიკალი).

ჩინეთის სოფლებში, რომლებიც ახლოს იყო მდინარეებთან ან ტბებთან ხშირად აგებდნენ სალოცავებსა და ტაძრებს დრაკონებისთვის, სადაც გვალვის დროს დრაკონებს თხოვდნენ წვიმის მოსვლას. საინტერესოა ისიც, რომ მეფე ვუიეს უწოდებენ „მეფე დრაკონი“ და „ზღვის დრაკონი“, რადგან მან გაატარა რეფორმები ჰიდრო-ინჟინერიაში და როგორც იტყვიან „დაიმორჩილა“ ზღვა.

შენლონგი ღვთაებრივი დრაკონია, რომელიც ამინდს აკონტროლებს. სოფლის მაცხოვრებლები პატივს სცემენ მას, რადგან მოსავლის მოსაყვანად უხვი წვიმებია საჭირო. თუკი იგი იგრძნობს, რომ მას პატივს არ სცემენ ან მივიწყებულია, საშინლად ბრაზდება და თავის რისხვას წყალდიდობის სახით ატეხს თავს ხალხს. ჩინეთის ისტორიაში ყველაზე დიდი წყალდიდობა სწორედ მის სახელს უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ შენლონგი იმპერიული დრაკონიც იყო და გამოსახული იყო იმპერატორთა მოსახამებზე.



ოთხი დრაკონის ამბავი - დიდი ხნის წინათ დედამიწაზე არ იყო ტბები და მდინარეები, არსებობდა მხოლოდ სამხრეთის ზღვა სადაც ბინადრობდა ოთხი დრაკონი: გრძელი დრაკონი, შავი დრაკონი, ყვითელი დრაკონი და მარგალიტის დრაკონი. ერთ დღესაც დრაკონები ცაში აფრინდნენ და იქიდან აკვირდებოდნენ დედამიწას. მარგალიტის დრაკონმა რაღაც შეამჩნია და

დანარჩენებს უხმო. მათ დაინახეს ადამიანები, რომლებსაც შეეგროვებინათ ხილი და ტკბილეული. ისინი ლოცულობდნენ: „სამოთხის მბრძანებელო, გთხოვ გამოუშვი წვიმა, რათა ჩვენს შვილებს ბრინჯი ვაჭამოთ.“

დედამიწაზე წვიმა დიდი ხნის განმავლობაში არ მოსულა, ამიტომ ყველა მცენარე გახმა და ადამიანებს საკვები აღარ ჰქონდათ. დრაკონებს ხალხი შეეცოდათ და გადაწყვიტეს ნეფრიტის იმპერატორთან მისულიყვნენ წვიმის სათხოვნელად. ნეფრიტის იმპერატორი დაპირდა მათ, რომ ხალხს წვიმას მოუვლენდა, მაგრამ ათი დღე ისე გავიდა, რომ დედამიწაზე წვიმა არ მოსულა. დრაკონებს ადამიანები ძალიან ეცოდებოდათ. გრძელმა დრაკონმა ზღვას გადახედა და დანარჩენებს უთხრა: „შეხედეთ, ნუთუ ზღვაში საკმარისი წყალი არაა? ზღვიდან წყალი ცაში ავიტანოთ, შემდეგ კი დედამიწაზე ის წვიმად მოვა, მაგრამ როცა ნეფრიტის იმპერატორი ამას გაიგებს აუცილებლად დაგვსჯის.“ „ჩვენ მზად ვართ ყველაფრისთვის, რადგან გვინდა ადამიანებს დავეხმაროთ.“ _უპასუხეს დანარჩენებმა.

დრაკონებმა ზღვიდან წყალი ამოიტანეს და დედამიწაზე გადმოაქციეს. ასე გააკეთეს რამდენჯერმე და ადამიანებს წვიმაც მოუტანეს. ადამიანები სიხარულისგან დახტოდნენ და მღეროდნენ. ზღვის ღმერთმა ეს ამბავი იმპერატორს მოახსენა. იმპერატორმა მთის ღმერთს უბრძანა, რომ ისინი სამუდამოდ მიეჯაჭვებინა მთებისთვის. დრაკონებს არ უნანიათ თავიანთი საქციელი, პირიქით, ოთხივე დიდ მდინარედ იქცა, რათა ადამიანებს ყოველთვის დახმარებოდნენ. ასე გაჩნდა ჩინეთის ოთხი დიდი მდინარე: ხუანხე(ყვითელი მდინარე), ხეილუნძიანი, იგივე ამური(შავი დრაკონი), ჩანგძიანი(იანძი, ანუ გრძელი მდინარე) დაზუძიანი(მარგალიტის მდინარე).

ჩინურ კულტურაში ციფრი ცხრა ძალიან მნიშვნელოვანია. ლეგენდის მიხედვით დრაკონს ცხრა შვილი ჰყავდა, რომლებსაც სხვადასხვა ცხოველის ელემენტი გააჩნდათ. ჩინეთში შეიძლება ნახოთ დრაკონის გამოსახულება რომელსაც აქვს კუს თავი, ან აქვს ვეფხვის ტანი, ლეოპარდის თავი და გველის მუცელი. დრაკონის ცხრა შვილი გამოსახულია აკრძალული ქალაქის(ასე ეწოდება საიმპერიო ქალაქს) ყველა კედელსა თუ სახურავზე. აკრძალული ქალაქი სწორედ იმპერატორების სასახლეებს მოიცავდა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სასახლის სახურავის კიდეებზე დრაკონის ქანდაკებები შენიშნოთ.

დრაკონის გავლენა ჩინურ კულტურაში ამით არ შემოიფარგლება. ჩინური ზოდიაქოს მეთორმეტე ნიშანი სწორედ დრაკონია. მისი გარეგნობაც ხშირად დანარჩენი თერთმეტი ცხოველის გაერთიანებაა. ჩინეთში სჯერათ, რომ დრაკონის წელში დაბადებული ადამიანები ყველაზე კარგი ლიდერები არიან. ასევე ხშირად იყენებენ ბრძნულ გამონათქვამებს. მაგალითად, „დრაკონი ადამიანთა შორის“ ნიშნავს, რომ ვიღაცას დიდი ნიჭი აქვს, „დრაკონის კარიბჭეზე გადახტომა“ ნიშნავს იღბალს. ლეგენდის თანახმად, ის ვინც დრაკონის კარიბჭეს გადახტება, თავად გახდება დრაკონი. თუმცა სად მდებარეობს ეს ჯადოსნური ადგილი, არავინ იცის. ჩინეთში არის რამდენიმე ჩანჩქერი, რომელიც შესაძლოა იყოს ნამდვილი დრაკონის კარიბჭე, მაგალითად, ცხრა დრაკონის ჩანჩქერი ან მარგალიტის ჩანჩქერი.

სამურაი- იაპონური კულტურის ფენომენი

ლელა ჯაბანიშვილი

მას შემდეგ, რაც უპველესმა ადამიანმა ისწავლა იარაღის გამოყენება, შეიძლება ითქვას, საფუძველიდაედო საბრძოლო კულტურის განვითარებასა და დახვეწას. მსოფლიოს მასშტაბით, თითოეული ქვეყნისა და ხალხის ისტორიაში უდიდესი როლი ენიჭება სამხედრო-პოლიტიკური ფენის არსებობას, რომლის „ზურგზეც“ გადადის უამრავი ადამიანის, ქვეყნისა თუ ქალაქის ყოფნა-არყოფნის საკითხი. პროფესიონალ მებრძოლთა პრივილეგირებული ფენის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მაგალითები მსოფლიო ისტორიის შესწავლისას მრავლად მოგვეპოვება და გამონაკლისი არ არისაზიის ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა- იაპონია, რომლის კულტურაშიც დიდ როლს ასრულებს ორიგინალურობით გამორჩეული სამურაის ფენომენი.



„ამომავალ მზის“ ქვეყნის ისტორიის მიმოხილვისას ვიგებთ, თუ რამდენად დიდი ადგილი ეკავათ სამურაებს პროფესიონალ მებრძოლთა ფენის ჩამოყალიბების პერიოდიდან. მოცემულ სტატიაში ვისაუბრებთ იმ უმნიშვნელოვანეს ფენომენზე, რასაც სამურაის ვუწოდებთ, მიმოვიხილავთ მისი ჩამოყალიბების მოკლე ისტორიას და აუცილებლად შევეხებით ჩვენთვის საინტერესო პროფესიონალ მებრძოლთა მსოფლმხედველობრივ კრებულს- ბუმიდოს, რომელიც სამურაის არსებობის უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს.

უპირველესად უნდა შევეხოთ თავად სიტყვა „სამურაის“ მნიშვნელობას, რომელიც ზმნისგან „საბურაუ“ წარმოიშვა, რაც, თავის მხრივ, ბატონის მიმართ მსახურებას გულისხმობს. ამითვე აიხსნება ის, რომ სამურაების ერთადერთ საქმიანობას ბატონის მორჩილება და სამხედრო სამსახური წარმოადგენა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ის იაპონელმა ხალხმა ხელოვნებად აქცია.

თავდაპირველად მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა: ახალი შეიარაღებული ძალა გლახთა შეძლებული ფენიდან წარმოიშვა, რომლის ნაწილიც ჩაერთო ფეოდალურ საგვარეულოთა სამსახურში. სამურაების პირველირაზმები ნებაყოფლობით შედიოდნენ სუზერენის მფარველობის ქვეშ და სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ იღებდნენ არსებობისთვის უმთავრესს - საცხოვრებელს, საკვებს და, ზოგჯერ, მიწის ნაკვეთებს, რაც უფრო და უფრო ამდიდრებდა სამურაების ფენას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით გამდიდრებული და დაწინაურებული სამურაები მოგვიანებით გადაიქცნენგავლენიან ფეოდალებად და სასტიკ ექსპულატატორებად გლახების მიმართ.

სამურაის ფენის ჩამოყალიბების ფუნდამენტად შეიძლება მივიჩნიოთ იაპონიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში აინების (იაპონიის უძველეს მკვიდრთა შთამომავლები) წინააღმდეგ ბრძოლები, ასევე ქვეყნის შიგნით აჯანყებები და ფეოდალური დაპირისპირებები. X საუკუნის იაპონია პოლიტიკურად იშლებოდა, ამას კი, უპირველესად, ადგილობრივ ფეოდალთა გაძლიერება იწვევდა. ამ პერიოდისათვის საგრძნობლად დაწინაურებული დიდგვაროვნები გამოდიოდნენ ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ. მეტიც, ისინი იბრძოდნენ, როგორც საიმპერატორო ხელისუფლების, ისე ერთმანეთის წინააღმდეგ. სწორედ ასეთ ქაოსურ პერიოდში იწყებსჩამოყალიბებას სამურაის რაზმი, რომელიც უფრო მეტად განმტკიცდა ორი უძლიერესი საგვარეულოს: ტაირასა და მინამოტოს დაპირისპირების პერიოდში.

გასაკვირი არ იქნება ფაქტი, რომ სამურაები მოგვიანებით, XVII-XIX საუკუნეებში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებდნენ იაპონიის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპარეზზე. ტოკუგავას საგვარეულოს გაბატონებისა და იაპონიაში III სიოგუნატის დამყარების შემდეგ სამურაები განსაკუთრებულად აღზევდნენ. ამ საგრძნობლად გაძლიერებული სამხედრო ძალის საფუძველზე, ახლადგაბატონებულმა დინასტიამ შეძლო ქვეყნის გაერთიანება და ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცება. ცხადია, რომ მიმდინარე პროცესებში სამურაის ძალასა და მათ სამხედრო მხარდაჭერას უდიდესი როლი ჰქონდა, რაც დაგვირგვინდა კიდევ ამ ფენის წარმომადგენელთა მიერ სოციალური სტრუქტურის უმაღლესი საფეხურების დაკავებით.

„ყვავილთა შორის- ალუბალი, ადამიანთა შორის- სამურაები“- ამ იაპონური ანდაზით შეიძლება შევაფასოთ ის განსაკუთრებული გზა, რომელიც სამურაებმა განვლეს, თუმცა, ცნობილიგამოთქმა- „არაფერია მუდმივი“ მათი საფლავის ეპიტაფიაც გახდა. იაპონელი ხალხი, დროთა განმავლობაში მძაფრი და ქაოსური საომარ-სამხედრო ცხოვრებიდან ნელ-ნელა სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებაზე გადადიოდა, რამაც სამურაებს მათი უმთავრესი ფუნქცია დაუკარგა. ცხადია, რომ სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი მიზეზით იყო გამოწვეული სამურაების გარკვეული ნაწილის გადატაკება, ზოგმა მათგანმა უწინ საძრახს-ვაჭრობასა და ხელოსნობას მიჰყო ხელი, ხოლო მცირე ნაწილი ისევ სოფლისა და მიწის შრომას დაუბრუნდა.

ამ უმთავრესმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით 1867-1868 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, წარსულს ჩააბარა სამურაების ფენა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ემსახურებოდა სამშობლო მიწას. რა თქმა უნდა, ეს პროცესები უმტკივნეულოდ არ წარმართულა, თუმცა, მეზრძოლთა ეს კლასი, ფეოდალური ურთიერთობების ნაწილი იყო და უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე იგი დიადი წარსულისა და საგმირო ეპოსების კუთვნილებად გადაიქცა. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ თავდაპირველად სამურაები მხოლოდ თავიანთ ბატონს ემორჩილებოდნენ და ვალდებულნი იყვნენ, მისი სახელით ბრძოლაში სიმამაცე გამოეჩინათ. თუმცა მოგვიანებით, როდესაც საზრძოლო ხელოვნება ძირითად საქმიანობად გადაიქცა, უპირველესი ყურადღება მიექცა სამურაის ცოდნისა და ინტელექტის გაფართოებას- წინ წამოიწია ჩინური ენისა და დამწერლობის, რელიგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ეტიკეტური ნორმების შესწავლის პროცესმა. სწორედ ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სამურაი არა მხოლოდ ფიზიკურ სიძლიერესა და იარაღზე, არამედ მის ცოდნასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამურაების ფენა პირველად სახეს იღებდა, შეიქმნა მორალური პრინციპების მსოფლმხედველობა- ბუშიდო, რომელიც წარმოადგენდა სამურაის ქცევის, ნორმებისა და კანონების კრებულს. აქ უპირველესად ხაზგასმული იყო სამურაის ისეთი პრინციპები, როგორებიცაა: ჰუმანურობა, პატიოსნება, თავშეკავება, უბრალოება,

საქმისადმი ერთგულება, გამბედაობა და პირადი გამორჩენის სიძულვილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სამურაისთვის უმაღლეს შეფასებას წარმოადგენდა მის საფლავზე გაკეთებული წარწერა: „ მას არასდროს დაუჩაგრავს სუსტი და არასდროს დაუხევია უკან ძლიერის წინაშე“.

აღსანიშნავია, რომ საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივი კრებული სათავეს იღებდა აღმოსავლური რელიგიებიდან,



რომლებიც ამდირებდნენ კრებულს ფილოსოფიური და ეთიკური დოქტრინებით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბუდიზმი, რომლის საფუძველზეც ბუშიდოში ჩაიწერა - ბედის გარდაუვალობის რწმენა, სიმტკიცე, ცხოვრებისადმი მშვიდი დამოკიდებულება და სიკვდილისადმი გულგრილობა. ბუშიდოში შინტოიზმიდან ჩაიწერა - ბატონისადმი ერთგულების, ტრადიციებისა და, ამასთან, შვილებისა და მშობლებისადმი პატივისცემის პრინციპები. უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის სრულყოფაში თავისი დიდი წვლილი მიუძღვის კონფუციზმს, რომელმაც

საფუძველი დაუდო ადამიანთა შორის მორჩილებაზე დამყარებული ურთიერთობების ხუთ პრინციპს: უფროსი-უმცროსი; ბატონი- მსახური; მამა- შვილი; ქმარი- ცოლი; მეგობარი- თანასწორუფლებიანი.თუ ჩამონათვალს დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ სამურაი იყო არა მხოლოდ კარგი მებრძოლი, არამედ განათლებული და დახვეწილი პიროვნება, რომელიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ბუშიდოში ჩაწერილ მორალურ კანონებს. თუმცა, ნათელია, რომ უდიდესი ყურადღება მაინც სამხედრო აღზრდასა და ადამიანის სრულფასოვან მებრძოლად ჩამოყალიბებას ეთმობოდა.

სამურაების მოღვაწეობაში უდიდეს ყურადღებას იმსახურებს ცნობილი რიტუალი, რომელსაც ჰარაკირის სახელით ვიცნობთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამურაების უმთავრეს მოვალეობად მიიჩნეოდა ბატონისადმი ერთგულება. სწორედ მაშინ, როდესაც სამურაი რამე მიზეზით ქცევის ნორმებს დაარღვევდა, იგი ვალდებული იყო, თავი მოეკლა, რაც სრულდებოდა განსაკუთრებული რიტუალით- ჰარაკირით. სამურაი ამ განსაკუთრებულ რიტუალს ასრულებდა, თუ: ტყვედ ჩავარდებოდა, შეელახებოდა ღირსება, ჩაიდენდა უღირს საქციელს ან მისი ბატონი მოკვდებოდა. აღსანიშნავია, რომ ჰარაკირი მხოლოდ სამურაის პრეროგატივა იყო, რაც გადმოსცემდა მის სიმამაცეს, შეუპოვრობასა და უბრალოდ ღირსებას შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის ველზე დაცემა და ჰარაკირი გმირობის ტოლფასი იყო.

თავად სიტყვა „ჰარაკირი“ მუცლის გაფატვრას ნიშნავს, თუმცა ამ ტერმინში სხვა, საკრალური და იდუმალი მნიშვნელობაც შეიძლება ვეძიოთ. იაპონელები თვლიდნენ, რომ ადამიანის ემოციურ წყაროს წარმოადგენდა მუცელი, რომლის გაკვეთაც ჭემმარიტი და იდუმალი ზრახვების გამოაშკარავებდა აღიქმებოდა. „ჰარა“ გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს სულსა და გონებას, რაც დასავლურ კულტურაში „გულს“ უკავშირდება, ხოლო „კირი“- გახსნას, გაკვეთას აღნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ თავად იაპონელები რიტუალს „სუპუკუს“ ან „კაპუკუს“ სახელით მოიხსენიებენ, რაც მუცლის გაფატვრას ნიშნავს. სწორედ ბუშიდოს მიხედვით: „სუკუპუ არის უდიდესი გამართლება თავისა, ცისა და ადამიანთა წინაშე“.

სამურაების მოღვაწეობის ზენიტში ჰარაკირი არა უბრალოდ თვითმკვლელობა, არამედ ხელოვნების დონემდე აყვანილი თეატრალიზებული წარმოდგენის ტოლფასი რიტუალი იყო, რომელსაც გარკვეული წესები ჰქონდა. წესის მიხედვით, ჰარაკირი სამურაის ბატონის რეზიდენციაში, მუსიკალური საკრავების თანხლებით სრულდებოდა. სპეციალური მახვილით, რომელსაც კუსუნგობო ეწოდება, აბრეშუმის წითელ ბალიშზე მჯდომი სამურაი მუცელს ჯერ ჰორიზონტალური, შემდეგ კი ვერტიკალური მიმართულებით იკვეთდა. რიტუალის მიმდინარეობისას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა „თანაშემწეს“, რომელსაც ევალებოდა თვითმკვლელის ტანჯვის შემსუბუქება

თავის მოკვეთით. ეს საპასუხისმგებლო როლი აუცილებლად თვითმკვლელი სამურაის უახლოეს მეგობარს უნდა შეესრულებინა. სიკვდილის მიმართ უშიშარი დამოკიდებულება, რაც ჰარაკირის რიტუალშივე ნათლადაა გამოხატული, სამურაებს ბავშვობიდანვე ჰქონდათ ჩაბეჭდილი. ეპოქათა ცვლამ იაპონელი მეომრების ბრძოლისუნარიანი ბუნება და სიკვდილის მიმართ უშიშარი დამოკიდებულება ვერ გაანელა. უახლოესმა წარსულმა, მეორე მსოფლიო ომმა და კამიკაძეთა ენითაღუწერელმა თავდადებამ ყველას შეახსენა, რომ ეს ის ქვეყანაა, სადაც სამურაებმა დაუფიქარი ეპოქა შექმნეს.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ სამურაის ფენის განვითარება და ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული იაპონიაში მიმდინარე პოლიტიკურ, კულტურულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციებთან. ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ სამურაები, მათი მსოფლმხედველობა და კულტურა, რომელიც შუა საუკუნეების უღმობელმა, მკაცრმა რეალობამ წარმოშვა და გამოაწრო, დღესაც დაუოკებელ ინტერესს იწვევს არა მარტო იაპონელ ერში, არამედ მის საზღვრებს გარეთ- მსოფლიოს მასშტაბით.

იაპონური თეატრი - ნო

ჯეიმარ ბოლქვამე, ნიკოლოზ მაკალათია

„სცენა წმინდა ადგილია. მისი საზღვრების მიღმა მოკვდავ ადამიანთა ადგილია. სცენაზე ყოფნით კი მე შემოდის ვიყო წმინდა, რადგან აქ ღმერთების სამყოფელია“.

უძველესი დროიდან თეატრი ყოველი კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ სტილით, რიტმით, მელოდიით, მაგრამ მაყურებლამდე მსახიობის განცდებისა და ფიქრების მიტანა, მათი საერთო დანიშნულება იყო. შორეულ აღმოსავლეთში თეატრის კულტურა, რომელიც სიმღერას, ცეკვას, მუსიკას, აკრობატიკას, ილუზიონიზმსა და სხვა სანახაობათა კომპლექსს შეიცავდა, მეშვიდე საუკუნიდან გავრცელდა. იაპონიაში იგი ჩინეთიდან და ინდოეთიდან შევიდა და დროთა განმავლობაში ეროვნული მოტივების საფუძველზე დაიწყო განვითარება. ამ წარმოდგენას ერქვა „სარუგაკუ“. იაპონურად „სარუ“ ნიშნავს მაიმუნს. აქ იგულისხმება ჩინური ზოდიაქოს წევრი მაიმუნი, რომელიც იაპონურ კულტურაში ღმერთების შიკრიკად და ღმერთების

ფიზიკურ მანიფესტაციად აღიქმებოდა. აქედან გამომდინარე თეატრს ღრმა კავშირი ჰქონდა ღმერთებთან. მოგვიანებით, სახეცვლილ თეატრს, რომელიც მენ-ბუდიზმისა და შინტოიზმის ტრადიციული ელემენტებით იყო გაჯერებული, დაერქვა - ნოგაკუ, იგივე „ნო“, რაც იაპონურად „ოსტატობას“ ნიშნავს.



ნოს სცენა მომცრო ზომის კვადრატული ფორმისაა. იგი სამი მხრიდან ღიაა (დეკორაციების გარშე) და გამოყოფილია მაყურებლიდან 1 მეტრის დისტანციით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხრეშითაა დაფარული. მეოთხე (უკანა) მხარე კი

წარმოადგენს დეკორაციას ოქროსფერ ფონზე, რომელზეც გამოსახულია ფიჭვის ხე. (ფიჭვი დღეგრძელობის სიმბოლოს წარმოადგენს). ადრე წარმოდგენები ღია ცის ქვეშ იმართებოდა, თუმცა მოგვიანებით მას დახურულ სივრცეშიც ასრულებდნენ. ნოს თეატრში სცენის მიღმა იყო მამაკაცი სოლისტების გუნდი - ჯიუტაი, ხოლო ორკესტრი - ჰაიაში, განთავსებული იყო სცენაზე, რომელიც ძირითადად შედგებოდა ფლეიტისა და სხვადასხვა ზომის დოლებისგან. დადგმისთვის განკუთვნილი სიტყვიერი მასალა ძირითადად პროზითა და ლექსით იყო წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ნო წარმოადგენდა ბალეტის, დრამისა და ოპერის სინთეზს. მთავარი პერსონაჟი იყო ყოველთვის - შიტე, რომელიც დადგმის შინაარსის მიხედვით წარმოადგენდა წმინდა მოხუც კაცს, ღმერთს, დემონს, სულს ან ცოცხალ კაცს. მისი მოძრაობები გამოხატავდნენ პერსონაჟის განსხვავებულ განწყობილებებს. დახმარე პერსონაჟს წარმოადგენდა ვაკი, რომელიც თამაშობდა ბერ-მონაზვნის ან სამურაის როლს. შიტესგან განსხვავებით, ის ცოცხალი ადამიანის როლს თამაშობდა და მისი როლი ზოგჯერ იყო იმ სცენის გაჟღერება, რომელიც მაყურებელს უნდა წარმოედგინა. ამ ოთხი მონაწილის გარდა, არსებობდა დამხმარე ძალა - კოკენი, რომელიც დადგმის ნაწილი არც იყო. ისინი შავ კიმონოში იყვნენ გამოწყობილი და მათი როლი მსახიობისთვის რეკვიზიტების ან სხვა ატრიბუტების დაჭერა იყო.

ნოს შინაარსი ბუდისტურ და შინტოისტურ საეკლესიო ქრონიკებს ეფუძნებოდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ნო განკუთვნილი იყო მაღალი კლასის წარმომადგენლებისთვის. სპექტაკლები იდგმებოდა ღვთაებებზე, დემონებზე, მეომრებზე, გლეხებზე, სასიყვარულო თავგადასავლებზე და ა.შ. დადგმა, როგორც წესი, შედგებოდა შესავლის, მოვლენათა განვითარებისა და კულმინაციისგან. იმისათვის, რომ გამოიხატოს ისეთი აბსტრაქტული რამ, როგორც ემოციაა, სიტყვები ხშირ შემთხვევაში არაადეკვატურია. სწორედ ამიტომ დადგმის განვითარებასთან ერთად, ცეკვა, პოეზია და სიმღერა გამოიყენება პერსონაჟს დატანჯული გულის აღსაწერად. სხვა ელემენტები, რომლებიც გუნების გასამძაფრებლად გამოიყენება არის მცირედი უბრალო დამატება, რომელმაც არ უნდა გადაიტანოს ყურადღება მთვარი გმირისა და მისი შესანიშნავი კოსტიუმისა და ატრიბუტებისგან. თითოეული მოძრაობა მიმართულია ენერჯის ემოციებზე ფოკუსირებისაკენ და არა ინდივიდუალური პიროვნებისკენ. ნოს თეატრში, როგორც კლასიკურ ბალეტში, ყოველი მოძრაობა სიმბოლიზირებულია. ამიტომ ინდივიდუალური ინტერპრეტაცია აკრძალულია.



ნოს თეატრის ყველაზე დიდი ღირებულება ნიღბებია. მსახიობები ატარებენ ნიღბებს, იმისათვის, რომ წარსულში მომხდარი მოვლენების რეინკარნაცია შეძლონ აწმყო დროში. სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, მსახიობი, რომელიც ატარებს ნოს ნიღბს არ უნდა თამაშობდეს თანამედროვე ადამიანის როლს, არამედ მრისხანების სულის როლს, წარსულიდან.



მიჩიშიგე უდაკა - ნოს მსახიობი და ნიღბების ოსტატი.

„როცა მაცურებელი ხედავს მსახიობს ნიღბის გარეშე და ემოციებს მათ სახეებზე, პერსონაჟის ემოცია შეიძლება გამოჩნდეს ზედაპირული, არაღრმა... უფრო ღრმად აღქმა შეუძლებელი იქნება. მაგრამ თუ ისინი ატარებენ ნიღბებს, მაცურებელს ეძლევა შანსი თავად აღიქვას ემოცია და ჩაულრმავდეს პერსონაჟის განცდებს.

მურომაჩის პერიოდში (დაახლოებით XIV-XVI), როცა სარუგაკუს თეატრი ვითარდებოდა, პატარა თეატრის წამყვან მსახიობს დაებადა იდეა, რომ ყოველ მსახიობს შეექმნა თავისი საკუთარი ნიღბი, რომელიც ღირებული იქნებოდა მათი პერსონაჟებისთვის. ცნობილია, რომ სცენაზე გასვლამდე მსახიობები დიდი ხნით უყურებდნენ ნიღბებს და მხოლოდ მას შემდეგ იკეთებდნენ მათ, როცა ძირეულად განიცდიდნენ მის მნიშვნელობას. ნოს აყვავების ხანაში, ბევრი ამზადებდა ნიღბებს და



ისინი იმდენად ძვირფასი იყო, რომ შთამომავლობითაც გადაეცემოდათ. თუმცა თანამედროვეობაში ნიღბების ოსტატების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მიჩიშიგე უდაკა ამბობს, რომ მას უჭირს სხვების მიერ დამზადებული ნიღბების

გამოყენება სცენაზე, რადგან მან უკეთ იცის თავისი პერსონაჟების ემოციები და თავისი ხელით დამზადებული ნიღბები უკეთ ეხმარება მას ამ ემოციების გამოხატვაში. „როცა სცენაზე თამაშობ ზედმეტი ფიქრები გარეშე და ემოციები თავისით ტივტივდება ზედაპირზე, შენ შეძლებ განიცადო ბედისწერის სინათლის აღმოჩენა. სწორედ ის შესანიშნავი და წმინდა სინათლე, რომელიც წარმოადგენს ნოს თეატრის ნამდვილ ბრწყინვალეებას“. აღსანიშნავია, რომ ნოს ნიღბებისთვის გამოსაყენებელი მასალა - ჰინოკის ხე, კარგად შერჩევის და დამუშავების შემდეგ, იდება წყალში 5-დან 10 წლამდე და შემდეგ მზეზე იდება 10-დან 20 წლამდე გამოსაშრობად. მხოლოდ ამ პროცესის შემდეგ ის ხვდება ოსტატების ხელში და იწყება კვეთა ნოს მთავარი პერსონაჟებისა. აღნიშნული მასალა ოსტატებისთვის უფრო მოსახერხებელია ადვილი დამუშავებისა და საღებავის ხანგძლივი შენარჩუნების უნარის გამო.

ნოს თეატრი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა თეატრს მფარველობას უწევდნენ უმაღლესი სამხედრო პირები. მათ შორის ოდა ნობუნაგა (1573-1582) და ტოიოტომი ჰიდეოში (1582-1598). ოდა ნობუნაგას ძალიან უყვარდა სპექტაკლები და თეატრის დასს თავის სასახლეში ხშირად იწვევდა. ზოგჯერ ის თავადც მონაწილეობდა ნოს ცეკვებსა და სიმღერებში და დიდ ყურადღებას იჩენდა მსახიობების მიმართ. მსგავსად იყო დაინტერესებული ტოიოტომი ჰიდეოშიც, რომელიც თავად ხსნიდა სამეფო კარზე გამართულ საახალწლო დადგმას „ტაგასაგო“.




გარდა ამისა, კორეაში ლაშქრობის წინ, ჰიდეოშიმ გრანდიოზული გამოსამშვიდობებელი სამდღიანი წარმოდგენა გამართა, რომელსაც თავად იმპერატორიც ესწრებოდა. ასევე ჰიდეოშის წყალობით მსახიობებსა და სპექტაკლის წევრებს ჯამაგირიც დაეწესათ. ამან მსახიობების სოციალური სტატუსი აამაღლა. ჰიდეოშის შემდეგ კი ნოს თეატრი აყვავებას განაგრძობდა. მომდევნო შოგუნის კურთხევის, დიდგვაროვანთა ქორწინებების, სამეფო ოჯახში ბავშვის დაბადებისა და სხვა მნიშვნელოვანი დღესასწაულების აღსანიშნავად იდგმებოდა საზეიმო სპექტაკლები შოგუნის რეზიდენციაში. თუმცა სწორედ ამ სანახაობრივი ელფერის შეძენის გამო ნოს თეატრმა თითქმის დაკარგა თავისი ღირებულებები. ის თავისუფლება, რაც ნოს მსახიობებს უნდა ჰქონოდათ შესრულებისას, დაიკარგა. ყველაფერი კანონის ფარგლებში მოექცა; რეკვიზიტები, მიმიკები, ინტონაციები... თანდათან დაიწყო კონფუციონიზმისა და ბუდიზმის თემების უფრო ღრმად შემოჭრა და ხელოვნებამ მეორე ადგილზე გადაიწია. XVIII საუკუნისკენ კი ნოს თეატრმა დაიწყო უკუსვლა და ხელოვნებაში დასავლური კულტურის ელემენტებმა დაიწყო შემოჭრა.

ამ დროისათვის ყველაზე მარტივი გზა ნოს თეატრის ნახვისა, არის თანამედროვე ნოს თეატრები დახურულ სივრცეში, ჩამუნებული ნოს სცენით. ის მდებარეობს ტოკიოში, გინზას პრეფექტურაში და შინუიაში. ასევე ოსაკაში ოცუკის ნოს თეატრი და ნოს თეატრი ნაგოიაში. თანამედროვე ნოს თეატრი გმელდება რამდენიმე საათით და შედგება ორი ან სამი აქტისგან,

მცირე კოგენებით შუალედებში. იქედან გამომდინარე, რომ ნოს სპექტაკლებს რელიგიური დატვირთვა მცირედით მაინც შემორჩა, თეატრის გარშემო ტერიტორია ტაძრებითა და ძენ-ბუდიზმის ღირსშესანიშნაობებითაა გაფორმებული.



„ის ფაქტი, რომ ნოს კულტურამ ამ საუკუნეებში მოაღწია, გვიჩვენებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ღირებულებას. სწორედ ამიტომ, ნოს ხელოვნება უნდა გადაეცეს მომავალ თაობას“.



რელიგიური და საგანმანათლებლო ფაქტორები ახლო აღმოსავლეთში

მარიამ ჭიჭიკოშვილი, თიკო გოგობია

კარლ მარქსი ამბობს: „რელიგია - ადამიანისთვის ოპიუმია“. შეიძლება ეს სიტყვები გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ დავფიქრდებით, გავაანალიზებთ, რომ ადამიანს ნებისმიერ ეპოქაში, საუკუნეში სჭირდებოდა და სჭირდება რაღაც, რასაც ბოლომდე იწამებს და რაზეც ბოლომდე დამოკიდებული გახდება.

საუკუნეთა განმავლობაში, იცვლებოდა ელემენტები და მასთან ერთად ვითარდებოდა ადამიანი, მაგრამ განვითარების მიუხედავად, რელიგია ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა. იცვლებოდა ელემენტები და მათ შორის, იცვლებოდა ადამიანის რწმენა-წარმოდგენები და თავდაპირველად, რისიც სწამდათ ეს იყო ბუნებრივი მოვლენები, ცხოველები, მცენარეები, კოსმოსური ძალები, მითოსური არსებები და საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ფორმირდა იქამდე, რომ თანამედროვე სამყაროში 3 მსოფლიო რელიგია ჩამოყალიბდა, ესენია: ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი.

დღეს ჩვენი მიმოხილვის საგანი 3 მსოფლიო რელიგიიდან ერთ-ერთი - ისლამია, რომელიც VII საუკუნეში ფორმირდა არაბეთის ნახევარკუნძულზე. მისი ფუძემდებელი არის მოციქული მუჰამადი (დაახ. 570-632). ისლამმა ბედუინი ტომები გააერთიანა და მომთაბარე ცხოვრებიდან, ბინადარი ცხოვრების წესზე გადაიყვანა. ისლამმა შეცვალა არა მხოლოდ არაბეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობის მსოფლმხედველობა, არამედ მათი ექსპანსიის შედეგად დაპყრობილი ხალხის მსოფლმხედველობაც.

ისლამი სახელმწიფო რელიგიაა 22 არაბულ ქვეყანაში, ასევე ირანსა და თურქეთში. საუდის არაბეთსა და ირანში ისლამი და პოლიტიკა ისე მჭიდროდაა გადაჯაჭვული, რომ რთულია გაარჩიო, თუ სად იწყება რელიგია და სად სრულდება პოლიტიკა. ამ ორქვეყანაში მოქმედებს შარიათის კანონები, რომელთაც მკაცრად აკონტროლებს მუჰთასიბის ინსტიტუტი.

ისლამური სამართალი, რომლის საფუძველიც არის ყურანი, თავდაპირველად წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე, მაგრამ სახალიფოს საზღვრების გაფართოებისა და

ისლამის განმტკიცების შედეგად მისი მოქმედება გავრცელდა ახალ ტერიტორიებზე და იქცა მსოფლიო სამართლებრივ სისტემად. შარიათი არეგულირებს არა საზოგადოებრივი და რელიგიური ცხოვრების მკაცრად განსაზღვრულ სფეროებს, არამედ ის არის ყოვლისმომცველი ნორმატიული სისტემა.

აღსანიშნავის ისიც, რომ ბოლო პერიოდში კონფესიური ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობებზე. რელიგიის თავისუფლების პრინციპის დაცვის მიზნით შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch, რომელიც აკონტროლებს არაბულ ქვეყნებში რელიგიათა თავისუფლების საკითხს.

არაბულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში იკრძალება პროზელიტიზმი, მოწოდება ადამიანის საკუთარ რელიგიასზე მოქცევისაკენ. მაგალითად ალჟირში, პროზელიტიზმი სისხლის სამართლის დანაშაულია და კანონის უმკაცრესი ფორმით ისჯება. აღსანიშნავია ისიც, რომ რელიგიური უმცირესობებისათვის რთული საკითხია ტაძრების აგება არაბულ ქვეყნებში, თუმცა, 2008 წელს, კატარში, დოჰაში გაიხსნა მარიამ ღვთისმშობლის კათოლიკური ეკლესია, რომლის ფართობი იმდენად დიდია, რომ 300 მლოცველს იტევს, მიუხედავად ამისა, ეკლესიას გარედან არ აქვს ზარი და გუმბათი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნოკონფესიური ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია არაბულ სამყაროში და მისი წარმატებული მაგალითია ლიბანი. ლიბანი, სადაც ეთნოკონფესიური ფაქტორი სახელმწიფოს დონეზეც კი გადანაწილებულია შემდეგნაირად: პრეზიდენტი არის ქრისტიანი მარონიტი, პრემიერ-მინისტრი არის სუნიტი, პარლამენტის თავჯდომარე შიიტი, ხოლო თავდაცვის მინისტრი დრუზი. ლიბანის ეთნოკონფესიურ წარმატებაზე პირდაპირ მიუთითებს ისიც, რომ ოფიციალური ვატიკანი ყოველთვის იყო დაინტერესებული ეთნოკონფესიური სტაბილურობის შენარჩუნებით.

ვატიკანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არაბულ სახელმწიფოში მცხოვრები იმ ქრისტიანების ცხოვრებაში, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ. ამის ძალიან კარგი მაგალითია 2001 წელს რომის პაპ იოანე პავლე II-ის ვიზიტი „უმაიანთა მეჩეთში“, რომლის დროსაც მან მოილოცა მეჩეთი და მუსლიმთა წმინდა წიგნს ყურანსაც კი ეამბორა. ცხადია ამას

თავისი მიზეზი ჰქონდა, მიზეზი კი იყო ის, რომ სწორედ ამ მეჩეთში ინახება ოიანე ნათლისმცემლის თავისქალა. ოიანე პავლე II ისტორიაში გახდა პირველი პაპი, რომელმაც მეჩეთი მოილოცა. აქვე უნდა აღინიშნოს რომის ამჟამინდელი პაპის, ფრანცისკეს ვიზიტი ერავში, რომელიც გაიმართა 2021 წლის 5-8 მარტს. ვიზიტის ფარგლებში პაპმა მოინახულა ბაღდადი, ნაჯაფი, ერბილი, მოსული. გაიმართა შეხვედრა პაპსა და უზენაეს შიიტ სასულიერო პირს, აიათოლა ალ-სისტანს შორის, რომლის ძირითადი მიზანი იყო ხიდის აგება სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელ მოქალაქეებს შორის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ისლამი და პოლიტიკა ერთმანეთში ძალიან არის გადაჯაჭვული, მაგრამ მათთან ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ისლამური განათლება.

ისლამური განათლების მნიშვნელობაჯერ კიდევ მუჰამადის სიცოცხლის პერიოდიდან იღებს სათავეს. „ის, ვინც შორს მიდის ცოდნის სამიებლად, ის არის ალაჰის გზაზე, ვიდრე დაბრუნდება“. სწორედ მუჰამადი იყო ის, ვინც ასწავლიდა მამაკაცებსა და ქალებს ერთად მეჩეთში და ასევე, მოუწოდებდა მამაკაცებს, რომ მიეცათ განათლება ცოლებისთვის და მონაქალებისთვის.

ისლამის ფორმირების საწყის ეტაპზე განათლება პრიორიტეტი იყო მუსლიმთათვის, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დაპყრობითი ომების დროს ტყვედ ჩავარდნილი წერაკითხვის მცოდნე პირები, იძულებულნი იყვნენ, რომ 40 მუსლიმისათვის ესწავლებინათ წერაკითხვა, რათა განთავისუფლებულიყვნენ. ის, რომ რელიგია და განათლება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, კარგად ჩანს იმაშიც, რომ პირველი სასწავლებლები დაარსდა მეჩეთებთან, სადაც საწყის ეტაპზე მიმდინარეობდა წერაკითხვისა და ყურანის სწავლება, ხოლო მოგვიანო პერიოდში - სხვადასხვა მეცნიერების სწავლება:მათემატიკა, მედიცინა, ასტრონომია, ფილოსოფია და ა.შ...

მუსლიმებს ამ მეცნიერებათა განვითარებაში ძალიან დიდი როლი მიუძღვით, რადგანაც, ჯერ კიდევ აბასიანთა პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობა განვითარების ძალიან მაღალ საფეხურზე იდგა და ამ საქმიანობაში მუსლიმებთან ერთად მონაწილეობდნენ არამუსლიმებიც, რომელთა თანამშრომლობითაც შეიქმნა საერთო, აღმოსავლური, ისლამური

კულტურა. სწორედ ამ თარგმანების დამსახურებაა ის, რომ დასავლეთ ევროპის საზოგადოებას ახლიდან გააცნეს არისტოტელესა და სხვა წამყვან მეცნიერთა ნაშრომები და სწორედ ამ ნაშრომებით ხელმძღვანელობდნენ XVIIIსაუკუნემდე ევროპელი მეცნიერები დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში.

რაც შეეხება განათლებას თანამედროვე არაბულ ქვეყნებში, იგი კონტრასტულია. კონტრასტულობა კი მრავალი ფაქტორით აიხსნება, როგორცაა: რელიგიური, ეკონომიკური, სოციალური, გეოპოლიტიკური... არაბული განათლების სასკოლო სისტემა სამ საფეხურიანია: დაწყებითი, გარდამავალი და საშუალო. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე სასკოლო განათლების დონე დაბალია, რადგან, დაახლოებით 10 მილიონი ბავშვი ვერ ახერხებს ყოველდღიურ სასკოლო პროცესში ჩართვას. სასწავლო პროცესში, რომელშიც გოგონები და ვაჟები განცალკევებულად სწავლობენ, თუმცა, მიუხედავად სქესისა ყველასთვის სავალდებულოა რელიგიის შესწავლა. უნდა აღინიშნოს მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი, ეგვიპტე, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. მიუხედავად ამისა თანამედროვე ეგვიპტე გამოირჩევა, ორი, მსოფლიოში ცნობილი კაიროსა და ალ-აზჰარის უნივერსიტეტებით, რომელთა კარიც ღიაა სტუდენტისთვის, მსოფლიოს ყველა წერტილიდან. რიგ არაბულ სახელმწიფოებში არსებობს სპეციალური სკოლები არაარაბულენოვანი ბავშვებისათვის, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლობენ და ვალდებულნი არიან ადგილობრივი ენისა და კულტურის შესწავლაში ჩაერთონ.

ყველა არაბულ ქვეყანაში სწავლა არის უფასო, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპარსეთის ყურის ქვეყნები, სადაც განათლების დონე მაღალია, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქ მოსწავლეების უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო ფორმებით, სამედიცინო დახმარებით, კვებითა და ტრანსპორტირებით.

ჩვენ უკვე ვახსენეთ კონტრასტულობა და როდესაც ვსაუბრობთ ამ საკითხზე აუცილებელია, რომ გამოვყოთ განსხვავება ქალისა და მამაკაცის უფლებებს შორის, რომელიც პროვოცირებულია რელიგიური და საგანმანათლებლო ფაქტორებით. ამ განსხვავების ძირითადი მიზეზი გახლავთ რელიგიის ძლიერი გავლენა განათლებაზე, თუმცა ბოლო პერიოდში ამ კუთხით გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯები შეიმჩნევა. ძალიან კარგი

მაგალითის მოყვანა შეიძლება ისეთ ექსტრემისტულ სახელმწიფოთა მაგალითზე, როგორცაა ირანის ისლამური რესპუბლიკა და საუდის არაბეთი.

ირანის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ რელიგიის გავლენა იგრძნობა აქ ყველა სფეროში, რაც გამოიხატება შარიათის კანონებით. საინტერესო ფაქტია, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, როდესაც კვეთს ირანის საზღვარს იგი ვალდებულია საზღვრის კვეთისთანავე დაიფაროს ჩადრი, თავისი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად.

რაც შეეხება საუდის არაბეთს, ბოლო პერიოდში ქალთა უფლებები გაიზარდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ მიიღეს საარჩევნო უფლება, მართვის მოწმობის აღების უფლება, მარტო მოგზაურობის უფლება. ასევე საინტერესოა ისიც, რომ აქ გამართულ ფესტივალებში ახალგაზრდები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ.

საბოლოოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ სიტუაცია რიგ არაბულ სახელმწიფოებში არც თუ ისე მძაფრია, როგორც ამას დასავლეთის საზოგადოება აღიქვამს და აუცილებელია რომ თანამედროვე მსოფლიომ აღაროს, რომ ურთიერთდახმარების გარეშე გლობალური პრობლემების მოგვარება შეუძლებელია, რადგან ჩვენ ერთმანეთის ნაწილნი ვართ.

ბაბილონი თუ იერუსალიმი - დევიდ მალუფის

„ბაბილონის არდავიწყებაში“

გიგა გიგაური

დევიდ მალუფი არის ლიბანელი წარმოშობის ავსტრალიელი ავტორი, რომელიც ფართოდ არის ცნობილი, როგორც ავსტრალიის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი. არაერთ ჯილდოს ლაურეატს, მიღებული აქვს ნეიშტადტისა და დუბლინის საერთაშორისო ლიტერატორული პრემიები, ასევე აზია-ავსტრალიის ლიტერატურული პრემია. 2016 წელს კი დასახელებული იყო ბუკერის პრემიის შორთ-ლისტში. ამ და სხვა პრემიებთან ერთად, 2009 წელს დასახელდა მსოფლიოს 150 გავლენიან ფიგურას შორის. მთელი ეს მიღწევები კიდევ ერთხელ მოწმობს მალუფის პროფესიონალიზმზე და მისი, როგორც მწერლის

უდიდეს მნიშვნელობაზე. სამწუხაროდ, საქართველოში ფართო მკითხველისთვის, მალუფის შემოქმედება უცნობია. უცნობია არა მარტო მალუფის, არამედ ზოგადად ავსტრალიური ლიტერატურა. სამწუხაროდ, არ გვაქვს ქართულად ნათარგმნი ავსტრალია-ოკეანეთის ლიტერატურული ნიმუშები, რომელიც პოსტკოლონიური ლიტერატურის თვალსაჩინო და გნუყოფელი ნაწილია.

პოსტკოლონიური ლიტერატურის მნიშვნელობა დღითივე უფრო იზრდება, ევროპული უნივერსიტეტები უდიდეს ყურადღებას აქცევენ კოლონიურ სახელმწიფოებში განვითარებულ ლიტერატურას და ცდილობენ ღრმად გაიზრონ კოლონიალიზმის ავბედითი მხარეები, რომელიც მუდამ თან ახლდა კოლონისტურ რეჟიმებს დაპყრობილ ქვეყნებში. ამ ლიტერატურისადმი განსაკუთრებული ყურადღება კი ევროპაში ერთგვარ ხარკად და საფასურად იქცა ყოფილი კოლონიებისადმი და ამ კულტურებში აღმოცენებული მწერლებისთვის. გამორჩეული და სპეციფიკურია ავსტრალიური პოსტკოლონიური ლიტერატურა, სადაც ბრიტანულ „მაღალ“ კულტურას უპირისპირდება ადგილობრივების, აბორიგენტა კულტურა. სწორედ ამ ორი კულტურის დაპირისპირებას ეხება დევიდ მალუფის „ბაბილონის არდავიწყება“, რომელი, როგორც უკვე ავღნიშნე, ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ავსტრალიის ლიტერატურაში. თავად მწერლის გამორჩეულობა და საინტერესო პიროვნება კი, როგორც ჩანს, განპირობებულია მისი მრავალკულტურობით.

მალუფი დაიბადა ავსტრალიაში, ქრისტიანი ლიბანელების ოჯახში მამის მხრიდან, დედით კი იყოპორტუგალიელი სეფარდი ებრაელების შთამომავალი. იგი წარმოადგენდა ამ მრავალკულტურული გარემოს ქმნილებას, ჩანასახს. დევიდი არის მწერალი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია დეტალები. არ შეიძლება ნაწარმოებში ყურადღებას ვაქცევდეთ მხოლოდ სიუჟეტს, მნიშვნელოვანია გარემოც. შესანიშნავი პროფესიონალიზმით აღწერს ბუნებას და არა მარტო ბუნებას, მაგალითად ახალ ოთახს სახლში... ვფიქრობ, მრავალ მწერალს უჭირს პეიზაჟის ბუნებრივად გადმოცემა. აღწერა ყოველთვის რთულია, ხშირად ხელოვნურობა მოსაბეზრებელსაც კი ხდის კითხვის პროცესს, მალუფი კი იმ გამონაკლისს მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უდიდესი პროფესიონალიზმით

ახერხებენ ამას და პირიქით ეს გარკვეულ წილად მისი ნიშაც კი გახდა. „ბაბილონის არდავიწყება“ სავსეა მაღალმხატვრული ღირებულების ავსტრალიური პეიზაჟებით.

როგორც სტატიის სათაურიდან ჩანს, ჩემი მიზანია შევეცადო კავშირი გადმოვცე ნაწარმოებსა და სათაურს შორის, საიდან შემოდის ნაწარმოებში, ავსტრალიურ გარემოში ბაბილონი. ბაბილონს კი თავისმხრივ უპირისპირდება იერუსალიმი, სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა რა არის რეალურად ბაბილონის უკან, რა სურს გადმოსცეს და მიგვანიშნოს ამ სათაურით მწერალმა. წიგნის გამოცემიდან მალევე გაჩნდა დიქტომიური გააზრება ნაწარმოებში იერუსალიმსა და ბაბილონს შორის... ამავე საკითხს ეხება აგრეთვე პროფესორი ელისა მორერა დე ლა ვალე ბარსელონის უნივერსიტეტიდან, მე კი შევეცდები მოცემულ სტატიაში მცირე ჩემებური რაკურსი შემოგთავაზოთ საკითხისადმი. ნაწარმოების ქართული თარგმანის არარსებობის გამო კი სტატიაში გთავაზობთ, გარკვეული მონაკვეთების ჩემეულ თარგმანებს.

სანამ უშუალოდ დიქტომიაზე საუბარს დავიწყებდეთ, ყურადღება უნდა შევაჩეროთ კვლავ სათაურში მოხსენიებულ „ბაბილონზე“... მაშ, რა არის ბაბილონი, რა სიმბოლოს ატარებს იგი და რატომ დაარქვა დევიდ მალუფმა ამ წიგნს „ბაბილონის არდავიწყება“?! სათარაურში ნაგულისხმებია დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ქალაქი ბაბილონი,თუ ეს უნდა მივიღოთ როგორც ბიბლიური კოშკი, ბაბილონის გოდოლი, რომელიც დაბადებაშია მოხსენიებული (დაბადება 11:1-9). ჩემი აზრით, საუთაური თავისთავში, რა თქმა უნდა, ორივეს ერთად მოიაზრებს. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ რეალურად სათაური „ბაბილონის არდავიწყება“ ბოლო თავამდე იდუმალი რჩება. მხოლოდ ბოლო თავში ახსნებს მალუფი ბაბილონს და სწორედ აქედან ხდება შესაძლებელი ნაწარმოებსა და სათაურს შორის რეალური ბმის დანახვის. საუბარია კულტურის და ენის დიქტომიაზე, ეს არის ის რაც აერთიანებს წიგნსაც და ბიბლიურ ლეგენდასაც. ნოველაში ენას უდიდესი როლო აქვს. ნოველაში ენის ფუნქცია არის აბორიგენების „თეთრებისგან“ განსხვავება, გარკვეულ მონაკვეთებში, მალუფი ხელოვნურადაც კი ამახინჯებს და შეცდომებს უშვებს ენის მნიშვნელობის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად. თავის მხრივ, ენა იქცევა საწყისად გაუცხოების, გაუგებრობის და

უნდობლობის. იმისთვის, რომ უფრო ნათელი იყოს რაზე მაქვს საუბარი, ნება მომეცით ციტირება მოვახდინო გარკვეული პასაჟისა ნაწარმოებიდან:

„მისი სახელი იყო ჯეიმი ან ჯიმი გააჩნია ყურს როგორ მოკრავდი (დღის ბოლოს ყველა ჯიმიზე შეთანხმდა და ასეც შერჩა, ნაცნობი ფორმით, სწორედ ასე მიმართავდნენ). რაც შეეხება გვარს, იგი იყო ფერლი ან ფერელი.“

ჯიმი ნაწარმოების მთავარი გმირია. იგი მრავალ წელს აბორიგენ ავსტრალიელებთან ატარებს, იცვლება მისი ენაც, კანის ფერიც, მზისგან მისი კანიც აბორიგენებივით შავდება... მაგრამ მაშინ როცა, იგი ბრუნდება „თეთრებთან“ ქუინსლენდში. იგი უკვე ამ საზოგადოებას აღარ ეკუთვნის და ყველა ცდილობს გამოარკვიოს ვინ არის ჯიმი, სწორედ პირველ შეხვედრას აღწერს ნაწარმოებში ზემოთ მოყვანილი ციტატა. აქედან იწყება პირველი დიქოტომია, გაუცხოება ჯიმისა და ქუინსლენდის მაცხოვრებლებს შორის. ენობრივი გაუცხოებაც კი იმდენად შორს მიდის, რომ მათ აღარ ესმით, უჭირთ გაარკვიონ მისი სახელია ჯეიმი თუ ჯიმი. კიდევ უფრო ნათელი ხდება ეს გაუცხოება მათ შორის დიალოგში. ისინი ცდილობენ ახსნან, როგორ შეიძლება „თეთრი“ იქცეს აბორიგენად და მათ ენაზე ამეტყველდეს:

„შეიძლება მისი დაკარგვა? არა უბრალოდ ენის, ზოგადად მისი, სითეთრის დაკარგვა“ „ეს არის ენა, რომელიც ისწავლა სალაპარაკოდ. ის ლაპარაკობდა ხუთ ენაზე. მისი ყბების წლების განმავლობაში თავისით ადაპტირდა ახალი ბგერების გამოსაცემად. ეს არ მოხდებოდა მთელი ეს დრო იმ ხალხთან ერთად რომ არ გაეტარებინ, რომელმაც ამ ასეთ ფორმაში ჩამოაყალიბა მისი მეტყველება. მაგალითად, ფრანგი კაცი განსხვავდება შეხედულობით ინგლისელისგან და ან შოტლანდიელისგან, ახლა კი მოდი გავიაზროთ ეს განსხვავება ენისგან ხომ არ მოდის? კარგი! ... ყველაფრის გათვალისწინებით, შეიძლება ის ასეთი მეორე ბუნებით იყო. მისი ენა და გარეგნობა მიემსგავსა ერთმანეთს, მან დაკარგა თავისი „თეთრი“ კაცის შესახედაობა, განსაკუთრებით იმ თეთრი კაცისათვის, რომელისთვისაც უკვე მის გარეგნობას აღარაფერი ძალა აღარ აქვს, მის თვალში ის უკვე „შავად“ იქცა.“

აქაც ყველაფერი ისეა, როგორც ბაბილონის გოდოლში, როცა ღმერთმა ყველას აურია ენა და აღარ ესმოდათ ერთმანეთის, დაიკარგა, ჩამოიშალა მანამდე არსებული ერთიანობა. დაიწყო გაუცხოება, ხალხის იზოლაცია.

ახლა კი, ბაბილონის გოდოლიდან გადავიდეთ ბაბილონზე როგორც უძველეს ქალაქზე. რატომ გადაწყვიტა მალუფმა ბაბილონთან პარალელის გავლება? ყველამ კარგად ვიცით, რომ ბაბილონი იყო უდიდესი მნიშვნელობის ქალაქი უძველეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ რაც ხამურაბიმ იგი თავისი ძლევამოსილი იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადა. მაგრამ საინტერესოა რა კავშირი უნდა ქონდეს ბაბილონს, უძველეს ქალაქს, თანამედროვე ავსტრალიასთან?! - პასუხისთვის კი უნდა გავიხსენოთ მალუფის ბიოგრაფია, მისი წარმომავლობა დაკავშირებულია არაბულ და ებრაულ კულტურასთან. დაიბადა ავსტრალიაში, ლიბანურ-ებრაულ ოჯახში. ფაქტია, მიგრირებულმა ებრაელმა დედამ თავისი კვალი დაამჩნია მალუფზე და თავის მხრივ ამან ნოველაზეც იმოქმედა. აქ, კავშირი უნდა ვეძებოთ ებრაულთა ისტორიაში, საუბარია ებრაელთა ტყვეობაზე ბაბილონში. ებრაელთა ეს მიგრაცია იერუსალიმიდან ბაბილონში იქცა კოლონიზატორების მიგრაციის სიმბოლოდ ავსტრალიაში. ახლა კი მივედით იმ დიქტომიამდე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რას განასახიერებს ავსტრალია იერუსალიმს თუ ბაბილონს?!

ჩემი მიზანიც ეს არის, გაჩვენოთ ავსტრალიის როლი. არის ის ბაბილონი - უწმინდურობის ადგილი თუ წმინდა იერუსალიმია? ეს არის ის რთული კითხვა, რომელიც დევიდ მალუფმა გააჩინა მისი ამ დიქტომიურობით. მოკლედ, რომ ვთქვათ გვაქვს ორი აბსოლუტურად ურთიერთსაპირისპირო იდეა ავსტრალიისადმი, აღვიქვათ იგი როგორც ჯოჯოხეთი, უწმინდურობა ანუ აღვიქვათ იგი როგორც ბაბილონი ან სამოთხე, სიწმინდა - იერუსალიმი. იმისთვის რომ ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ ავსტრალიას უნდა შევხედოთ პერსონაჟების თვალთ. ამისთვის კი ნება მომეცით შემოგთავაზოთ ნაწაწმოებიდან კიდევ რამდენიმე მონაკვეთის თარგმანი. პირველი პერსონაჟი, რომლის აღწერაც მინდა მოვიყვანო არის ჯორჯ ებოტი, ახალგაზრდა მასწავლებელი:

„ავსტრალია? მანამდე ფაქტოვრივად არც კი იცოდა სად იყო ის. უხერხული განცდაც კი ჰქონდა რომ მხოლოდ ახლა გაიგო ამ მხარის შესახებ.“ „ადგილმა დამარცხება ძალიან დაბალ დონეზე აიღო, იგი ყოველმხრივ დამთრგუნველი იყო. თავიდან კი, ერთი შეხედვით იყო მზაკვრულად ტკბილი, გაცისკროვნებული, აყვავებული, ამ ყველაფერმა კი მალევე დაიწყო ლპობა. ერთ წამს იყო ძლიერი, ამაღეკვებელი, ჩამაფიქრებელი, მეორე წამს კი ყველაფერი იძირებოდა, მიწაზე ეცემოდა. ადგილობრივებიც კი დინჯბი და ნაცრისფერები იყვნენ. წვრილი, მტვრიანი, საზიზღარი რწყილები, რომლებიც ვერაფერს მოგაგონებდნენ, თუ არა საშინელებას, საიდანაც შეიძლება აღმოცენდეს ადამიანური ბუნება თავისი საწყისებით და ასეთ ადგილას, ასე ადვილადვე ჩაიძირება უკან.“

ამ მონაკვეთიდან კარგად ჩანს რომ ჯორჯისთვის ავსტრალია მხოლოდ სასჯელია. მისთვის ავსტრალია არის „ჯოჯობეთი“, „ბაბილონი“. მეორეს მხრივ გვყავს, კიდევ ერთი პერსონაჟი მისტერ ფერესი, რომლიც ავსტრალიას აბსოლუტურად სხვაგვარი თვალთ უყურებს.

„პატარა ლეღვი ან ქლიავი მუქი მწვანე ფოთლებით, მისი ახალგაზრდა ყლორტების რძისფერი წვენი განსაკუთრებულია ჭრილობების სამკურნალოდ. სხვა მცენარეების (ოურაის ან გრევიას) ფესვები კი გამოყენება ნახარშის დასამზადებლად: მონაცვლეობით, მომრგვალო დაკბილული ფოთოლი პატარა ყავისფერი კენკრით, ძირითადად წყვილებში, იგი მცირე დანამატს წარმოადგენდა.“

აქ უკვე ავსტრალია სამოთხედ გვევლინება. მისთვის ის იერუსალიმია, ან უბრალოდ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისტერ ფერეზი შეიძლება ხედავდეს მასში იერუსალიმის პოტენციალს. იმისათვის, რომ მიგახვედროთ ნება მომეცით კიდევ ერთი მონაკვეთი მოვიყვანო მაგალითად მისტერ ფერესის სიტყვებიდან:

„აქ ერთი ნათელი ჭეშმარიტებაა. ეს არის ის, რომ არცერთი კონტინენტი არ რჩება ღვთის სიკეთის გარეშე. მისი მთავარი განზრახვაა, რომ ყველაფრით უზრუნველყოს თავისი შვილები. ეს ადგილიც იქნება ერთ დღეს, დარწმუნებული ვარ, ნაყოფიერებით სავსე მინდორი, რათა სარგებელი მოგვცეს. იქნება ბანკეტიც, მაგრამ ამ საერთო ქეიფზე სტუმრები

ვიქნებით.“ „ამ მიწის შვილებიც სწორედ ამიტომ იშვნენ, როგორც ეს ადრე იყო, ეს უნდა იქცეს მათთვის მდიდარ საცხოვრებლად, სავსე რძით და თაფლით. თუნდაც უმეტესი თავისი სიმდიდრისა დამალული იყოს. მაგრამ მაშინ ასეთი იყო აღთქმული მიწის რძე და თაფლი, რომელიც არ იყო არც რძე და არც თაფლი აღთქმული მიწისა, რომელიც არც რძე იყო და არც თაფლი, და თავად მიწა, როგორც ჩანს, გამხმარიყო უპირობოდ“.

ამ ყველფრის გათვალისწინებით, უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მისტერ ფერესისთვის ეს იყო ბაბილონი, რომელსაც ჰქონდა ყოველგვარი შესაძლებლობა გადაქცეულიყო იერუსალიმად. აღთქმული მიწის ფენომენსაც პირდაპირ მივყავართ ებრაელებთა. უფრო მეტიც, იყო სტუმარი საერთო ქეიფზე, თანამედროვე ისრაელის მდგომარეობაზეც კი მიანიშნებს. იქნებ ამით პალესტინა-ისრაელის კონფლიქტზეც ცდილობს ჩვენს დაფიქრებას. ერთ დროს თავიანთ მიწაზე იქცნენ სტუმრებად, მაგრამ თან ეს ქეიფი ჯერ კიდევ არ არის გარანტი თავიანთი ძალაუფლების და სიმშვიდის ამ ტერიტორიაზე!

უკანასკნელი, პერსონაჟი რომელსაც შევხვები, უშუალოდ ჯიმისეული ავსტრალიის ჩვენებამდე არის ელენ მაქლოვერი. მისთვის ავსტრალია არ არის „იერუსალიმი“, მაგრამ არც ბაბილონი, არც მთლად ჯოჯოხეთი არ არის. მას შეუძლია იგი მიიღოს, როგორც უბრალოდ ახალი საცხოვრებელი:

„ის იყო ერთადერთი, რომელიც ამტკიცებდა, რომ აქაური სიცხე არც ისეთი აუტანელი არ იყო, როგორც სხვები აღიქვამდნენ, ან ორთქლიანი წვიმა, კოკისპირულად რომ ეშვებოდა ხოლმე, ან კოლოების ღრუბელი, რომელიც მდინარის ყელიდან, მანდგროვის ხეებიდან მოდიოდნენ და მათი ნაკბენები ერთიანად ასიებდნენ ქუთუთოებს, ან ჭიპებივით ვეება ტარაკნები, რომლებიც სიბნელეში დაფრინავდნენ კიდევ, ან უბრალოდ შეფერხებები... განსხვავებული ბალანსი ჩამოყალიბდა მათ შორის პირველ დღეებში ამ კოლონიაში. თითქოს, მსოფლიოს ნახევრის გავლის შემდეგ ისინი კი არ მივიდნენ ამ ახალ საცხოვრებელ ადგილთა, თვითონ ადგილი მოვიდა მათთან.“

ბოლოს, რა არის ავსტრალია ჯიმისთვის? სად არის ჯიმის ადგილი ამ ორს შორის, აზორიგენებთან თუ თეთრებთან? თუ ავსტრალიას მივიჩნევთ ჯოჯოხეთად, მაშინ ინგლისი ყოფილა სამოთხე. მაგრამ მისი ინგლისური ცხოვრებიდან გამომდინარე, რომელიც ასევე ნათლად არის ნაჩვენები წიგნში, ინგლისი ნამდვილად არ ყოფილა სამოთხე მისთვის. თავის მხრივ არც ავსტრალიაა იერუსალიმი ან ბაბილონი, ის სადღაც ამ ორს შორისაა. ის იმ ებრაელს, რომელმაც რომელმაც დატოვა სახლი და ახალი ააშენა ბაბილონში. ის იქცა ხიდად ამ ორ ხალხს შორის და ამავე დროს იგი ამ ორ ხალხს შორის იკარგება. ებრაული სიტყვა „ბალალ“ ნიშნავს დაბნეულობას, აღრევას, სწორედ ეს არის სიტყვა ბაბილონის ფუძეც. ეს არის ერთგვარი ალუზია ამ დაბნეულობის და არეულობის, შფოთვის, რომლითაც ახალმოსახლენი იტანჯებოდნენ, ისივე როგორც ახალი ენით. ჯიმი არის „ბალალი“, ის არის დაბნეულობა. მისი პიროვნებაა დაბნეული. საბოლოოდ ის ტოვებს ქუინსლენდელებს და უჩინარდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაწარმოები მთავრდება ოპტიმისტურად. გამომდინარე ოპტიმისტური დასასრულისა, შეიძლება ჩავთვალოთ ავსტრალია „იერუსალიმად“, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ არანაირი იერუსალიმი არ არსებობს ასე პირდაპირ. აქ არის ბაბილონი, რომელიც არ არის ჯოჯოხეთი ან სიმბოლო უწმინდურობის. ეს არის შესანიშნავი ისტორიული ადგილი, რომელსაც აქვს დიდი პოტენციალი იქცეს იერუსალიმად. რაც შეეხება დიქტომიას, რომელიც უმნიშვნელოვანესია ნაწარმოებში, არის თავად ბაბილონი. ბაბილონია დიქტომიური, ორსახოვანი, ის შეიძლება იყოს უძველესი ქალაქი ბაბილონი ან ბიბლიური ბაბილონის გოდოლი. ის შეიძლება იყოს ჯოჯოხეთიც და შეიძლება იყოს სამოთხეც ასევე.

შინტოიზმი

ლელა ჯაბანიშვილი

რელიგია- ესაა ცივილიზაციის არსებობის ის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ერის კულტურულ ფასეულობებს, ფილოსოფიურ და მორალურ ღირებულებებს. მსოფლიოში გავრცელებული, შესწავლილი თუ ჯერ კიდევ შეუსწავლელი რელიგიებიდან თითოეული განსხვავებულია თავისი არსითა თუ სპეციფიკით და სწორედ ეს იწვევს განსაკუთრებულად დიდ ინტერესს საზოგადოებაში. ნიშანდობლივია, რომ რელიგიის ფენომენი საინტერესო სპეციფიკით არის წარმოდგენილი აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ კი იაპონიაში.

უპირველესად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იაპონიაში მრავალი რელიგიაა გავრცელებული: შინტოიზმი, ბუდიზმი და კონფუციონიზმი, ხოლო XVI საუკუნიდან ქრისტიანობა, რომლის დამკვიდრებაც იაპონიაში პირველი ევროპელების-პორტუგალიელების გამოჩენას უკავშირდება. ზემოთ ჩამოთვლილთა შორის წამყვანი ადგილი იაპონელთა უმეტეს რელიგიას- შინტოიზმს უჭირავს, რომელიც ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების ხანაში ჩაისახა. ნიშანდობლივია, რომ უმეტესი ხანის იაპონიის მოსახლეობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მაგიის ხელოვნებასა და მაგიური რიტუალების შესრულებას, რაც მოგვიანებით შინტოიზმის სპეციფიკით წარმოგვიდგა.

იაპონურად შინტო (神道, Shintō) „ღმერთების გზას“ ნიშნავს. თავდაპირველად მას არ გააჩნდა არანაირი დოგმები და წმინდა წიგნები, თუმცა მოგვიანებით, როდესაც გარედან შემოღწეულმა რელიგიებმა, განსაკუთრებით კი ბუდიზმმა გავლენა იქონია იაპონურ საზოგადოებაზე, შინტოიზმშიც ჩამოყალიბდა გარკვეული დოგმები. ჩვენთვის საინტერესო რელიგია უპირველესად ასახავდა ადამიანის უძლურებას ბუნების ძალების წინაშე, რაც ადამიანს იძულებულს ხდიდა თავიანთი ეცა ბუნებრივი მოვლენებისთვის- მზისთვის, ქარისთვის, წვიმისთვის, თოვლისთვის, ასევე მცენარეებისთვისა და ცხოველებისთვის. განსაკუთრებულია ის ფაქტი, რომ შინტოიზმი უდიდეს პატივს სცემს წინაპართა სულებს და

სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ შინტოიზმი არის წარსულისა და აწმყოს დამაკავშირებელი რელიგია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შინტოიზმი პოლითეისტური რელიგიაა. მისი მრავალრიცხოვანი ღმერთების პანთეონში პირველი ადგილი უჭირავს მზის ქალღმერთ - ამატერასუს (იაპონ. 天照), რომლის შესახებაც უამრავი მითი და ლეგენდაა შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, რომელიც შემდგომ შინტოიზმის ერთ-ერთ ფუნდამენტად იქცა, ადამიანებსა და ღმერთებს შორის კავშირი მყარდება ამატერასუს შთამომავლის, დედამიწაზე წარმოგზავნილი იმპერატორ ჯიმუს მეშვეობით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იაპონიის იმპერატორთა საგვარეულოს ძვ.წ 660 წელს. სწორედ ამიტომ, იმპერატორი ჯიმუ ღვთაებრივ არსებად და ყველა იაპონელის წინაპრად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ იაპონელები ქალღმერთ ამატერასუს შემდეგ განსაკუთრებულად ეთაყვანებიან ქარიშხლის ღმერთ სუსნოს(იაპონ. スサノオ), მთვარის ღმერთ ცუკიომის (იაპონ. 月読) და მიწათმოქმედების ღვთაებებს. დიდ პატივს სცემენ ასევე გეოგრაფიულ ადგილებს, განსაკუთრებით კი ფუძიამას მთას, რომელიც წმინდა ადგილად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ შინტოიზმის მორალურ-ეთიკური მხარეების განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონიეს სხვა რელიგიებმა. ამ მხრივ გამორჩეულია კონფუციონიზმი და დაოსიზმი, რომელთა განმტკიცებით შინტოიზმში დამკვიდრდა ისეთი ნორმები, როგორებიცაა - სუსტის ძლიერისადმი და უმცროსის უფროსისადმი მორჩილება. კონფუციონიზმის გავლენით, შინტოიზმი ქადაგებს მიწიერი ცხოვრების აპოლოგიას და ნაკლებადაა დაინტერესებული იმქვეყნიური ცხოვრებით. უკვე ჩვენი წელთაღრიცხვით VI საუკუნის შუა ხანებში, კორეის გზით იაპონიაში დამკვიდრდა ბუდიზმი, რამაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა ორივე რელიგიაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბუდიზმის გავრცელების პერიოდიდან ვხვდებით ამ ორი რელიგიის- შინტოიზმისა და ბუდიზმის მშვიდობიან თანაარსებობას და ურთიერთშეთავსებას. მოცემული ფაქტი შეიძლება დავადასტუროთ იმ გარემოებით, რომ შინტოისტური ღმერთები გაჩნდნენ ბუდისტურ ღვთაებათა პანთეონში, ხოლო, თავის მხრივ, ბუდამ საპატიო ადგილი დაიკავა შინტოისტურ

ტადრებში. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ორი რელიგიის ასეთი მშვიდობიანი ურთიერთობა მსოფლიო რელიგიათა ისტორიის განმავლობაში იშვიათია, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ დასახელებულ რელიგიათა თანაარსებობის პერიოდში იყო დაპირისპირებებიც, რაც იაპონიაში შექმნილი ისტორიული ვითარებიდან გამომდინარეობდა.

უმთავრეს კონცეფციას, რომელსაც ემყარება შინტოიზმი, წარმოადგენს მრავალიცხოვანი სულების- კამების თაყვანისცემა. ისინი განსახიერდებოდნენ ცხოველებში, მცენარეებში, ბუნებრივ მოვლენებსა და წინაპართა სულებში. შინტოს კონცეფციის თანახმად, ადამიანის დასაბამს წარმოადგენს კამი, ამიტომაც ყოველი იაპონელის მოვალეობაა, პატივი მიაგოს კამის უმთავრესის, სიცოცხლის ჩუქებისთვის. აღსანიშნავია, რომ შინტოიზმი განსაკუთრებულად არ გამიჯნავს ადამიანსა და კამის შორის კავშირს, ვინაიდან ადამიანი თავად არის კამი. ნიშანდობლივია, რომ კამის შეუძლია სხვადასხვა რიტუალურ თუ ღვთაებრივ არსებაში განსახიერება, რომელიც შემდგომ თაყვანისცემის ობიექტი- შინტაი ხდება.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს საიქიო ცხოვრების კონცეფცია შინტოისტურ მოძღვრებაში. ვინაიდან ადამიანები და კამები ერთ სამყაროში თანაარსებობენ, ადამიანი არაა ვალდებული, იმქვეყნიურ სამყაროში ადგილის დამკვიდრებისთვის იღვაწოს. შინტოიზმის მიხედვით, გარკვეული ნორმების დაცვის შემდეგ, რასაც აუცილებლად თან სდევს კამებთან ჰარმონიული ურთიერთობა, ადამიანი ხსნას და ბედნიერებას მოიპოვებს.

საინტერესოა სიკეთისა და ბოროტების შინტოისტური გაგება. ადამიანი ბუნებით კეთილ არსებად წარმოგვიდგება, სამყარო კი, რომელშიც ცხოვრობს, სიკეთითაა აღსავსე. განსხვავებით სიკეთისაგან, ბოროტება ბნელეთიდან შემოჭრილი დამანგრეველი ძალაა, რომელიც ადამინზე ახდენს გავლენას და უბიძგებს საძრახისი საქციელის ჩადენისკენ. საინტერესოა ისიც, რომ ადამიანის უარყოფითი საქციელი სხვადასხვა გარემოებაზეადამოკიდებული, ეს იქნება მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ქმედების მიზეზი და შედეგი თუ ნებისყოფა. ჩამოთვლილ მიზეზთა გაცნობისა და განზოგადების

საფუძველზე, ადამიანს დანაშაული ცოდვად არ ეთვლება, თუმცა ქმედებამდე იგი აუცილებლად უნდა ეცადოს უარყოფითი ენერჯის, სიბრაზის, სიძულვილის ჩახშობასა და მშვიდობიანი გზებით უსიამოვნებისთვის თავის არიდებას. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ შინტო თავის მორწმუნეებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს სიკეთისა და ბოროტების არსის გაგებაში, ვინაიდან იგი არ აყალიბებს კონკრეტულ კონცეფციას მოცემული საკითხის გარშემო.

აღსანიშნავია, რომ შინტოიზმს არ გააჩნია კანონიკური საეკლესიო წიგნები. აქ ყოველ ტაძარს თავისი ღვთაება, მითი და მასთან დაკავირებული წეს-ჩვეულებები გააჩნია, თუმცა შინტოისტებისთვის არსებობს მითების საერთო კრებული, რომელიც თავმოყრილია იაპონიის უძველეს ლიტერატურულ ძეგლებში- „კოჯიკსა“ („უძველესი ამბების ჩანაწერები“) და „ნიჰონ შიოკში“ („იაპონიის ანალები“). ლიტერატურულ ძეგლებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული: იაპონიის ისტორია უძველესი პერიოდიდან; მითები და ლეგენდები; რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლები ისტორიული ფაქტების გადმოცემისას არ გამოირჩევიან ორიგინალურობით და ძირითადად ტენდენციურ ხასიათს ატარებენ, უძველესი მითებისა და, ამასთან, რელიგიური კონცეფციის შესწავლისას უდიდეს როლს ასრულებენ. საინტერესოა, რომ „კოჯიკისა“ და „ნიჰონ შიოკის“ წყაროების ტენდენციურობა, მოგვიანო პერიოდში გამოიყენეს საიმპერატორო დინასტიის ღვთაებრივი წარმომავლობისა და იაპონელთა „განსაკუთრებულობის“ დასამტკიცებლად, შესაბამისად შინტოიზმი, როგორც რელიგია მკაფიო ნაციონალიზმით გამოირჩევა.

ცნობილი ფაქტია, რომ ბუდიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის წინასწარმეტყველები მიმართულნი იყვნენ კაცობრიობის ფართო მასებისკენ, განსხვავებით შინტოიზმისგან, რომლის კონცეფციის მიხედვითაც, ღმერთებმა და კამებმა დედამიწაზე გააჩინეს მხოლოდ იაპონელები და არა მთელი კაცობრიობა. გამომდინარე ამ ფაქტიდან, მხოლოდ იაპონელი ეკუთვნის შინტოს და არა სხვა ერის წარმომადგენელი. შესაბამისად იაპონელისთვის წარმოუდგენელიც კია, რომ არაიაპონელი ჩვენთვის საინტერესო რელიგიის მიმდევარი იყოს. აქვე, აუცილებლად აღსანიშნავი ფაქტია, რომ შინტოისტს არ ეკრძალება სხვა სარწმუნოების მიღება, ვინაიდან ყველა იაპონელი დაბადებითა და

სიკვდილით შინტოისტად რჩება, ხოლო სხვა სარწმუნოების ზიარება დროებით მოვლენადაა მიჩნეული.

შინტოისტური კულტი ოთხი უმთავრესი ელემენტისგან შედგება: განწმენდა, მსხვერპლშეწირვა, მოკლე ლოცვა და ბოლოს-ზეთით კურთხევა. მეტად მარტივი და სადაა ღვთისმსახურების რიტუალი: ტაძარში შესვლისას, რომელსაც იაპონელები ჯინჯას უწოდებენ, მორწმუნე ეთაყვანება ადგილობრივ ღვთაებას და რამდენჯერმე ტაძის შემოკვრით მიიპყრობს სულების ყურადღებას, საბოლოოდ კიმორწმუნე ლოცვას იწყებს მისთვის სასურველ თემაზე. შინტოს კულტის სიმარტივე, რაც გამოიხატება კიდევ მიმდევრებისგან მცირე ძღვენისა და ტრადიციული რიტუალების შესრულების მოთხოვნით, საუკუნეთა მანძილზე ამ რელიგიის სიმტკიცისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა.

საინტერესო ფაქტია, რომ შინტოისტურ ღვთისმსახურებას თავდაპირველად ტომის ბელადები და უხუცესები ასრულებდნენ. უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან წეს-ჩვეულებების შესასრულებლად დაინიშნენ წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლები, თუმცა დროთა განმავლობაში ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი გახდა. ამგვარად წარმოიშვა კანუსის- „კამის პატრონის“ ინსტიტუტი, რომლის სახელითაც დღესაც სარგებლობენ შინტოიზმის ქურუმები. მიუხედავად იმისა, რომ კანუსები ვალდებულნი იყვნენ, ჩაეტარებინათ ყველა რიტუალური ცერემონია, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რიტუალების შესრულება იმპერატორის პრივილეგიად დარჩა. უკვე VIII საუკუნის დასაწყისიდან საიმპერატორო კარზე შეიქმნა შინტოს საქმეთა სპეციალური დეპარტამენტი, რითაც ჩვენთვის საინტერესო რელიგია უფრო მეტად დაუკავშირდა საიმპერატორო მმართველობას. ნიშანდობლივია, რომ კანუსები დღესაც იმოსებიან VIII-IX საუკუნეების დროინდელი სარიტუალო სამოსის ნიმუშებით, რომელიც შედგება თეთრი კიმონოს, წვრილნაკეცა ქვედაბოლოსა და შავი ქუდისგან. ტაძარში ისინი თეთრი წინდებით დადიან, ხოლო რიტუალის შესრულებისას ატარებენ დიდ შავ ფეხსაცმელს. კანუსები, ტაძრის გარეთ არ ატარებენ სარიტუალო ტანსაცმელს, არამედ აცვიათ ისე, როგორც რიგით მოქალაქეებს.

ბურჟუაზიული რევოლუციისა და მეიჯის რესტავრაციის შემდგომ პერიოდში, კერძოდ 1868 წლიდან, ბუდისტური და შინტოისტური ტაძრები ოფიციალურად გაემიჯნა ერთმანეთს. შინტოიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ დაიწყო აღორძინება შინტოს ნაციონალისტურმა კონცეფციებმა, რომელიც გულისხმობდა იმპერატორის ღვთაებრივ წარმოშობასა და იაპონელი ერის გამორჩეულობას. 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, შინტოიზმის პრესტიჟი საგრძნობლად დაეცა იაპონიაში- იმპერატორი აღარ ითვლებოდა ღვთაებრივ ჩამომავლად, იკრძალებოდა შინტოისტური ლიტერატურა და მისმა სამღვდლოებამაც დაკარგა ოფიციალური სტატუსი. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, კერძოდ 1966 წლიდან, დაიწყო შინტოიზმის გავლენის აღდგენა მმართველი პოლიტიკური ძალის, პარტიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კონსერვატიული ფრთისა და შინტოს ღვთისმსახურთა ძალისხმევით.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ შინტოიზმმა უაღრესად დიდი როლი ითამაშა იაპონელთა მენტალობისა და ეროვნულობის განმტკიცების საქმეში. ჩვენთვის საინტერესო რელიგია, უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო იაპონელთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. რის შედეგადაც განვითარდა სწორედ ის კულტურა, რომელიც დღესაც უდიდეს ინტერესს იწვევს თავისი განსხვავებულობით მსოფლიოს მასშტაბით.

ლიტერატურა

محمد سید اول مکرم نطق افروز که سفینه امید سکان بخار بحر رظمی موج متعرق
مستغرق گرداب حرمان اتمش ائین سلسله استیاری
بر اوقاب شعراء اسلام صحیح و سالم ساحل نجاته حکمش و ساسی
اول ناظم آسمان در زمینه سیمای نظمین افسر فرق فرقان ایدوب مرز
قلوب اهل عرفان بنال مودت کلام موزون حکمش زهی صنایع کوی
خادم کلک حسن مومنی از لادن اقتضای نظم جان پرور تم قلمش کمال
شکر سببی مکن او طراز اول دین اندین استخوانت که طبع نظم لطف استیش کرم

არაბული მარსია და მისი პარალელები ქართულ ხმით ნატირალსა და

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

მარიამ ჯერანაშვილი

არაბული ლიტერატურის ისტორია ჯერ კიდევ ისლამის აღმოცენებამდე, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ჯაჰილიის პერიოდიდან იწყება. სწორედ ამ პერიოდის სალექსო ფორმებიდან განვითარდა და ცალკეული ჟანრის სახე მიიღო სხვადასხვა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ. მათ შორისაა გლოვის ჟანრი (რისა), რომელიც არა მხოლოდ არაბული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი ჟანრია. გლოვის ლექსის, იგივე მარსიის, ძირითადი საფუძველი არის ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის ხმამაღლა თქმა იმის რწმენით, რომ გარდაცვლილს ამით პატივი მიეგება. თავად სიტყვა მარსია მომდინარეობს ზმნიდან რასა (رسا), რაც გარდაცვლილის დატირებას ნიშნავს.

ი.გოლდციერი მიიჩნევს, რომ მარსია გარდაცვლილის დატირებისას მოტირალთა მიერ საჯ'ით (გართმული პროზა) წარმოთქმულ გამონათქვამებს უკავშირდება და ჰქონდა ისეთივე რიტუალური დანიშნულება, როგორიც დაკრძლვაა. ჟამთა სვლასთან ერთად, იგი საზომისა და რითმის თვალსაზრისით დაიხვეწა და, საბოლოოდ, სრულყოფილ გლოვის ლექსად იქცა. მარსიაში ავტორი წინა პლანზე წამოსწევს გარდაცვლილის გმირობას, კეთილშობილებას დასაყოველთაოდ მიღებული სახოტბო პასაჟებით ხაზს უსვამს მის დადებით თვისებებს. სწორედ ამიტომ, კუდამა იბნ ჯა'ფარი მარსიაში მადჰის (ხოტბა) ელემენტებსაც ხედავდა.

მის მსგავსად, მუჰამმად იბნ სალამ ალ-ჯუმჰკირც თა'ბონს მადჰის ნაირსახეობად თვლის:

„თა'ბონი გარდაცვლილის ხოტბაა, ხოლო მადჰი ცოცხალი ადამიანისა“

ხოტბა, ხშირ შემთხვევაში, იქმნებოდა კითხვითი კონსტრუქციებით, რაც მეტ ემოციურობას სძენს ტექსტს. □□□□□□□□□□ ნაწილაკიანი კონსტრუქციის გვერდით გვხვდება □□□□□□□□□□

და [] ფორმებიც. ცნობილი ქალი პოეტი ალ- ხანსა, რომელიც ძმებისადმი მიძღვნილი მარსიებით გახდა ცნობილი, დასტირის საკუთარ ძმას, სახრს:

„ [] * [] []

„ იტირე შენი ძმა ობოლთა და ქვრივის გამო; იტირე შენი ძმა სტუმრისა და მეზობლის(უფლების) გამო“

[]-ს მოსდევს. სახრის ქება, რომელშიც ხაზგამულია, რომ იგი არა მხოლოდ საკუთარ დას, არამედ ქვრივ-ობლებს, სტუმრებსა და მეზობლებსაც დააკლდათ. ალ-ხანსას პოეზიაში სახრის ერთ-ერთ ღირსეულ თვისებად ითვლება შურისძიებისადმი ერთგულება. ეს მოტივი არა მხოლოდ ალ-ხანსას, არამედ ზოგადად გლოვის პოეზიის, განსაკუთრებით კი ისლამამდელი ხანის გლოვის პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივია და მომდინარეობს ისლამამდელ არაბ ბედუინებში გავრცელებული სისხლის აღების ტრადიციიდან. ბედუინისთვის სიკვდილი არ იყო იმდენად შიშისმომგვრელი, რამდენადაც ის ფაქტი, რომ შეიძლება მისი სიკვდილისთვის შური არ ეძიათ.

შურისძიებასთანაა დაკავშირებული თაჰრ ო დიც. ის ერთგვარი მოწოდებაა სისხლის აღებისკენ და მოწინააღმდეგე ტომის მიმართ მუქარაში გამოიხატება. ძალზედ საინტერესოა შურისძიებისა და თაჰრ ო დის თემებთან დაკავშირებული ალ-მუნსიდა. ის არის მტრის მადჰი, რომლის საშუალებითაც ავტორი ხაზს უსვამს თუ რამდენად ღირსეული მოწინააღმდეგე ჰყავს მტრის სახით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცვალებულის კულტი და მასთან დაკავშირებული რიტუალები არა მხოლოდ არაბული, არამედ მსოფლიო, და მათ შორის ქართული, კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა გარდაცვლილის დატირება. არსებობს ძახილით, ქვითინით, დათვლით, ხმით, მოთქმით ნატირალები. მათგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ხმით ნატირალი. გარდაცვლილის სიტყვიერი დატირება საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული, თითქმის პოეტური ტექსტის ფორმას იღებს და ხალხური პოეზიით გამორჩეულ ისეთ კუთხეებში, როგორც ფშავი, თუშეთი და ხევსურეთია დღემდე მოქმედი ჟანრის სახით გვხვდება.

რაც შეეხება მის სტრუქტურას, ხმით ნატირალი ურითმო ლექსია, რომელშიც ძირითადი ადგილი ტექსტს უკავია, ხოლო მუსიკალურ ფონს მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს. ყველა ხმით ნატირალი იქმნება იმპროვიზაციით, თუმცა მეორდება გარკვეული ეპითეთები და ფორმულები.

მთავარი განსხვავებაც ქართულ ხმით ნატირალსა და არაბულ მარსიას შორის მათი შექმნის პრინციპში მდგომარეობს. თუ რითმისა და საზომის კუთხით დახვეწილ მარსიას, რომლის შეთხზვაც უშუალოდ დატირების მომენტში სულაც არაა აუცილებელი, ქმნის პოეტი, ქართული ხმით ნატირალი უშუალოდ დატირებისას, ან გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელ დღეებში, იმპროვიზაციით იქმნება და მისი ავტორი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყოველთვის ქალია. ასევე, ქართულ სინამდვილეში ხმით დატირების უფლება არ აქვთ ცოლსა და დედას, ქმრის მიერ ცოლის დატირების კი მხოლოდ ორ ნიმუშს ვხვდებით. იმ შემთხვევაში თუ ცოლი გარდაცვლილ ქმარს მაინც დაიტირებდა, ნატირალის შესავალში აუცილებლად აღნიშნავდა საკუთარი საქციელის შეუფერებლობას. გარდაცვლილის ხმამაღლა დატირება შეეძლოთ დებს, დეიდებს, მამიდებს, რძლებს, ახლო ნათესავებს და, რა თქმა უნდა, პროფესიონალ მოტირლებს.

არაბული მარსიის მსგავსად, ქართულ სინამდვილეშიც განსაკუთრებულად დასტიროდნენ ბრძოლის ველზე დაცემულ, თემ-სოფლისთვის ღვაწლმოსილ ახალგაზრდებს და აქედნენ „მდევართმეტობით“, „ომისგან დამაშვრალობით“.

სწორედ მათი საგმირო საქმეებისა და ქების წინა პლანზე წამოწევისას ვხვდებით თა'ზ ონზე აგებულ მარსიასთან კვეთას. ისლამადელი მარსიის მსგავსად შურისძიების მოტივს ქართულ ხმით ნატირალშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ხევსურული წესის მიხედვით, დიდ სირცხვილად ითვლებოდა სისხლის აუღებლობა და მოკლულის სულიც, შურისძიებამდე, საიქიოში დაიტანჯებოდა.

ხმით ნატირალის ობიექტი გამორჩეული იყო თანაგრძნობით, ერთგულებითა და გაჭირვებულის შემწეობით. ამ სახის ქება ვხვდებთ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ნატირალში:

„ შენ იყავ ქვეყნის თანასწორი; მზე- მთვარესავით მოსდიოდი; ბეჩავთ, ქვრივ-ობოლთ შველისადა“

აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ თავად ვაჟა-ფშაველაზე, როგორც მთის პოეტზე, შეუძლებელია გავლენა არ ჰქონოდა იმ ფასეულობებს, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, როგორც არაბული მარსიის, ისე კავკასიური, კერძოდ ქართული, ხმით ნატირალისთვისაა დამახასიათებელი. ცხადია, გლოვის ლექსი მის შემოქმედებაში არ გვხვდება, თუმცა მისი ნაწარმოებებში ცალკეული ელემენტების სახით ჩართულია მარსიისთვის დამახასიათებელი მოტივები. „ სტუმარ- მასპინძელში“ შეგვიძლია დავინახოთ თაჰრუდის ელემენტები:

„დღეს ჩვენს ხელთ არის, ვეცადოთ,

ვაგემოთ გემო მწარია,

მაგათ მოკლული ამ ზაფხულს

გვყავს უპატრონო მკვდარია.“

აქაც, მარსიის მსგავსად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის აღებას და „უპატრონო მკვდრად“ ითვლება მიცვალებული, რომლისთვისაც შური ჯერ ვერ იძიეს ანუ ვერ უპატრონეს და საიქიოში მოსამსახურედ ვერ გაუგზავნეს. სწორედ ამიტომაც მიჰყავთ ზვიადაური ქისტის საფლავზე და ანუგეშებენ მიცვალებულს:

„ მოვსდეგით შენი მოძმენი

შენი სამარის კარსაო

მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,

არ გაჰმევთ მტრისა ჯავრსაო“

როდესაც ქისტები უკვე მოკლული ზვიადაურის ვაჟკაცობას აქებენ მცირე სახეცვლილებებით გვხვდება ალ-მუნსიფაც:

„ კარგი ვაჟკაცი ყოფილა,

ყველა ალლახსა ჰფიცავდა,“

რაც შეეხება ხმით ნატირალს, მიუხედავად იმისა, რომ დედის მიერ შვილის დატირება ხევსურეთში აკრძალული იყო პოეტს მაინც მოჰყავს დედის მიერ, და არამარტო, ზვიადაურის დატირების ეპიზოდი, რომელშიც დარღვეულია ხევსურეთში გავრცელებული დედის მიერ შვილის დატირების აკრძალვის ტრადიცია და შვილის სიკვდილით გამოწვეული ტკივილის გამოხატვის იდეალურ საშუალებად გვევლინება:

„შავისამბისა გამგონეთ

ზარი გამართეს დედათა.

ბისოს ტიროდა ბებერი,

მოსთქვამს, ქვითინებს მწარედა:

“ბედკრული რად ვარ ცოცხალი?

მეც მიწას მიმაბარეთა;

მკლავნი მაჩვენეთ შვილისა,

მოიტათ, ჩამაბარეთა!

ჩემის შვილისა მარჯვენით

გულს მიწა მომაყარეთა;

ვაჰმე, რადა ვარ ცოცხალი?

რისთვის-და ვსთელავ არეთა?!

მკვდარნო, რად არ მეც ადრევე

თქვენთან არ დამიბარეთა?

როგორ ვიგონო თავის ძე

ურჯულოს არე-მარეთა?!”

დასასრულ, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაბული მარსიისა და ქართული ხმით ნატირალის მთავარი ფუნქცია ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის

გადმოცემა. მიუხედავად განსხვავებებისა, ქართული ხმით ნატირალი გამეორებებით, ნუგეშისცემით, გარდაცვლილის ქებით, მისი ვაჟკაცური წარსულის ხაზგასმითა და სხვა მრავალი მოტივით ავლენს მსგავსებას არაბულ მარსიასთან. ასევე, როგორც არაბული მარსიისთვის, ისე ქართული ხმით ნატირალისთვისაა დამახასიათებელი შურისძიების მოტივი, რომელსაც იმდენად ძლიერად აქვს ფესვები გადგმული კავკასიელ მთიელთა ტრადიციაში, რომ ცალკეული ელემენტების სახით ქართულ პოეზიაშიც კი გვხვდება.

„შაჰნამე“- ყველაზე დიდი პოემა მსოფლიო ლიტერატურაში.

ლიზი მურადაშვილი

დღემდე დაწერილ პოემებს შორის, ყველაზე დიდი პოემა გახლავთ სპარსული და ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის- ჰაქიმ აბუ ლ-ყასიმ ტუსი ფირდოუსის (935-1020) მიერ დაწერილი პოემა- „შაჰნამე“ ანუ მეფეთა წიგნი. ავტორი წიგნს 35 წელი წერდა, თუმცა აღსანიშნავია ის, რომ ამ უდიდესი პოემის ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია და იგი დღემდე დაკარგულად ითვლება.



ფირდოუსმა მასში შეიტანა თავისი განმარტებები, მოვლენათა გადმოცემის პარალელურად, იგი ქმნიდა ფსიქოლოგურად ჩამოყალიბებულ სახეებს. მოვლენათა აღწერებსა და გადმოცემებში შეჰქონდა თავისი განმარტებები. ამით ის ქმნიდა ფსიქოლოგიურ სახეებს. ეპოპეაში მკაცრად დაცული პოეტური სტილი, დაწერილია თავიდან ბოლომდე ერთი გამართული რითმით. ეპოპეა შეიცავს ორსტრიქონიანი ლექსის 50 000 ბეიტს, გამოირჩევა მდიდრული სახეებით, ლაკონიურობითა და პლასტიკურობით, ფრაზების ბუნებრივი დიალოგებითა და ლექსიკური არქაიზმებით. ყველაფერი ეს შინაარს აძლევს განსაკუთრებულ ემოციურობას. წყნარი ეპიკური გადმოცემა ზოგჯერ იცვლება მოკლე ამაღლვებელი ლირიკული გადახვევებით. „შაჰნამეს“ გმირები რეალური ადამიანები არიან, თუმცა მათ ახასიათებთ ფანატიკურ-ზღაპრული თვისებები, რომელნიც წარმოსახულია აღზევებულ ტონში.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „შაჰნამე“ მოგვითხრობს სპარსეთის ისტორიის მითიურ და გარკვეულწილად, ისტორიულ წარსულს სამყაროს შექმნიდან VII საუკუნემდე, ე.ი არაბთა დაპყრობებამდე. ირანში ტრადიციული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ ფირდოუსი ძალიან განიცდიდა სასანიდების იმპერიის დაცემას და სწორედ ამან განაპირობა პოემის შექმნა. „შაჰნამეს“ მიზანია მომავალ თაობებს შემოუნახოს ის ძვირფასი ისტორია, რაც ირანს გააჩნდა საუკუნეების მანძილზე. პოემამ ეს მისია შეასრულა და იგი სპარსეთის ისტორიის ერთგული დამცველი აღმოჩნდა.³

„შაჰნამე“ სამი სხვადასხვა ზომის ნაწილისგან შედგება. პოემა იწყება ვრცელი შესავლით, სადაც აღწერილია, თუ როგორ შეიქმნა სამყარო და ადამიანი. მას მოსდევს მითოლოგიური ნაწილი, რომელიც ალბათ, ყველაზე საინტერესო ნაწილია წიგნში. აქ სიუჟეტი მეფეთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით იშლება. აღწერილია პირველი მეფეების: ქაიუმარსის, ჰუშანგის, თაჰმურასის, ჯამშიდის თანადროული ამბები. ასევე მოთხრობილია სახალხო აჯანყებაზე მეფე დრაკონის ზახხოკის წინააღმდეგ, რომელსაც მჭედელი კოვა ხელმძღვანელობდა. ამ ნაწილში პირველად გამოჩნდება ეპოპეის მთავარი გმირი როსტომი.

მეორე ნაწილი – „დევიგმირული“ მოიცავს ძვ.წ. 782-50 პერიოდს. ეს ნაწილი არსებითად მიძღვნილია როსტომისადმი. მასში გადმოცემულია შაჰების – კაინიდების რომანტიკული სერიები („ზოლი“ და „რუდომა“, „ბეჟანი“ და „მანიჟა, აგრეთვე „თქმულება სიაუშზე“). ყველაფერი ეს მთავრდება უკანასკნელი აქამენიდებითა და ალექსანდრე მაკედონელით.

მესამე – ისტორიული ნაწილი – (ძვ.წ. 50 და ახ.წ. 651) მიძღვნილია სასანიდებისადმი და გრძელდება არაბების მიერ სპარსეთის დაპყრობამდე. ამ ნაწილში განსაკუთრებული და საინტერესოა ამბავი სასანიდი შაჰის ბაჰრამგურის, ბაჰრამ ცუბინის აჯანყებისა და აზდაკის სახალხო ბუნტის შესახებ. 6

ფირდოუსი პოემას ასრულებს შემდეგი სიტყვებით:

„ამ დიდი ისტორიის დასასრულს მივალწიე და მთელი ქვეყანა ილაპარაკებს ჩემზე:

მე არ მოვკვდები, ეს დათესილი თესლი გადაარჩენს ჩემი სახელსა და რეპუტაციას საფლავიდან“.

ფირდოუსის ეს წინასწარმეტყველება ახდა, მრავალმა სპარსელმა ლიტერატურულმა მოღვაწემ, ისტორიკოსმა და ბიოგრაფმა შეაქო და მოიწონა ეს გენიალური პოემა.

ნაწარმოების ილუსტრირებული ასლები სპარსული მინიატურული მხატვრობის ყველაზე მდიდრული მაგალითებია. რამდენიმე ეგზემპლარი ხელუხლებელი რჩება, თუმცა ორი ყველაზე ცნობილი, „ჰოტონ შაჰნამე“ და „დიდი მონღოლი“, რომლებიც XX საუკუნეშიც კი ცალკე იყიდებოდა. 2006 წელს 904,000 ფუნტად გაიყიდა. ნაწარმოების განათებული ხელნაწერი ასლი (გოლესტანის სასახლე, ირანი), შეტანილია იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის საგნების მსოფლიო რეესტრში.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მთელი პოემა გაჟღენთილია სამშობლოს თავდადებული სიყვარულითა და ჰუმანიზმით. მიუხედავად ყოველ ნაბიჯზე ბრძოლის აღწერისა, არსად არ არის ომის ქება. პირიქით, სისხლის მოსურვე ყოველთვის უარყოფითადაა დაახასიათებული.

აღსანიშნავია ის, რომ ქართველები ადრინდანვე იცნობდნენ ფირდოუსის თხზულებას, მაგრამ ძველ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ე. წ. აღორძინების ეპოქაში შეიქმნა როგორც პოეტური ("როსტომიანი", "ზააქიანი", "უთრუთიან – საამიანი"), ისე პროზაული ("ფრიდონიანი", "უთრუთიან – საამიანი", "წიგნი საამ ფალავნისა") ვერსიები. 1970 წლიდან "შაჰნამეს" თარგმნის პროექტი ბელა შალვაშვილი. მის მიერ ნათარგმნია პოემის შესავალი, ქეიუმარსი, უშანგი, თაჰმურასი, ჯემშიდი, ზოჰაქი, ფრიდონი, მანუჩარი, ნოვზარი, ზოვი-თაჰმასფის ძე, გერმასფი, ქეიყოზადი, ქეიქაუსი, ზურაბი, იაუში, ქეიხოსოვი, ხავესი ორთაბრძოლის ამბავი, ქეიხოსროვისა და აფრასიაბის დიდი ომი, მეფე ლოჰრასბი, გომთასბი, ესფანდიარის შვიდი გმირობა, როსტომია და ესფანდიარის ბრძოლა, ანუ შირვანი, ხოსროვ ფარვიზის მეფობა.

ექვგარეშეა, რომ ფირდოუსის „შაჰნამე“ მსოფლიო ლიტერატურის უმაღლეს მწვერვალზეა. ამასზე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეს ლიტერატურული ძეგლი აგრძელებს პროეტების, მწიგნობრების, კრიტიკოსების, ისტორიკოსების, პოლიტიკოსების და ა.შ. შთაგონებას და ყურადღებას იპყრობს თავისი ინდივიდუალურობითა და ისტორიული მნიშვნელობით.

პოლიტიკა



ქალების უფლებები ავღანეთში

მარიამ სულეიმანაშვილი

ქალთა უფლებები ავღანეთისათვის ყოველთვის კრიტიკული საკითხი იყო საუკუნეთა განმავლობაშიც და დღესაც, როცა ქვეყანა თალიბანის დაჯგუფებამ შთანთქა. ტრადიციები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, პროვინციალური აზროვნება, კანონები ბოჭავენ ქალებს და უზღუდავენ ადამიანის უფლებებით სარგებლობას.

ავღანეთში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას დიდი ისტორია აქვს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში იწყება თალიბანის აღზევებამდე დიდი ხნით ადრე. ის მოიცავს მუდმივ დამაბულობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ქალაქებსა და სოფლებსა და ავღანეთსა და გარე სამყაროს შორის. ავღანეთს წარმატებული ავღანელი რეფორმატორები ყავდა. მეორეს მხრივ, ეს მოძრაობა ეწინააღმდეგებოდა ამაყ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც ღრმად აფასებს ქალის მოკრძალებას და უმანკობას, როგორც ოჯახის ღირსების ნაწილს. ავღანეთში, ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს ნაწილში, ოჯახი არის პიროვნების იდენტურობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ფართო საზოგადოებაში და ოჯახის პატივი არის მნიშვნელოვანი ელემენტი იმისა, თუ როგორ აფასებენ სხვა ოჯახები მის სოციალურ პოზიციას. ამ მიზეზების გამო, ბევრი ავღანელი, თუნდაც ის, ვინც მკაცრად ეწინააღმდეგება თალიბანს, მიიჩნევს, რომ ვესტერნიზაცია არის შეურაცხმყოფელი და უკიდურესად საშიში კულტურული ტენდენცია.

აბდულ რაჰმან ხანის მეფობის პერიოდში გაუმჯობესდა ავღანელი ქალების სოციალური მდგომარეობა. კერძოდ, აბდულ რაჰმან ხანმა ავღანელ ქალებს განქორწინების უფლება მისცა, მან გაზარდა ქორწინების კანონიერი ასაკი და მან ქალებს მისცა საკუთრების უფლება. იქედან მოყოლებული ათწლეულების განმავლობაში მრავალი რეფორმა გატარდა გაიხსნა გოგონათა სკოლები, ქორწინების მინიმალურმა ასაკმა აიწია, იძულებით ქორწინება უკანონოდ გამოცხადდა, შეიცვალა ჩაცმის სტილი, ქალებმა მიიღეს ხმის მიცემის უფლება, ქალაქებში ქალები სწავლობდნენ კოლეჯში, იღებდნენ სამუშაოს სახლის გარეთ, მართავდნენ ბიზნესს და ზოგი პოლიტიკაშიც კი მონაწილეობდა. ქაბული გახდა

კოსმოპოლიტი. 1970 -იანი წლების ბოლოს, როდესაც ქალთა მოძრაობამ მოიკიდა ფეხი დასავლეთში, ავღანელი ქალების პროგრესის ეპოქა მოულოდნელად შეწყდა. როდესაც ავღანელმა კომუნისტებმა მიიღეს ძალაუფლება 1978 წლის გადატრიალების შედეგად, ავღანეთი ჩაერთო იმდროინდელი ცივი ომის პოლიტიკაში. თავდაპირველად, კომუნისტებმა წამოიწყეს კიდევ უფრო დრამატული კამპანია სოციალური რეფორმებისათვის, რომელიც მოიცავდა გოგონებისთვის განათლების სავალდებულო და გოგონების დაქორწინების მინიმალური ასაკის დაწესებას. მაგრამ დიდი დრო არ გასულა და კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრების მცდელობებმა ფართო აჯანყების პროვოცირება მოახდინა. შემდეგ, 1979 წლის 24 დეკემბერს, საბჭოთა კავშირმა დაიწყო სრულმასშტაბიანი შეჭრა ავღანეთში, კომუნისტური მთავრობის მხარდასაჭერად. 1989 წელს, თითქმის ათწლიანი მუდმივი ომის შემდეგ, დამარცხებული საბჭოელები გავიდნენ ავღანეთიდან. მშვიდობის და ქაბულში ახალი, სტაბილური მთავრობის დამყარების ნაცვლად, ავღანური საზოგადოება ჩაიძირა ხანგრძლივად სისხლიან სამოქალაქო ომში. პოლიტიკური ავტორიტეტი რეგიონული და ეთნიკური ძალების ხელში აღმოჩნდა: იგივე ჯგუფები, რომლებიც გაერთიანდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, ახლა განცალკევდნენ და იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ავღანელი ქალებისთვის ეს იყო ყველაზე ცუდი პერიოდის დასაწყისი. ავღანელი ქალების ბედი გაუნათლებელ, სოფლის ტრადიციონალისტების ხელში აღმოჩნდა. ავღანეთის სამოქალაქო ომის დროს მამაკაცები დიდი რაოდენობით იღუპებოდნენ, ქვრივები მათხოვრობამდე მიიყვანეს, გაუპატიურება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ხოლო სასოწარკვეთილ ქალებს შორის თვითმკვლელობა სულ უფრო ხშირი ხდებოდა. 1990-იანი წლების დასაწყისში სწორედ ამ ქაოტურ გარემოში მოახერხა თალიბანმა თავისი უფლებამოსილების გაფართოება ქვეყნის მასშტაბით. ისინი დაპირდნენ ალტერნატივას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ავღანელისთვის უსიამოვნო იყო, მაინც სამოქალაქო ომზე უკეთესი და სტაბილური ჩანდა. მაგრამ ამას ავღანელი ქალებისთვის საერთოდ არაფერი მოუტანია დამცირების, შეურაცხყოფის, უფლებების შელახვისა თუ შეზღუდვის მეტი. როდესაც თალიბები გათამამდნენ თავიანთი სამხედრო გამარჯვებებით, ავღანელი ქალების გაჭირვება კიდევ უფრო გაიზარდა მათ კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე. თალიბანმა აიღო თავისი საზოგადოების ყველაზე

მიზოგინური (ქალთმომუშევრობრივი)ელემენტები და იმის მტკიცებით, რომ ისინი ეყრდნობა ყურანს, დაადგინა პრაქტიკაში, როგორც კანონი.გოგონების განათლებაზე წვდომა რვა წლის შემდეგ აიკრძალა; ქალებს ეკრძალებოდათ მუშაობა; სახლიდან გარეთ გასვლა მამაკაცის თანხლების გარეშე;ქალები იძულებულნი იყვნენ საზოგადოების წინაშე დაეფარათ მთელი სხეული, სახის ჩათვლით; მათ ეკრძალებოდათ კაც ექიმისგან მკურნალობის მიღება, თუ არ ახლდა მამაკაცი ოჯახის წევრი; მათ აუკრძალეს საჯაროდ ხმამაღლა საუბარი; მათი ხმების რადიოთი გაჟღერება აიკრძალა; და უკანონო გახდა ქალების ნებისმიერი სურათის გამოფენა, საჯაროდ თუ სახლში.განათლებული ქალების უთვალავი რაოდენობა, რომლებიცადრე მუშაობდნენ საზოგადოებისთვის, ბურკას(ბურკა არის ჩასაცმელი, რომელიც სრულად ფარავს სხეულს, მათ შორის სახეს. თვლების ადგილას ბურკას ბადე აქვს ჩადგმული.) ამოფარებულნითანდათან შორდებოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას იძულებულნი გახდნენ მათხოვრობით ან პროსტიტუციით დაკავებულიყვნენ, რათა ოჯახი გამოეკვებათ. თალიბებმა მათ არც ეს აპატიეს და პროსტიტუციაში ბრალდებული ქალები ქაბულში ფეხბურთის სტადიონზე საჯაროდ ჩაქოლეს.

თალიბანის დამარცხების შემდეგ 2001 წლის ბოლოს, მოხდა შესამჩნევი გაუმჯობესება ავღანელი ქალების უფლებებისა და მათი პოზიციის ავღანურ საზოგადოებაში.ავღანეთის კონსტიტუცია, რომელიც მიიღეს 2004 წელს, დაფუძნებულია გენდერულ თანასწორობაზე. 22 -ე მუხლში, ნათქვამია შემდეგი: „ავღანეთის მოქალაქეებს შორის აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია და პრივილეგია. ავღანეთის მოქალაქეები, იქნება ეს კაცი თუ ქალი, აქვს თანაბარი უფლებები და მოვალეობები კანონის წინაშე.“ გარდა ამისა, 43 -ე და 44-ე მუხლებით გარანტირებულია ქალთა განათლების უფლება, ხოლო 48 -ე მუხლი უზრუნველყოფს მათი მუშაობის უფლებას. ქალაქებში ქალებს მიეცათ უკეთესი წვდომა განათლებაზე, ისინი დაუბრუნდნენ სამუშაოებს და ზოგიერთი ავღანელი ქალი პოლიტიკაშიც აქტიურად ჩაება.ქალებს მიეცათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღების უფლება, რაც მანამდე მხოლოდ კაცებს შეეძლოთ; დაარსდა ქალთა საქმეთა სამინისტრო, ქალები დაინიშნენ მთავრობის მაღალ თანამდებობებზე, მათ მიეცათ ხმის უფლება. ეს ნაბიჯები მხოლოდ დასაწყისი და ზედაპირული წინსვლის პროცესია, ქალთა უფლებები დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა და

დღესაც აწყდება ტრადიციონალისტების წყალობით, რომლებიც დიდი წინააღმდეგობას უწევენ ვესტერნიზაციას, მათ შორის ისინიც არიან ვინც თავს რეფორმატორს და ზომიერად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი გოგონა და ქალი იღებენ განათლებას და თავისუფლად გადაადგილდებიან, ოჯახებს მაინც არ უნდათ რისკზე წასვლა. ექსტრემისტებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ თუ გოგონები სახლიდან გადიან და სხვებს ენახებიან, ისინი კარგავენ პატივისცემას და ოჯახს შეურაცხყოფენ. დაქორწინებული ან დანიშნული გოგონები, თუნდაც ისინი ახალგაზრდები იყვნენ, ხშირად დახურულ კარს მიღმა რჩებიან. ავღანეთში ქალებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც 2001 წლის შემდეგ იყო 2009 წელს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კანონი (EVAW), რომელიც შეიქმნა ქალებისა და გოგონების ოჯახური ძალადობის სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახები და პოლიცია ხშირად აფერხებს საჩივრის შეტანას, კანონმა ავღანელი ქალებისთვის შენელებული ტემპით, მაგრამ გარკვეული ცვლილებები მაინც მოიტანა. სამწუხაროდ კანონის მიღმა რეალობა სულ სხვაა. ქალები ყოველდღე განიცდიან ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობას. ხშირად ამ ტანჯვისგან გასაქცევ გზად თვითმკვლელობადა ესახებათ. 2014 წლის სამთავრობო სტატისტიკა აჩვენებს, რომ თვითმკვლელობების 80 პროცენტი ქალების მიერ არის ჩადენილი.

თალიბანისგან გათავისუფლების შემდეგ ახალმა პოლიტიკურმა კურსმა მოიტანა სოციალური და ეკონომიკური ზრდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ქალები ისევ ჩაებნენ სამსახურებში, ისევ ჩადგნენ ბიზნესის სათავეებში. 2020 წლისთვის ავღანელი საჯარო მოსამსახურეების 21 პროცენტი იყო ქალი, მათგან 16 პროცენტი უფროსი მენეჯმენტის დონეზე; და ავღანელი პარლამენტის წევრთა 27 პროცენტი იყო ქალი. (The World Bank, Afghanistan's Developmental Gains: Progress and Challenges, Jan. 2020, p. 12).

დანგრეული ჯანდაცვის სისტემისგან, რომელსაც თალიბანის წლებში ქალებისთვის პრაქტიკულად არ გააჩნდა სამედიცინო მომსახურება, 2018 წლისთვის აშენდა 3,135 ფუნქციონალური სამედიცინო დაწესებულება. ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობა

გაიზარდა 56 წლიდან 2001 წელს 66 – მდე 2017– ში (The World Bank, Life Expectancy at Birth, Female) და მათი სიკვდილიანობა მშობიარობის დროს შემცირდა.

საკმაოდ გაუმჯობესდა მდგომარეობა განათლების კუთხით. 2003 წელს დაწყებითი სკოლებში ჩაირიცხა გოგონების 10 პროცენტზე ნაკლები; 2017 წლისთვის ეს რიცხვი გაიზარდა 33 პროცენტამდე (The World Bank, Afghanistan’s Development Gains: Progress and Challenges, Jan. 2020, p.7) - არასაკმარისი, მაგრამ პროგრესი ჯერ კიდევ - მაშინ როდესაც საშუალო განათლებაში ქალთა რიცხვი 2003 წელს ექვსი პროცენტიდან გაიზარდა 39 პროცენტამდე 2017 წელს (The World Bank, Afghanistan’s Developmental Gains: Progress and Challenges, Jan. 2020, p.7). ამრიგად, 3.5 მილიონი ავღანელი გოგონა სკოლაში სწავლობდა 100.000 კი უნივერსიტეტში.

მიუხედავად ამისა, ქალებისთვის ეს მიღწევები განაწილებულია უკიდურესად არათანაბრად. ეს იმიტომ, რომ პროგრესი გაცილებით დიდია ქალებისთვის ქალაქებში. სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, ცხოვრება დიდად არ შეცვლილა თალიბანის ეპოქისგან განსხვავებით, მიუხედავად ფორმალური სამართლებრივი უფლებამოსილებისა. ისინი ჯერ კიდევ სრულად არიან დამოკიდებულნი ოჯახებში მყოფ მამაკაცებზე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, სკოლაში სიარულისა და სამუშაოს ნებართვისათვის. ბევრი ავღანელი მამაკაცი რჩება ღრმად კონსერვატიული. როგორც წესი, ოჯახები გოგონებს რთავენ ნებას დაწყებითი ან საშუალო განათლება მიიღონ, ჩვეულებრივ სქესობრივ მომწიფებამდე, და შემდეგ ჯერი წინასწარ დაგეგმილ ქორწინებებზე მიდგება. მაშინაც კი, თუ ახალგაზრდა ქალს მიეცემა უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა მამაკაცმა მეურვემ, მამამ ან მომავალმა ქმარმა შეიძლება არ მისცენ მას მუშაობის უფლება უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ. თალიბანის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშეც კი, სოფლად მცხოვრები ავღანელი ქალების უმეტესობა მთლიანად დაფარულია ბურკით. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გაძლიერების ნაცვლად, ავღანელი ქალები სოფლად, სადაც ქვეყნის ქალების 76 პროცენტი ცხოვრობს, განიცდიან სისხლიანი და გამძაფრებული ბრძოლების გამანადგურებელ ძალას თალიბანსა და სამთავრობო ძალებსა და ადგილობრივ მილიციებს შორის (The Afghanistan Living Conditions Survey 2016-2017). ქმრების, ძმების და მამების

დაკარგვა საბრძოლო მოქმედებებში იწვევს მათ არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ტრამვას, არამედ დიდ ზიანს აყენებს ეკონომიკური კუთხით.

ავღანეთში ქორწინება ჩვეულებისამებრ ემორჩილება ისლამს და ავღანურ კულტურას. ავღანეთის სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ქორწინების ასაკს მამაკაცებისთვის 18 და გოგონებისთვის 16 წელს. მასში ნათქვამია, რომ მამას შეუძლია დასთანხმდეს, 15 წლის ქალიშვილის ქორწინებას. ავღანეთის ეროვნული კანონების თანახმად, 15 წლამდე ასაკის ბავშვის კანონიერად გათხოვება შეუძლებელია. მაგრამ ავღანეთის სამოქალაქო კოდექსი არ არის კანონის ერთადერთი წყარო ავღანეთში ბავშვთა ქორწინების შესახებ. ისლამური კანონი და ჩვეულებები ან ადგილობრივი ტომობრივი ტრადიციები ასევე არეგულირებს ბავშვთა ქორწინებას და ზოგჯერ ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონებს. ავღანეთში ხშირად ვხვდებით შეთანხმებულ და იძულებით ქორწინებას. ქორწინების შემდეგ, ორი ოჯახი აფორმებს კონტრაქტს, რომელსაც ორივე მხარე ვალდებულია შეასრულოს. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, ავღანელი გოგონების სულ მცირე 15 პროცენტი დაქორწინებულია ოჯახების მიერ 16 წლის ასაკამდე, ამასთან ავღანელი გოგონების მესამედი დაქორწინებულია 18 წლის ასაკამდე. ეს არის სიტუაცია, რომელიც ძირს უთხრის გოგონების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში, მათ განათლების შესაძლებლობებსა და დასაქმების პერსპექტივას - რის გამოც ისინი დაუცველნი რჩებიან ჯანმრთელობის რისკებისა და ოჯახური ძალადობის საფრთხის წინაშე.


ქალის ხვედრი ხომ ყოველთვის მძიმე იყო ავღანეთში, მაგრამ თალიბების დროს ყველაზე სასტიკად მოექცა მათ ბედი. 20 წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა კომმარის და მთელი ავღანეთი ქაოსში გაახვია. მას შემდეგ, რაც თალიბანმა ქაბული აიღო კიდევ უფრო მწვავედ დადგა ქალთა უფლებების საკითხი. თავად, თალიბანმა განაცხადა, რომ ყოვლევგარი შიში "უსაფუძვლოა" და რომ ისინი "ერთგულნი არიან ქალთა უფლებების შარიათის კანონების შესაბამისად". თუმცა ამგვარმა განცხადებებმა მხოლოდ მეტი კითხვა გააჩინა, მათ შორის ის, თუ რამდენად შეცვალა თალიბანის ქალთა უფლებებისადმი დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც ისინი 20 წლის წინ ხელისუფლებას ჩამოშორდნენ. ითვლება, რომ შარიათი არის ღვთიური კანონები, ან სახელმძღვანელო მითითებები ღმერთისგან. ითვლება რომ ღმერთი

წინასწარმეტყველ მუჰამედს გამოეცხადა და მან კი ეს კანონები ჩაიწერა ყურანში, ისინი ასევე გვხვდება სუნაში და ჰადისში, რომლებიც ჩანაწერებია წინასწარმეტყველის ცხოვრებაზე. თალიბები აცხადებენ, რომ „არ იქნება დისკრიმინაცია ქალების მიმართ, მაგრამ რა თქმა უნდა, იმ ჩარჩოებში, რაც ჩვენ გვაქვს.“ საზოგადოება შემოფოთებულია სასოწარკვეთილებამ მოიცვა ქალები, რადგან არ იციან რა იქნება ხვალ. ბურკას ამოფარებულნი ნელ-ნელა ქრებიან ქუჩებიდან, ქვეყნიდან გაქცევას ცდილობენ, ხოლო ის ვინც ვერ ახერხებს ქვეყნის დატოვებას სახლში იმალება და საკუთარი ოფლით მოპოვებულ დიპლომებსა თუ ნებისმიერ მიღწევის სამხილს მალავს ან ანადგურებს, რათა თალიბანის მსხვერპლი არ გახდნენ, მათ ხომ კარგად იციან რა გამოიარეს ავღანელმა ქალებმა, წინათ, თალიბანის მმართველობის დროს.

ალბათ, ამის მერე სრულიად გასაგებია რატომ არის ავღანეთი ყველაზე ცუდი ადგილი ქალებისთვის. (Georgetown Institute for Women, Peace and Security and the Peace Research Institute of Oslo, 2018) სამწუხაროა, რომ არა მხოლოდ თალიბანი, არამედ ავღანური საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენები უფრო კონსერვატიული ხდებიან და იზიარებენ შარიათის კანონებს, რომლებიც ითხოვენ ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების შემცირებას. ქვეყანა ათწლეულებია ომის ქარცეცხლშია გახვეული, ეს კი საშუალებას არ იძლევა სათანადო ყურადღება მიექცეს ქალთა უფლებების დაცვას.




სამირ რაფი- ეგვიპტელი სიურეალისტი მხატვარი




სიურეალიზმი ეგვიპტეში 1930-იანი წლების ბოლოს „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ სახით გამოჩნდა და იმ ადამიანების სახელს უკავშირდება, რომლებიც განათლების მისაღებად ევროპაში იყვნენ და კარგად იცნობდნენ ევროპულ ხელოვნებასა თუ ლიტერატურას. ეს იყო კერა ინტელექტუალების, პოეტების, მწერლებისა და ფოტოგრაფებისთვის, რომლებიც ევროპაში ომს გაურბიან. Art et Liberté ჯგუფი ქმნიდა ახალი ხელოვნების ფორმას ეგვიპტეში, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ ძველი ფორმები, რაც დამკვიდრებული იყო ხელოვნებაში, ძალიან პროვინციული და კონსერვატიული იყო.

სწორედ ამ სიურეალისტთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო სამირ რაფი, რომელიც 17 წლის ასაკში მიიწვიეს გამოფენებზე. იმ დროის სულისკვეთებამ და სიურეალიზმის საერთაშორისო მიმდინარეობამ, რა თქმა უნდა განსაზღვრა მისი პერსპექტივა, როგორც მხატვრის, და წარუშლელი კვალი დატოვა მისი ცხოვრების შემოქმედებაში. სამირ რაფი დაიბადა კაიროში 1926 წელს და გარდაიცვალა პარიზში 2004 წელს. 1945-1953 წლებში აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში და ამით ადგილი გაიმყარა ხელოვნების საზოგადოებაში. მოდერნისტული მიდრეკილებების მიუხედავად, რაფი ღრმად იყო შთაგონებული ხელოვნების ისტორიით, განსაკუთრებით ძველი ეგვიპტის ხელოვნების ხატოვანი ფიგურებით და ნუბიის კედლის მხატვრობით.


ასეთია მაგალითად, 1950 წელს ფურცელზე შესრულებული ნახატი, სადაც გამოსახულია ქალი, იეროგლიფის ფორმის მცენარეებით და მგლის ფორმის ძალი იცავს მას.



ერთ – ერთი უდიდესი ნამუშევარია "ვიზიტი" ხალიჩაზეა შესრულებული და შეიქმნა 1965 წელს. ძალაუფლების თამაშია გვერდიგვერდ მდგომ კაცსა და ქალს შორის. შიშველი ქალის მშვიდი ნდობა უპირისპირდება დაუცველ მამაკაცს, რომელსაც ხელები აქვს შეკრული. შეზღუდული მამაკაცი სიმბოლოა ეგვიპტისა და მისი ხალხისა, ხოლო ქალი გვთავაზობს იმედს, თავისუფლებას და სინათლეს- სანთელს.





რაფი, რა თქმა უნდა თავის ხელოვნებაში ასახავდა იმ რეალობას, რომელიც ეგვიპტურ და ზოგადად არაბულ სამყაროში არსებობდა. ასახავს ეგვიპტის პოლიტიკურ სისტემის კრიტიკას ალეგორიული სახით. გმირები ან ამბები სიმბოლურად ეგვიპტეს, პოლიტიკურ ლიდერებს, მთავრობას ან ცნობილ ისტორიულ მოვლენას წარმოადგენენ. მისი სიურეალური, მარტოხელა ფიგურებიდან დაწყებული, მგლის მსგავსი ძაღლებიდან დამთავრებული, პოლიტიკურ და პირადულ ნარატივებს წარმოადგენდა. ამას დაერთო 1969 წელს არაბ-ისრაელის ომი და მგლის ძაღლის გამოსახვა სულ უფრო აშკარა ხდება მის შემოქმედებებში. ერთ სურათზე რაფი ასახავს ორ მგელს, რომლებიც ერთმანეთს შთანთქავენ.



მეორეში ძარღვიანი მგელი მოიპოვებს ძალას, რადგან ადამიანი გალიაშია მოთავსებული. მგელი კაცობრიობის სიმახინჯის მეტაფორაა. ვფიქრობ, რაფი ცდილობდა ეთქვა, რომ ჩვენ, როგორც კაცობრიობას, შეგვიძლია ვიყოთ ცხოველმყოფელები და აგრესიულები. მგლის სახით რაფი გამოხატავს იმედგაცრუებას არსებულ რეალობასთან.

ყველა სურათი არ შეიცავს ასეთ მკაცრ და მძიმე შინაარსს. მაგალითად, 1957 წლის "ორი მოღუშული ადამიანი", ასევე "სიცოცხლის ტრაგედია" - გვახსენებს ჩვენი ცხოვრების დაბოლოების გარდაუვალობას. მიუხედავად საშინელი სათაურისა, ეს მშვიდი კომპოზიცია, რომელიც თანამედროვე ხელოვნების ჯგუფის ეპოქის პირველ წლებში იყო დახატული, ასევე წარმოადგენს ერთგვარ განთავისუფლებას და აღორძინებას.



ამ ინტერპრეტაციებს მხატვარი იყენებს მდგრადი თემების განსახილველად: როგორცაა ოჯახი, ნათესაობა, თავისუფლება და თვითგამორკვევა, მარტოობა, სასოწარკვეთა და რაც მთავარია, პოლიტიკური სისტემის ალეგორიული კრიტიკა. ”ის იყო ღრმად ინტელექტუალური მხატვარი, რომელმაც შექმნა საკუთარი ვიზუალური ენა და სამყარო, რომელიც სავსეა სიმბოლიკით”, - აღნიშნა იასმინ ატასიმ, დუბაის Green Art Gallery- ის დირექტორმა.

სამირ რაფის გამოფენა დუბაიში, Green Art Gallery-ში 2019 წელს მოეწყო.